

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2020, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2020, №7

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2020, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შინგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

სარჩევი

1. გარიგების ბათილობა

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი	4; 14; 24; 33; 48
მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი	92
იძულებით დადებული გარიგებანი	106

2. ხანდაზმულობა

სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა	141
პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	163; 173
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას	183

1. გარიგების ბათილობა

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-820-784-2014

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის
ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისში, კ-ის ქუჩა №40-ში მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქონება) საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო ნ. ჩ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესაკუთრე) სახელზე, ხოლო ფაქტობრივად ფლობდნენ ლ. ლ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოსარჩელე, კასატორი) და მისი მეუღლე თ. ლ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე).

2. 2008 წლის 16 თებერვალს მეორე მოსარჩელესა და ტ. ხ-ას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მყიდველი, მოპასუხე, აპელანტი) შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მეორე მოსარჩელემ, როგორც გამყიდველმა, მოპასუხისაგან ბედ 500 აშშ დოლარი მიიღო და სადავო ქონებაზე სანოტარო ბიუროში წარსადგენად ყველა საჭირო საბუთის მომზადების ვალდებულება აიღო, ხოლო მოპასუხემ დარჩენილი თანხის – 27000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება ნოტარიუსთან უძრავი ქონების გადაფორმებისას იკისრა.

3. 2008 წლის 29 თებერვალს მოპასუხესა და მეორე მოსარჩელეს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმად, მოპასუხემ მეორე მოსარჩელეს ავანსად გადასცა სადავო სახლისა და მიწის ნაკვეთის შეთანხმებული თანხის, 27500 აშშ დოლარის ნაწილი – 10500 აშშ დოლარი. გარიგების მიხედვით, მეორე მოსარჩელე ავანსის გადახდის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში

ვალდებული იყო, ოჯახთან ერთად დაეცალა საცხოვრებელი ფართი. ამასთან, იგი ავანსის სახით ერთი კვირის ვადაში დამატებით ითხოვდა 3000 აშშ დოლარს. დარჩენილი 14000 აშშ დოლარი მოპასუხეს უნდა გადაეხადა „რეესტრიდან ამონაწერის მიღებისთანავე“. გარიგებას ხელს აწერენ მოსარჩელები და მოპასუხე.

4. მოპასუხემ მოსარჩელებს 13500 აშშ დოლარი გადაუხადა. თანხის გადახდიდან ორი კვირაში მოსარჩელებმა სადავო უძრავი ქონება დაცალეს და მოპასუხეს გადასცეს მფლობელობაში.

5. სადავო უძრავ ნივთზე მოპასუხემ საკუთრების უფლება მოიპოვა მესაკუთრესთან 2010 წლის 18 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. 2013 წლის 29 ნოემბერს, მოსარჩელებმა დაზუსტებული სარჩელი წარადგინეს მოპასუხის წინააღმდეგ 14 000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 4900 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. მათი მტკიცებით, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში სპეციალური კანონი) შესაბამისად, პირველი მოსარჩელე სადავო უძრავი ქონების მოსარგებლე იყო, რომელმაც 29.02.2008 წლის შეთანხმებით, 27 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, სარგებლობის უფლება დაუთმო მოპასუხეს. მიუხედავად მოსარჩელეთა მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა, მოპასუხემ არ შეასრულა 14 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება. თანხის დროულად გადაუხდელობით მოსარჩელებმა ვერ მიიღეს 4900 აშშ დოლარის შემოსავალი.

7. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ორივე გარიგების ტექსტის შინაარსიდან დგინდებოდა მოპასუხის განზრახვა, შეეძინა სადავო უძრავი ქონება. თავის მხრივ, მეორე მოსარჩელე ჰპირდებოდა მას, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას გადასცემდა. ვინაიდან ნივთის განკარგვის უფლება მხოლოდ მესაკუთრეს აქვს, მეორე მოსარჩელე, როგორც არამესაკუთრე, მას ვერ განკარგავდა, რის გამოც ორივე ხელშეკრულება ბათილი იყო. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასაც არ გააჩნდა საფუძველი. მოპასუხემ მეორე მოსარჩელის სათანადოობაც გახადა სადავოდ. მოსარჩელები მათი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად სპეციალურ კანონს უთითებდნენ, რომლის მიხედვითაც, მოსარგებლე შეიძლება ბოდა, ყოფილიყო პირველი მოსარჩელე და არა ამ უკანასკნელის მეუღლე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით პირველი მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მე-

ორე მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, 14 000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 3670 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 81-ე, 421-ე, 50-ე, 327.1, 317.1-ე, 316.1, 361.2., 394.1 მუხლები და დაასკვნა:

8.1. 2008 წლის 29 თებერვლის გარიგების პირობების თანახმად, მოპასუხემ აიღო თანხის გადახდის ვალდებულება. ამასთან, მისი შინაარსიდან არ დგინდებოდა, რომ თანხის გადახდის საფუძველს მოსარჩელეთაგან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა წარმოადგენდა. შეთანხმების მიხედვით, კონტრაქტის ვალდებულება მხოლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა იყო. სასამართლოს მითითებით, შესაძლოა, 2008 წლის 16 მარტს მხარეებს შორის ურთიერთობის დამყარების მიზანს მოპასუხის მხრიდან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნა წარმოადგენდა, თუმცა 2008 წლის 29 თებერვლის გარიგებით მხარეებმა შეცვალეს ხელშეკრულების საგანი. შესაბამისად, 500 აშშ დოლარი, რაც, შესაძლოა, თავდაპირველად წარმოადგენდა ბეს, განისაზღვრა ავანსად გადახდილ თანხად, ხოლო ხელშეკრულების საგნად, საზღაურის მიღების სანაცვლოდ, საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა. ამ გარიგებისთვის კი, კანონით გათვალისწინებული ფორმა არ არის დაწესებული. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა, მოპასუხის მოსაზრება ფორმისდაუცველად დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე.

8.3. ვინაიდან პირველმა მოსარჩელემ შეასრულა გარიგებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მოპასუხემ, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლება დარეგისტრირდა, შეთანხმებული საზღაური მოსარჩელეს არ გადაუხადა, სასამართლომ პირველი მოსარჩელის სარჩელი 14000 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

8.4. სასამართლომ პირველი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დაკისრების ნაწილში ასევე საფუძვლიანად მიიჩნია და იგი კომერციულ ბანკებში უცხოური ვალუტით გათვალისწინებული დეპოზიტების წლიურ საპროცენტო განაკვეთს დაუკავშირა, კერძოდ, მიუთითა, რომ მოსარჩელე სადავო თანხის, 14000 აშშ დოლარის, 2010 წლის 20 ოქტომბერს შესაბამის ანგარიშზე შეტანის შემთხვევაში, 3670 აშშ დოლარის შემოსავალს მიიღებდა.

8.5. სასამართლოს მითითებით, საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე პირველი მოსარჩელე იყო, რის გამოც ხელშეკრულებათა დადება მხოლოდ მას შეეძლო. მეორე მოსარჩელესაც არ უა-

რუყვია, რომ იგი მოპასუხესთან სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისას პირველ მოსარჩელეს წარმოადგენდა. ამდენად, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება მეორე მოსარჩელეს არ წარმოშობია, რის გამოც მისი სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

9.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, როდესაც მიიჩნია, რომ 2008 წლის 29 თებერვალს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება (ე.წ. „ხელწერილი“) წარმოადგენდა არა ნასყიდობის, არამედ უძრავ ნივთზე სარგებლობის დათმობის ხელშეკრულებას. მხარეთა შორის 2008 წლის 16 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც სადავო უძრავი ქონების „მყიდველად“ მოხსენიებულმა მოპასუხემ „გამყიდველ“ მეორე მოსარჩელეს 500 აშშ დოლარი ბე გადასცა, ხოლო დანარჩენი თანხა 27000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა სახლის გადაფორმების დროს. ბეს მიღებით „გამყიდველმა“ დაადასტურა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მოპასუხის სახელზე გასხვისების თაობაზე ხელშეკრულების დადება. აპელანტის მტკიცებით, 2008 წლის 29 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმებული გარიგება ზემოაღნიშნული გარიგების გაგრძელებაა, სადაც მხარეებმა, კიდევ ერთხელ, დაადასტურეს, რომ შეთანხმდნენ საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და ამ უძრავი ნივთის „გადასახადის საფასურზე“, რომელიც 27500 აშშ დოლარს შეადგენდა. ამასთან, მხარეებმა აღიარეს, რომ გადახდილია თანხის ნაწილი, ხოლო დარჩენილი 14000 აშშ დოლარი მოპასუხეს რეესტრიდან მის სახელზე ამონაწერის მიღებისთანავე უნდა გადაეხადა.

9.2. აპელანტის მითითებით, ეს ბოლო ფრაზა მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების დასადგენად გადამწყვეტი იყო. სასამართლომ კი, გვერდი აუარა და არ იმსჯელა, თუ რატომ გაკეთდა დათქმა საჯარო რეესტრის ამონაწერთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც მხარეებმა სწორედ ამ ამონაწერის არსებობას დაუკავშირეს იმ თანხის გადახდა, რომელსაც მოსარჩელე ითხოვს. შესაბამისად, სასამართლომ უნდა ემსჯელა ამ საკითხზე, დაედგინა რა შინაარსის ამონაწერი უნდა ყოფილიყო, ვისი ვალდებულება იყო ამ ამონაწერის მოპოვება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მსჯელობა, თუ რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის, ვის მიერ

შესრულდა და ვის რისი მოთხოვნის უფლება წარმოეშვა.

9.3. აპელანტის მითითებით, სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ 2008 წლის 16 თებერვლისა და 29 თებერვლის ხელშეკრულებები დამოუკიდებელი გარიგებები იყო. პირველი მათგანი სასამართლომ ნასყიდობად მიიჩნია, ხოლო მეორე – სარგებლობის უფლების დათმობად, რადგან მასში საკუთრების გადაცემაზე არაფერი იყო ნათქვამი. აპელანტის მტკიცებით, ორივე გარიგების ტექსტის ანალიზიდან, აგრეთვე, მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვეოდა, რომ მოპასუხის მიზანი საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის შეძენა იყო და არა – სარგებლობის უფლების მოპოვება, რაშიც მან გარკვეული თანხის – 27500 აშშ დოლარის გადახდა გადაწყვიტა. მოსარჩელე მოქმედებდა, როგორც საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და მოპასუხეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემას ჰპირდებოდა, რისთვისაც ეს თანხა უნდა მიეღო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.1. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო 29.02.2008 წლის ხელშეკრულება გარიგებაა, რომელიც კანონით პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული, თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა მას. სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან გარიგებაში, გამოყენებული გამონათქვამები მხარეთა მიერ განსხვავებულად იყო გაგებული, გამოვლენილი ნება, სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, გონივრული განსჯის საფუძველზე უნდა დადგენილიყო.

10.2. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, მხარეთა განმარტებების მოსმენის, 2008 წლის 16 თებერვლის ხელშეკრულებისა და იმავე წლის 29 თებერვლის ხელწერილის გამოკვლევის საფუძველზე პალატას მიაჩნია, რომ გარიგების დადებისას, მოპასუხის ნება მიმართული იყო იქითკენ, რომ თანხის გადახდის სანაცვლოდ მოეპოვებინა საკუთრების უფლება მოსარჩელეთა სარგებლობაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე. რაც შეეხება მოსარჩელეებს, მათ მოპასუხის წინაშე იკისრეს ორი სახის ვალდებულება, კერძოდ, ავანსის 13 500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მოპასუხისათვის უნდა დაეთმოთ უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება, რის შემდეგაც, უნდა მოემზადებინათ დოკუმენტაცია ხსენებული ბინის საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით დასარეგისტრირებლად. სასამართლოს

მითითებით, მოსარჩელებს 14000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება წარმოეშობოდათ მხოლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების მოპასუხისათვის საჯარო რეესტრში გადაცემის შემდგომ. ამდენად, აპელანტის ვალდებულება მოსარჩელეთათვის 14000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე გაჩნდებოდა მას შემდეგ, რაც მოსარჩელები მესაკუთრისგან მოიპოვებდნენ სადავო საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლებას და ამ უფლებას საჯარო რეესტრში აღრიცხავდნენ აპელანტის სახელზე.

10.3. მოსარჩელებმა გარიგებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არ შეასრულეს, კერძოდ, არ შეასრულეს სადავო უძრავი ქონების მოპასუხის საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო მოქმედებები. ამ უკანასკნელმა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე თავად მოიპოვა, უძრავი ქონების მესაკუთრესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელეთა სასარგებლოდ არ არსებობდა მოპასუხისათვის 14000 აშშ დოლარის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, რაც გამორიცხავდა მოპასუხის მხრიდან თანხის დროულად გადაუხდელობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასაც.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

11.1. სააპელაციო სასამართლომ „გონივრული განსჯის“ საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხემ იცოდა, რომ მოსარჩელები სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეები არ იყვნენ, მიუხედავად ამისა, მაინც ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ საკუთრებაში გადასცემდნენ ქონებას. კასატორის მითითებით, ასეთ შემთხვევაში 2008 წლის 29 თებერვლის ხელწერილი კანონს ეწინააღმდეგება, ვინაიდან მისი შინაარსიდან გამომდინარე არაუფლებამოსილმა პირმა, მოსარგებლემ გაყიდა ბინა. სწორედ გონივრული განსჯიდან გამომდინარე, მოპასუხეს მოსარგებლისაგან საკუთრებაში ვერ გადაეცემოდა ბინა. ცხადია, მან ისიც იცოდა, რომ მხოლოდ მესაკუთრისგან საკუთრების შექენით ბინაზე მფლობელობას ვერ მოიპოვებდა, რის გამოც მან სარგებლობის უფლებაც შეიძინა მოსარგებლისაგან.

11.2. ასევე გონივრულ განსჯას მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხეს 14 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება მას შემდეგ წარმოეშობოდა, რაც მოსარჩელები სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას მოიპოვებდნენ და ამ უფლებას საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე აღიცხავდნენ. ხელწერილის ტექსტის არც სიტყვასიტყვითი განმარტე-

ბა და არც გონივრული განსჯა არ იძლევა ამგვარი დასკვნის საფუძველს.

11.3. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი მოსარჩელე მოსარგებლეა, რომელმაც სარგებლობის უფლება დათმო 13500 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ხოლო გადასახდელი თანხის მეორე ნაწილის – 14 000 აშშ დოლარის გადახდა მოპასუხეს ეკისრებოდა მესაკუთრისაგან საკუთრების შექენისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე. კასატორის მითითებით, გაუგებარია, რა მიზნით უნდა შეესრულებინა მოსარგებლეს შუალედური რგოლის როლი, ეყიდა ქონება მესაკუთრისაგან და შემდეგ მიეყიდა მოპასუხისათვის. მითითებული კომბინაცია ფინანსურადაც გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან მოსარჩელემ მოსარგებლის უფლებასთან ერთად დათმო მესაკუთრისაგან ბინის შექენის პრივილეგიაც. ამის გარეშე მოპასუხეს არ ექნებოდა საშუალება, ღირებულების 10%-ად შეეძინა ბინა მესაკუთრისაგან. გონივრულ განსჯას მოკლებულია, ყოფილ მოსარგებლეს ბინის შექენის ვალდებულება აელო, რადგან ეს უფლება მან სადავო ხელშეკრულებით მოპასუხეს დაუთმო.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

14. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებული 16.02.2008 წლის წერილობითი შეთანხმების მიზანი რომ უძრავი ნივთის ნასყიდობა იყო, მხარეთა შორის სადავო არ არის, მათ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ბეს გადაცემით დაადასტურეს. სადავოა, 29.02.2008 წლის შეთანხმების შინაარსი, რომლითაც, მო-

სარჩელის განმარტებით, მან, როგორც საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლემ, მოპასუხეს სარგებლობის უფლება დაუთმო, ხოლო მოპასუხის შედაგების მიხედვით, მითითებული გარიგებითაც მოსარჩელემ მოპასუხის წინაშე სადავო უძრავი ქონების მის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ვალდებულება აიღო. შესაბამისად, შესაფასებელია რა სახისა და შინაარსისაა 29.02.2008 წლის გარიგება.

15. შეთანხმების მიხედვით, მხარეთა შორის ხელწერილი დაიდო „მასზედ, რომ მოპასუხემ გადასცა სახლისა და მიწის ნაკვეთის გადასახადის ნაწილი თანხა ავანსის სახით... სახლისა და მიწის ნაკვეთის გადახდის საფასურზე სულ შეთანხმდნენ 27000 აშშ დოლარზე“. მიუხედავად იმისა, ტექსტის სიტყვასიტყვითი განმარტებიდანაც გამომდინარეობს, რომ მითითებული თანხა სადავო უძრავი ქონების საფასურია, საკუთრებაში გადაცემის ნება პირდაპირ არ ვლინდება, ამიტომ პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, ბუნდოვანებისა და არაზუსტობის საფუძველით, სსკ-ის 52-ე მუხლით განმტკიცებული (ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან) გონივრული განსჯის შედეგად უნდა განიმარტოს.

16. პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების განმარტებისას განმსაზღვრელია მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება, მიენიჭებინა ამ ნების მიმღებ გონიერ ადამიანს. ამასთან, ხელშეკრულების შინაარსის თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას ტექსტთან ერთად არსებითია საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა მნიშვნელოვანი და ცნობილი გარემოების გათვალისწინება. ამდენად, ნების განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ის ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს, მათ შორის ის, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა მიზნად მხარე ხელშეკრულების დადებისას (მდრ. სუსგ №ას-377-357-2011, 28.06.2011).

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ სადავო უძრავი ქონების შექმნის მიზანს კასატორიც არ ხდის სადავოდ, ადასტურებს რა ფაქტს, რომ 16.02.2008 წლის წერილობითი შეთანხმებისას ორივე მხარის მიზანს უძრავი ნივთის ნასყიდობა წარმოადგენდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მითითებულ შეთანხმებაში ნივთის ნასყიდობის ფასი 27 000 აშშ დოლარი იყო, ზუსტად იმდენი, რამდენიც მხარეებმა 29.02.2008 წლის შეთანხმებაში „სახლისა და მიწის ნაკვეთის გადახდის საფასურად“ მიუთითეს. ამდენად, გაუგებარია, მოპასუხე ერთსა და იმავე თანხას უძრავი ქონების შექმნასა და „სარგებლობის დათმობაში“ რატომ გადაიხდიდა. გარდა ამისა,

პალატა არ იზიარებს კასატორის განმარტებას „სარგებლობის დათმობასთან“ დაკავშირებით იმიტომაც, რომ მოპასუხის მიერ შეთანხმებული საზღაურის დარჩენილი ნაწილის გადახდა მხარეებმა რეესტრის ამონაწერს დაუკავშირეს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ რეესტრის ამონაწერში ისინი სადავო ბინის მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას გულისხმობდნენ, თუმცა, კასატორის განმარტებით, ეს არ ნიშნავს, რომ მას თავად მოეპოვებინა მესაკუთრისაგან უძრავი ქონების მოპასუხისათვის გადაფორმების თანხმობა ან ჯერ თავად შეეძინა და შემდეგ დაერეგისტრირებინა მოპასუხის სახელზე. კასატორმა საკასაციო საჩივრის განხილვისას განმარტა, რომ ეს ჩანაწერი ნიშნავდა იმას, რომ მას შემდეგ, რაც მოპასუხე მესაკუთრისაგან სადავო უძრავ ქონებას შეიძენდა და რეესტრში თავის სახელზე დაირეგისტრირებდა, წარმოეშობოდა დარჩენილი თანხის გადახდის ვალდებულება. მითითებული ჩანაწერის ამგვარ განმარტებას საკასაციო პალატა არ იზიარებს. გარდა იმისა, რომ „გონივრულად განმსჯელი“, ობიექტური მესამე პირი ჩანაწერს ამგვარ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელეთა არათანმიმდევრულ და წინააღმდეგობრივ პოზიციასზე, კერძოდ, პირველი ინსტანციაში საქმის განხილვისას მათ განმარტეს, რომ ჩანაწერი გულისხმობდა იმას, რომ მოსარჩელე დოკუმენტებს მოაწესრიგებდა, კერძოდ, ჯერ თავის საკუთრებად გაიფორმებდა ბინას და შემდეგ მოპასუხის სახელზე აღრიცხავდა (პირველი ინსტანციის სასამართლოს 31.01.2014 წლის სხდომის ოქმი 14:18:16 საათიდან), კასატორის შემდგომი პოზიციის მიხედვით, როგორც აღინიშნა, მოპასუხეს მესაკუთრისაგან სადავო უძრავი ქონება თავად უნდა შეეძინა და რეესტრში თავის სახელზე დაერეგისტრირებინა (იხ. საკასაციო საჩივარი). ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის ახსნა-განმარტება, რომ მოპასუხემ მისგან სარგებლობის უფლება შეიძინა, მაგრამ მესაკუთრისაგან საკუთრება უნდა შეეძინა, არადამაჯერებელია. ეს არც სადავო 29.02.2008 წლის შეთანხმებიდან გამომდინარეობს. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ ხელშეკრულებაში არ იყო ასახული მხარეთა ნება ნივთის გაყიდვისა და ყიდვისა ან, მართალია, იყო ამგვარი ნება გამობატული, მაგრამ მხარეებს სხვაგვარი განზრახვა ჰქონდათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ 29.02.2008 წლის წერილობითი შეთანხმება სადავო ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს.

17. 16.02.2009 წლისა და 29.02.2009 წლის ხელშეკრულებები ბათილია სსკ-ის 477-ე, 183-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად. დადგენილია, რომ, სადავო გარიგებათა დადებისას, საჯარო რეესტრში

უძრავი ქონება საკუთრების უფლებით გამსხვისებლის სახელზე არ იყო რეგისტრირებული. პალატა განმარტავს, რომ, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთის გასხვისების უფლება აქვს მესაკუთრეს. განკარგვა საკუთრების უფლების ერთ-ერთი კომპონენტია და მისი გამოყენების უფლება მხოლოდ მესაკუთრეს აქვს. სსკ-ის 311-ე-312-ე მუხლებიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის მესაკუთრედ მიიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომლის უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ობიექტი უძრავი ქონებაა, რომლის ერთადერთი ლეგიტიმური მესაკუთრე იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირი. უძრავი ნივთის გამსხვისებელი, მოსარჩელე არ იყო მისი მესაკუთრე. ფაქტი, რომ არამესაკუთრემ სხვისი კუთვნილი ქონება განკარგა, ნამდვილი მესაკუთრის ნების გამოვლენის გარეშე, რაც ხელშეკრულებათა, სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილად ცნობის საფუძველია, ვინაიდან არღვევს კანონით დადგენილ წესს, კერძოდ, სსკ-ის 477-ე, 183-ე მუხლებით განმტკიცებულ დანაწესს, რომლის მიხედვითაც, უძრავ ნივთზე გარიგების საფუძველზე საკუთრების შესაძენად კუმულაციურად ორი პირობაა აუცილებელი: გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთმფარავი ნების (წერილობითი შეთანხმების) არსებობა და ამ შეთანხმების კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

ამრიგად, ვინაიდან მეორე მოსარჩელე არ იყო სადავო ქონების მესაკუთრე, მას ქონების განკარგვის უფლებამოსილება არ გააჩნდა. არამესაკუთრესთან გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება კი, ბათილ გარიგებას წარმოადგენს და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

18. მოსარჩელები, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავს უძრავი ქონების მოსარგებლებად მიიჩნევდნენ. დადგენილია, რომ მოპასუხემ ნამდვილ მესაკუთრესთან დადებული გარიგებით სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება მოიპოვა. ამდენად, კანონსაწინააღმდეგობის გამო სადავო გარიგებათა ბათილად ცნობით, მოსარჩელები უფლებამოსილი არიან, სპეციალური კანონიდან გამომდინარე, მოპასუხეს შესაბამისი მოთხოვნები წაუყენონ.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწ-

ყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

20. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე მუხლებით,
257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის პირველი და მე-2
ნაწილებით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილე-
ბა;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

განჩინება საქართველოს სასახლით

№ას-596-571-2016

28 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ვალდებუ-
ლების რაოდენობის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ქ-ეს (შემდეგში: მსესხებელი, მოსარჩელე, აპელანტი ან კა-

სატორი), მ. კ-ესა (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან პირველი გამსესხებელი) და ი. კ-ეს (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან მეორე გამსესხებელი) შორის, 2011 წლის 6 ივნისს, გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (შემდეგში: სესხის ხელშეკრულება), რომლის თანახმად პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს 3 თვით ასესხა 20 000 აშშ დოლარი, ხოლო მეორე მოპასუხემ, ასევე, 3 თვის ვადით – 10 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 4%, პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დარჩენილი თანხის 0,3%-ით განისაზღვრა.

2. ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვრთა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ნის ფერდობი, მიკრო/რაიონი I, კორპუსი №..., ბინა №..., ს/კ 0... (შემდეგში: უძრავი ქონება).

3. მსესხებელსა და გამსესხებლებს შორის, 2013 წლის 15 იანვარს, გამოსყიდვის უფლებით, ვალის სანაცვლოდ, დაიდო უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება (შემდეგში: გამოსყიდვის ხელშეკრულება), რომლის მიხედვით, 39 750 აშშ დოლარის ვალის გადახდის ვალდებულების გაქვითვის მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხეებს თანასაკუთრებაში გადასცა უძრავი ქონება. მოსარჩელე უფლებამოსილი იყო 2013 წლის 20 მარტამდე 39 750 აშშ დოლარად გამოესყიდა აღნიშნული უძრავი ქონება, ამ ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხეები უძრავ ქონებაზე იძენდნენ შეუზღუდავ საკუთრების უფლებას.

4. სარჩელის საფუძვლები

4.1. მოსარჩელემ 2015 წლის 10 თებერვალს სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ, გამოსყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების 15 220 აშშ დოლარით განსაზღვრა მოითხოვა.

4.2. მოსარჩელის განმარტებით, მას მთლიანობაში ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის ჩათვლით უნდა დაეფარა 33 600 აშშ დოლარი, მან კი 18 380 აშშ დოლარი გადაიხადა. აღნიშნული თანხიდან საპროცენტო სარგებელი შეადგენდა 3 600 აშშ დოლარს, შესაბამისად სხვაობა – 14 780 აშშ დოლარს, რომელიც ნაცვლად სესხის ძირითად თანხაში ჩათვლისა მოპასუხეებმა საპროცენტო სარგებლის სახით დაიანგარიშეს. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ქმედება კანონის უხეში დარღვევაა, ვინაიდან მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ვადაზე და, ასევე, ამ ვადის ფარგლებში საპროცენტო სარგებლის დარიცხვაზე, მხარეებს შორის კი რაიმე დამატებითი შეთანხმება არ განხორციელებულა, შესაბამისად ვადის გასვლის შემდეგ სარგებელი არ უნდა დარიცხულიყო.

4.3. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 იანვრის ხელშეკ-

რულებასში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 509-ე, 510-ე მუხლების მიხედვით ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 15 220 აშშ დოლარით და არა – 39 750 აშშ დოლარით, ხოლო გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს ბათილია. მოსარჩელის განმარტებით მოპასუხეების მხრიდან ადგილი ჰქონდა ზენოლასა და შანტაჟს.

4.4. მოსარჩელის აზრით, მას მეორე მოპასუხის მიმართ ვალდებულება შესრულებული აქვს, თუმცა, ის 2013 წლის 15 იანვრის ხელშეკრულების მხარე მანაც არის.

5. მოპასუხეთა შესაგებელი

5.1. მოპასუხეებმა მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ არ ეთანხმებიან მოსარჩელის პოზიციას, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოსარჩელის მიერ გადახდილი საპროცენტო სარგებლის სესხის ძირითად თანხაში ჩათვლასთან დაკავშირებით, რადგან ამ პირობას ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.

5.2. მოპასუხეებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ ხელშეკრულება პირგასამტეხლოსაც ითვალისწინებდა, რომელიც ბევრად აღემატება ყოველთვიურ სარგებელს, ასევე აღნიშნეს, რომ 2013 წლის 15 იანვრის ხელშეკრულება გაფორმდა მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობის საფუძველზე თვით მოსარჩელის ნებითა და სურვილით, ყოველგვარი ზენოლისა და შანტაჟის გარეშე.

5.3. მეორე მოპასუხემ აღნიშნა, რომ მის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელე არ აღიარებდა მის წინაშე არსებულ დავალიანებას.

6. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება და დასკვნები

6.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6.2. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 50-ე, 54-ე, 427-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 იანვრის ხელშეკრულების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დამადასტურებელი მტკიცებულებანი მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარდგენილი, ასევე, სასამართლომ მიუთითა მოწმის ჩვენებაზე, რომლის მიხედვით აღნიშნული ხელშეკრულების დადების ინიციატორი თავად მოსარჩელე იყო.

6.3. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, გამოსყიდვის ხელშეკრულების შინაარსსა და შედგენის მიზანზე, რომლის მიხედვითაც უძრავი ქონების გადაცემის მიზანს ხელშეკრულებით გათვა-

ლისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა, შესაბამისად დაუსაბუთებელია მისგან გამომდინარე შესასრულებელი ვალდებულების 15 220 აშშ დოლარით განსაზღვრის მოთხოვნა.

7. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

7.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

7.2. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა, არ შეისწავლა, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში არ გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება არ მისცა ამ განჩინების 4.2-4.4 ქვეპუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს. სასამართლომ არ გაითვალისწინა გამოსყიდვის ხელშეკრულების შინაარსი და მხარეთა შეთანხმების არსებითი პირობა.

7.3. აპელანტმა აღნიშნა, რომ სასამართლო იყო ტენდენციური და მიკერძოებული, რადგან მოსამართლემ მხარეებს მოუწოდა მორიგებისკენ და მიუთითა სსკ-ის 403-ე მუხლზე, რომელზეც მოპასუხე არ ამყარებდა მოთხოვნას, ასევე, მოსამართლემ მოპასუხის მაგივრად განმარტა, რომ აუდიო-ჩანაწერში მითითებული საპროცენტო სარგებელი, ასევე მონემის ჩვენებით მითითებული საპროცენტო სარგებელი და საგადასახადო დავალებებით გადახდილი საპროცენტო სარგებელი ამ შემთხვევაში იყო იგივე პირგასამტეხლო და ზიანი.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის 15 იანვრის ხელშეკრულების მართლსაწინააღმდეგობა და ბათილობა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

8.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ დავალიანების მოცულობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე 15 220 აშშ დოლარით უნდა განისაზღვროს, რადგან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამთვლიანი ვადის ამონურვის შემდეგ, სხვაობა კრედიტორების სასარგებლოდ გადახდილია. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა 2013 წლის 15 იანვრის ხელშეკრულებაზე, სადაც მითითებულია, რომ ქონების გადაცემის მიზანს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა. გამოსყიდვის ხელშეკრულებაში კი ნათლად

არის მითითებული პირველი მოპასუხის მიმართ არსებული ვალდებულების მოცულობა – 24 770 აშშ დოლარი, ხოლო მეორე მოპასუხის მიმართ – 14 980 აშშ დოლარი. ამდენად, დასახელებული ხელშეკრულების დადებით მხარეთა მიერ განსაზღვრულია შეთანხმების დროისათვის ერთმანეთის მიმართ არსებული დავალიანების მოცულობა.

8.4. სასამართლომ არ გაიზიარა, რომ გამოსყიდვის ხელშეკრულების მოქმედების პირობებში ხელშეკრულების გაფორმებამდე განხორციელებული გადახდების შესაბამისად აპელანტის დავალიანება კრედიტორების მიმართ შეადგენდა არა 39 750 აშშ დოლარს, როგორც ეს ხელშეკრულებაშია მითითებული, არამედ – 15 220 აშშ დოლარს.

9. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

9.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრებით კასატორმა მისი გაუქმება და, ახალი გადანაცვლების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

9.2. კასატორმა ყურადღება გაამახვილა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-სამე ნაწილზე, ასევე 316-ე და 115-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ გარიგება სამართლიანი, გონივრული უნდა იყოს და კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ემყარებოდეს.

9.3. კასატორის საკასაციო პრეტენზიები სააპელაციო საჩივარში ასახული გარემოებების იდენტურია (იხ. ამ განჩინების 7.2-7.3 ქვეპუნქტები), კასატორმა დამატებით განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ გამოიკვლია ისინი ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად.

10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინებით კასატორის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

10.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის

იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

14. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა.

15. განსახილველი დავის საგანია გამოსყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მისი თვალთმაქცური და მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო და აქედან გამომდინარე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ოდენობის 39 750 აშშ დოლარის ნაცვლად 15 220 აშშ დოლარით განსაზღვრა.

16. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის მე-4 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რა დროსაც მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, და-

ასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

17. საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ მსჯელობისას, უწინარესად, წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის ნამდვილობას განმარტავს, რომლის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ – მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში მიკუთვნებითი მოთხოვნა სახეზეა და ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნის წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული.

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი თვალთმაქცური გარიგების შემთხვევაში აწევს იმ პირს, ვინც ამტკიცებს, რომ გარიგება თვალთმაქცურია.

19. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ას-

ხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ“ (იხ. სუსგ №ას-871-821-2015, 05.02.2016; №ას-487-461-2015, 17.06.2015).

20. სსკ-ის 54-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. მისი გამოყენების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელის ზეპირი მითითებების გარდა, საქმეში არ არის წარმოდგენილი და არც არსებობს არც ერთი ობიექტური მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელეზე განხორციელებულ იძულებას ან მუქარას დაადასტურებდა. იძულების ფაქტის დასადაგენად მართოდენ მოსარჩელის განცხადება არ არის საკმარისი, არც შეცდომების ერთნლიანი ვადის გასვლის გამაბათილებელი მტკიცებულებაა საქმეში წარმოდგენილი. სამართლებრივი შედეგის დადგომაზე დასახელებულ ნორმას არ შეუძლია პირდაპირი გავლენის მოხდენა, თუ არ მიეთითება სამართლის კონკრეტული ნორმა, რომელსაც ენიშნაღმდეგება დადებული გარიგება. შესაბამისად, „არცთუ იშვიათად მიიჩნევენ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს“ (შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმე №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი).

21. ამ განჩინების 18-22 პუნქტებში დასახელებული ნორმებისა და მსჯელობის, კასატორის მიერ მითითებული პრეტენზიებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას, გამოსყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. კასატორი ვერ ასაბუთებს ხელშეკრულების ბათილობის, კანონით გათვალისწინებულ, ვერც ერთ წინაპირობას, რის გამოც მართებულია საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადანყვეტილებები გამოსყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს გამოსყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, უსაფუძველო და დაუსაბუთებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ოდენობის იმგვარად განსაზღვრა, როგორც ეს სარჩელითაა მოთხოვნილი.

23. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ დავალიანების ოდენობა 15 220 აშშ დოლარით განისაზღვროს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნამდვილი ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებული ვალდებულება მოვალემ უნდა შეასრულოს ჯერჯერობნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სსკ-ის 361.2 მუხლი). იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელემ მოპასუხეების წინაშე გამოსყიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, ამავე ხელშეკრულების თანახმად მოპასუხეებს უძრავ ქონებაზე შეუზღუდავი საკუთრების უფლება გადაეცათ.

24. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქმის მასალების დეტალურად გაცნობის შედეგად სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მსესხებლის მიერ გადახდილი თანხების ოდენობა მონმე ნ. მ-ს ხელწერილითა და საგადახდო დავალებით დასტურდება, რასაც მოსარჩელის წარმომადგენელიც ეთანხმება, სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თანხების ჩარიცხვასთან დაკავშირებული მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილია და ისინი გამოკვლეულია (იხ. 2016 წლის 12 აპრილის სხდომის ოქმი, 15:46:06-15:47:15).

25. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მსესხებელს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0.3 %-ის გადახდა დაეკისრებოდა. სესხის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2011 წლის 6 ივნისს 3 თვით, ხოლო გამოსყიდვის ხელშეკრულება – 2013 წლის 15 იანვარს. სესხის თანხის დაბრუნებიდან გამოსყიდვის ხელშეკრულების დადებამდე გასულია 16 თვე (დაახლოებით 480 დღე). გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოვალეს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, არ შეუსრულებია, რის გამოც მას პირგასამტეხლოს გადახდაც დაეკისრებოდა. აღნიშნულზე მოპასუხეებიც უთითებენ (იხ. ამ განჩინების 5.2 ქვეპუნქტი). კასატორი მის მიერ წარმოდგენილი ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს, თუ რატომ არ უნდა გადაეხადა ის თანხა, რაც მის მიერ ხელმოწერილი გამოსყიდვის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

26. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება არ განსხვავდება უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისაგან.

27. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებ-

ლობას, სადავო ხელშეკრულება ბათილად მიეჩნია და დავალიანების ოდენობა განესაზღვრა, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

28. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2-ე მუხლი). ვინაიდან, კასატორს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 4 ივლისის განჩინებით გადავადებული ჰქონდა, სახელმწიფო ბაჟის, 1987.5 (ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი აშშ დოლარი და ორმოცდაათი ცენტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, კასატორს დასახელებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა დაეკისრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინება;
3. ა. ქ-ეს (პ/ნ 0...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 4 ივლისის განჩინებით გადავადებული, სახელმწიფო ბაჟის, 1987.5 (ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი აშშ დოლარი და ორმოცდაათი ცენტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, გადახდა;
4. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

ბანკინება საქართველოს სასჯელით

№ას-429-412-2016

31 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა, იპოთეკის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. მ-სა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან კასატორი) და მ. ტ-ეს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მყიდველი, პირველი მოპასუხე ან აპელანტი) შორის 2012 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული სესხის, ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულების (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება) მიხედვით, ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ყვარელში, დ-ის ქ. №...-ში, საკადასტრო კოდი №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქონება ან ნასყიდობის საგანი), რომლის ღირებულება 10 000 აშშ დოლარს შეადგენდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე, 289.1 მუხლები);

2. სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით პირველი მოპასუხის სახელზე აღირიცხა;

3. ამავე ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკარმა მ. ვ-მა (შემდეგში იპოთეკარი, კრედიტორი), პირველ მოპასუხეს 7 000 აშშ დოლარი ასესხა (სსკ-ის 623-ე მუხლი; ხელშეკრულების 3.1. პუნქტი);

4. 2012 წლის 18 დეკემბრის ქირავნობის ხელშეკრულებით მყიდველმა მოსარჩელეს სადავო უძრავი ქონება დროებით სარგებლობაში გადასცა (სსკ-ის 531-ე მუხლი);

5. პირველმა მოპასუხემ ლ. ო-თან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც, გამსესხებელი, მეორე მოპასუხე) 2012 წლის 18 დეკემბერს დადო წერილობითი შეთანხმება 16 000 აშშ დოლარის სარგებლის გარეშე ერთი წლით სესხების შესახებ (სსკ-ის 623-ე მუხლი; ხელშეკრულების 2-3 პუნქტები);

6. 2014 წლის 7 აპრილს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნით, ასევე, მეორე მოპასუხის მიერ პირველი მოპასუხის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულების – 4 958 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, სადავო უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის მოთხოვნით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას არ მოჰყოლია შესაბამისი იურიდიული შედეგები – პირველ მოპასუხეს ნასყიდობის საგნის ღირებულება არ გადაუხდია, ასევე, ფაქტობრივ მფლობელობაში არ გადასცემია ნასყიდობის საგანი. რეალურად, ნასყიდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავდა პირველი მოპასუხის წინაშე მეორე მოპასუხის ვალდებულების – 10 000 აშშ დოლარის უზრუნველყოფას, რომლის ნაწილი, 5 042 აშშ დოლარი, დაფარული იყო;

7. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვა, მან ნასყიდობის საგნის ღირებულება – 10 000 აშშ დოლარი გადაიხადა. ამასთან, ნასყიდობის საგანი მას ფაქტობრივ მფლობელობაში არ გადასცემია, რადგან სადავო ქონებაზე ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმდა. მან 5 042 აშშ დოლარის მიღების ფაქტი დაადასტურა და აღნიშნა, რომ თანხა მეორე მოპასუხემ საზღვარგარეთიდან გამოუგზავნა მათ შორის არსებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით;

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

8.1. ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 18 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება;

8.2. სადავო უძრავი ქონება აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებად;

8.3. მეორე მოპასუხის მიერ პირველი მოპასუხისათვის 10 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონება.

9. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 50-ე, 56-ე, 286.1, 477-ე, 183-ე მუხლები.

10. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულების სახით საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულება, კერძოდ, ჩანაწერი – მყიდველი ვალდებულია, გადასცეს გამყიდველს ნასყიდობის ფასი ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისათავე. აპელანტის მტკიცებით, კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების 4.2. პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებდა ნასყიდობის საფასურის გადახდას ხელშეკრულების დამონმებისთანავე და არა – მის გადაცემას გარიგების დამონმების შემდეგ, როგორც ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში იყო ასახული. სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა ნოტარიუსის განმარტებაზეც იმის შესახებ, რომ „გამონაკლის შემთხვევებში სანოტარო ბიუროში თანხის გადაცემა არ ხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებული ჩანაწერის შესაბამისად“. აპელანტის მოსაზრებით, ასეთი განმარტება არ იყო საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ეს იყო საგამონაკლისო შემთხვევა და მოსარჩელეს უძრავი ნივთის საფასური არ გადასცემია. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება პირველ მოპასუხეს არ წარუდგენია. ყურადღებამისაქცევი იყო მოსარჩელის განმარტება, რომელიც ფაქტობრივად აღიარებდა იპოთეკარის მიერ პირველი მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტს, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის შემდეგ მონმეთა მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდის გარემოებების გაუხსენებლობა იმას არ ნიშნავდა, რომ მყიდველს ნასყიდობის ფასი არ გადაუხდია;

10.2. საქმის განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას არ მოჰყოლია შესაბამისი იურიდიული შედეგი; აპელანტის შეფასებით, სასამართლოს ეს დასკვნა საფუძველს მოკლებულია, რადგანაც სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემას ადასტურებდა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც ის გახდა მესაკუთრე. შესაბამისად, უძრავი ნივთის ნასყიდობის იურიდიული შედეგი დადგა; მართალია, ნასყიდობის საგანი ფაქტობრივ მფლობელობაში პირველ მოპასუხეს არ გადასცემია, მაგრამ ამას საფუძველად დაედო მხარეთა შორის არსებული შეთანხმება – წინა მესაკუთრისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობაში დატოვების შესახებ, შესაბამისი ქირის გადახდის პირობით, რაც საქმის მასალებში წარმოდგენილი ქირავნობის ხელშეკრულებით დასტურდებოდა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას შესაბამისი იურიდიული შედეგები არ მოჰყოლია, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აპელანტის სახელზე აღირიცხა, ხოლო მოსარჩელის მიერ სადავო ნივთის ფაქტობრივ ფლობას გააჩნდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი – ქირავნობა. ამასთან, პალატის განმარტებით, ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა ხაზს უსვამდა თავად პირველი მოპასუხის, როგორც სადავო ბინის მესაკუთრის, უფლების განხორციელებას – თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა თავისივე საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში შედეგად მოჰყვა ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმება. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ იმ გარემოებაზე მითითებას, რომ მოპასუხეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ნივთის საფასური არ გადაუხდია, პალატის განმარტებით, ამის დადასტურების შემთხვევაშიც, მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაბათილებას ვერ გამოიწვევდა, ვინაიდან გარიგების ბათილობის საფუძველები სამოქალაქო კოდექსით პირდაპირაა გათვალისწინებული, რომელთა შორისაც არ არის ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა ან სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა.

11.2. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მეორე მოპასუხის მიერ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ანგარიშში აპელანტისათვის 5 042 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში ნარდგენილ აპელანტსა და მეორე მოპასუხეს შორის 2012 წლის 18 დეკემბერს გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებაზე, რომელიც მათ შორის სასესხო ურთიერთობის არსებობას ადასტურებდა, ამასთან, თავად აპელანტიც მიუთითებდა, რომ მეორე მოპასუხე თანხას იხდიდა მათ შორის არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე.

11.3. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო, დაედასტურებინა სხვა ხელშეკრულების დადების მიზნის არსებობა. სასამართლოს განმარტებით, ამგვარი განზრახვა გარიგების მეორე მხარესაც უნდა ჰქონოდა, რაც საქმის გარემოებებით ვერ დად-

გინდა. ამდენად, არ არსებობდა დაფარული გარიგება, რომელიც გარიგების თვალთმაქცურად მიჩნევის აუცილებელი წინაპირობაა.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მონინალმდევე მხარემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მეორე მოპასუხის დაუსწრებლად, რომელსაც შეტყობინება კანონით დადგენილი წესით არ მიუღია;

12.2. სასამართლომ მხარეთა ქმედება სარწმუნო იყო თუ არა, არ შეაფასა გონიერი დამკვირვებლის თვალთ, როგორც ეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსგავს საქმეზე (სუსგ №ას-1278-1199-2015) განმარტებული „კონკრეტული ქმედება შეიძლება ექცეოდეს კანონის ჩარჩოებში, მაგრამ ეწინააღმდეგებოდეს გონიერი დამკვირვებლის თვალთ ადამიანურ ლოგიკას და ამგვარ სიტუაციაში მყოფი ადამიანის ქმედებას“;

12.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.1.5. ქვეპუნქტით დადგენილ გარემოებას და განმარტავს, რომ მყიდველის მიერ თანხის გადაუხდელობა და სადავო ქონების გამყიდველის ფაქტობრივ მფლობელობაში დარჩენა მოსარჩელის მიერ მითითებული იყო არა, როგორც გარიგების ბათილობის საფუძვლები, არამედ ამით სურდათ გარიგების თვალთმაქცურობის წარმოჩენა, სხვა გარემოებებთან ერთად, მაგალითად, როგორცაა, მეორე მოპასუხის პოზიცია, რომელსაც, კასატორის მოსაზრებით, მტკიცებულებითი ძალა გააჩნია;

12.4. კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.1.1.-4.1.4. ქვეპუნქტებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება თვალთმაქცური გარიგებაა, რომლითაც დაიფარა სხვა გარიგება – იპოთეკა;

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მო-

სარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად სწორად შეაფასა (იხ. წინამდებარე განჩინების პ.11).

17. მოსარჩელის მოთხოვნა ნასყიდობის საგანზე საკუთრების დაბრუნების თაობაზე წარმატებული იქნებოდა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და 979-ე მუხლის პირველი ნაწილით (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინამძღვრის ქვემოთ ჩამოთვლილი თამიმდევრობით განხორციელების შემთხვევაში:

ა) 2012 წლის 18 დეკემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე დაიდო, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა (სსკ-ის 56.1. მუხლი), ან მხარეებმა მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით სხვა გარიგება დაფარეს (სსკ-ის 56.2. მუხლი);

ბ) გამყიდველმა უძრავ ნივთზე საკუთრება მყიდველს სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ბათილი გარიგების საფუძველზე) გადასცა;

გ) ამის შედეგად მყიდველი გამდიდრდა.

18. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სწორად დაასკვნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია სსკ-ის 477-ე, 183-ე და 323-ე მუხლების შესაბამისად. საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წერილობითი შეთანხმება სადავო ნივთის ნასყიდობის თაობაზე. ასევე, დადგენილია, რომ, მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ქონება საკუთრების უფლებით შემძენის სახელზეა რეგისტრირებული. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ მხარეებს ხელშეკრულებაში ასახული ნება ნივთის გაყიდვისა და ყიდვისა არ გააჩნდათ. საკასაციო პალატა დასძენს, რომ კასატორის მიერ მითითებული ფაქტები არ ქმნის გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძველს, რადგან არ არის საკმარისი დასკვნისათვის, რომ სადავო გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგები არ მოჰყვა.

19. კასატორის მოთხოვნა 56-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ვერ იქნება წარმატებული. თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი, თუმცა მათი შინაგანი და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის იპოთეკის შესახებ შეთანხმების არსებობის დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა, ანუ მან ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის რეალიზაცია (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, იგი არ არის უფლებამოსილი, სადავო ქონებაზე საკუთრება დაიბრუნოს. რაც შეეხება ამ კუთხით მეორე მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას, როგორც მტკიცებულებას, პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს იმ ფაქტობრივი შემადგენლობის დადასტურება, რაც თვალთმაქცური გარიგების ყველა წინაპირობას მოიცავს. ასეთს წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ: ა) ნების გამოვლენის ნაკლზე, ბ) ფიქტიური გარიგების შესახებ შეთანხმებაზე, გ) საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას, დ) დაფარული გარიგების არსებობაზე. ამგვარ ვითარებაში, მხარეთა მტკიცებითი ფორმა, როგორც წესი, ორიენტირებულია საკუთარ ახსნა-განმარტებასა და მონშეთა ჩვენებაზე. მითითებული მტკიცებულებით კი, უნდა დასტურდებოდეს ზემოთ ხსენებული გარემოების არსებობა, ხოლო დასკვნა იმის შესახებ, ჩაითვალოს თუ არა თვალთმაქცურად გარიგება, უნდა გამოიტანოს სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე. ამდენად, მხარეთა ახ-

სნა-განმარტებითა და მოწმეთა ჩვენებით ხდება არა გარიგების თვალთმაქცურობის დადასტურება ან უარყოფა, არამედ – იმ გარემოებებისა, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ შესაბამისი დასკვნა უნდა გამოიტანოს.

20. სააპელაციო სასამართლომ სრულიად მართებულად დაასკვნა, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს აუცილებელია, ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს. ასეთ შემთხვევაში ნების გამოვლენის სუბიექტებს განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღება, თუმცა შინაგანი და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. დადებული გარიგებით ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ. თვალთმაქცური გარიგების დროს განხილვის საგანია გარიგების მხარეთა მიერ შინაგანი და გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება (შდრ. სუსგ №ას-439-421-2016, 22.09.2016; №ას-125-121-2016, 13.04.2016; №ას-171-159-2015, 29.04.2015). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა ურთიერთობა წარმოიშვა მხარეთა შორის, რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნიათ მათ ერთმანეთის მიმართ. საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება პირველ და მეორე მოპასუხეს შორის მომსახურების ხელშეკრულებისა და იპოთეკის არსებობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ არსებობდა სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები: ა) კრედიტორის ფულადი მოთხოვნა, ბ) მხარეთა შეთანხმება და გ) უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მითითებული გარემოებების დასადასტურებლად მოსარჩელეს სასამართლოსათვის არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ არ არსებობდა დაფარული გარიგება, რომელიც თვალთმაქცური გარიგების აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომლებიც გადანონიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, შესაბამისად, დავის სხვაგვარი სამართლებრივი შეფასების საფუძველს მისცემდა სასამართლოს, კასატორს არ წარუდგენია. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მხარეთა ნამდვილი ნება სადავო უძრავი ქონების, სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების – იპოთეკით დატვირ-

თვის თაობაზე.

22. კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მეორე მოპასუხე სათანადო წესით არ იყო მიწვეული სხდომაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო: მხარეს სასამართლო უწყება გაეზავნა სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე, გზაწილი ჩაჰბარდა ადრესატის ოჯახის წევრს. მანვე ჩაიბარა სატელეფონო უწყება და განაცხადა, რომ მეორე მოპასუხე საქართველოში არ იმყოფებოდა და ვალდებულია აიღოს, სასამართლოს სხდომის შესახებ ინფორმაცია გადაეცა ადრესატისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე მოპასუხემ შეიცვალა მისამართი, რის თაობაზეც სასამართლოსათვის არ უცნობებია, ამიტომ სასამართლო უწყება, სსსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, მისთვის ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს.

23. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

24. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-586-2019

28 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. სს „თ.“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ა-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ მიმდინარე სააბონენტო დავალიანებისა და დავალიანების რესტრუქტურისა და შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის – 5135.33 ლარის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 3 ივლისს მხარეთა შორის დაიდო დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანება – 5135.01 ლარის ოდენობით გადასახდელად გადაუნაწილდა 120 თვეზე. ყოველთვიურად გადასახდელი პორციის ოდენობა შეადგენდა 42.79 ლარს.

3. მოპასუხის დავალიანება შეადგენს 5135.33 ლარს, საიდანაც მოხმარებული ელექტროენერჯის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანებაა 385.43 ლარი, ხოლო ვალის რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანება კი – 4 749.90 ლარს. დავალიანება დაგროვებული და წარმოშობილია მრიცხველზე დარიცხული პერიოდული ჩვენებებით და დარიცხული დავალიანების არასრულყოფილი გადახდებით. აბონენტს ელექტროენერჯის ბოლო მოხმარება უფიქსირდება 2018 წლის 12 მარტს, ხოლო ბოლო გადახდა – 2017 წლის 27 სექტემბერს. მიუხედავად იმისა, რომ აბონენტისათვის ცნობილი იყო დავალიანების წარმოშობის საფუძვლების თაობაზე, იგი არ ფარავს მის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახდას.

4. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თუ მოვალე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს დარჩენილი ვალის სრულად დაფარვა. ამასთან, მოპასუხეს მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, აღიარებული აქვს აღნიშნული დავალიანება.

5. მოპასუხე არის სააბონენტო მისამართზე განთავსებული ქონების მესაკუთრე და ფაქტობრივადაც ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მოპასუხის პოზიცია:

6. მოპასუხემ სარჩელი ცნო მხოლოდ ნაწილობრივ – 2015 წლის ივნისიდან 2017 წლის 3 ივლისის ხელშეკრულების გაფორმებამდე დარიცხული დავალიანების – 788.25 ლარის ნაწილში. დავალიანების დარჩენილ ოდენობაზე მიუთითა, რომ 2017 წლის 3 ივლისს დადებული დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ნაწილი, რომელიც დარიცხულია 2015 წლის მაისის ჩათვლით – 4349.10 ლარი არის ხანდაზმული და აღიარების პერიოდშიც წარმოადგენდა ხანდაზმულ დავალიანებას, თუმცა მოსარჩელის მიერ ამ ინფორმაციის მინოდება არ მომხდარა.

7. მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულების დადების დროს იძულებული გახდა, ხელი მოეწერა დავალიანების გადანაწილებაზე, რადგან სახლში ჰყავდა ავადმყოფი ცოლი და აუცილებლად ესაჭიროებოდა ელექტროენერგია. სწორედ ამ სიტუაციით ისარგებლეს მოსარჩელის წარმომადგენლებმა და, ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგების გაცნობის გარეშე, მოაწერინეს მოპასუხეს ხელი ხელშეკრულებაზე. შესაბამისად, ხელშეკრულება დაიდო იძულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში არ აღდგებოდა ელექტროენერგიის მინოდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 788.25 ლარის გადახდა, რაც მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადან-

ყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მოსარჩელე კომპანიის აბონენტს წარმოადგენს.

11. 2017 წლის 13 ივნისს მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსარჩელეს და მოითხოვა მოხმარებული ელექტროენერჯის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანების გადანაწილება.

12. 2017 წლის 3 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხეს არსებული დავალიანება – 5135.01 ლარი გადაუნაწილდა 120 თვეზე. ყოველთვიური გადასახდელის მინიმალური პორცია განისაზღვრა 42.79 ლარით, ხოლო ბოლო თვის პორცია – 43 ლარით. გადანაწილებული თანხის გადახდა 2017 წლის აგვისტოს თვიდან უნდა დაწყებულიყო. ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალიანება 2000 წლიდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით წარმოიშვა მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების გადაუხდელობის შედეგად. ხელშეკრულების თანახმად, თუ მოვალე ერთხელ მაინც დაარღვევდა გადახდის გრაფიკს, კრედიტორი უფლებამოსილი იყო, ელექტროენერჯის მიწოდება შეენწყვიტა და გადანაწილებული დავალიანების სრულად დაფარვის მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიემართა.

13. დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მოპასუხეს ელექტროენერჯია არ მიუწოდებოდა. მას ელექტროენერჯის მიწოდება აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ აღუდგა.

14. მხარეთა შორის 2017 წლის 3 ივლისს გაფორმებული დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებები დაირღვა.

15. აბონენტის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 5135.33 ლარს, საიდანაც მიმდინარე დავალიანებაა 385.43 ლარი, ხოლო გადანაწილებული დავალიანების დარჩენილი ოდენობა – 4749.90 ლარი.

16. სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანებული თანხიდან 4349,10 ლარი არ უნდა დაეკისროს, ვინაიდან აღნიშნული თანხის რესტრუქტურის ხელშეკრულებით აღიარების მიუხედავად, მითითებული თანხის დაკისრების წინაპირობა არ არსებობს. აღნიშნული დასკვნის ფაქტობრივი საფუძველია მხარეთა შორის 2017 წლის 3 ივლისს გაფორმებული დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულების ბათილობა ხანდაზმული დავალიანების აღიარების ნაწილში.

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ სსკ) 54-ე

მუხლის თანახმად, არ შეიძლება ნამდვილი იყოს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. ამდენად, გარიგების ბათილობისას ამ ნორმის რომელიმე კომპონენტის დარღვევით დადებული ხელშეკრულება უნდა არსებობდეს.

18. მხარეთა შორის სადავო გარემოებებს, როგორც დავალიანების ხანდაზმულობა, ისე აღნიშნულ ნაწილში ვალის არსებობის აღიარების ფაქტის ნამდვილობა წარმოადგენს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საკვლევ გარემოებათა წრეს, უპირველესად, გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულების კანონშესაბამისობა და შემდეგ, აღნიშნული ხელშეკრულებით აღიარებული დავალიანების მოწინააღმდეგე მხარისთვის დაკისრების წინაპირობების კვლევა წარმოადგენს.

19. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დავალიანების რესტრუქტურისაზიის შესახებ ხელშეკრულება, თავისი არსით, ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარების ხელშეკრულებაა, რომელიც, თავის მხრივ, სსკ-ის 341-ე მუხლის რეგულირების რეჟიმში ექცევა. სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 341-ე მუხლის რეგულირებიდან გამომდინარე, ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა, რომლის, როგორც დამოუკიდებელი გარიგების ბუნებაზე, ზეგავლენას არ ახდენს წინმსწრებ სამართალურთიერთობასთან მისი ფორმალური ბმა. მაგალითისათვის, ვალის აღიარების ხელშეკრულებაში შეიძლება ჩანდეს, თუ რა სამართალურთიერთობა უძღოდა წინ მოვალესა და კრედიტორს, რამ განაპირობა მოვალის მხრიდან კრედიტორის სასარგებლოდ ვალის აღიარება, თუმცა, აღნიშნულ გარემოებას ვალის აღიარების ბუნების განსაზღვრის მიზნებისათვის სამართლებრივი დატვირთვა არ გააჩნია. შე-

საბამისად, ვალის აღიარება დამოუკიდებელია ვალის წარმოშობის საფუძვლებისაგან, რაც მის აბსტრაქტულ ბუნებას განაპირობებს. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება ვალდებულებას წარმოშობს, მიუხედავად აღიარებამდე არსებული ვალდებულების ხანდაზმულობისა, ბათილობისა და ა. შ. ამდენად, დავალიანების რესტრუქტურისაგან შესახებ ხელშეკრულების, როგორც ვალის აღიარების კონტექსტში დამოუკიდებელი გარიგების ინდიკატორია ის გარემოება, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება ნამდვილია, მიუხედავად იმისა, ნამდვილია, თუ არა ის გარიგება, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებაც მოვალემ ვალის აღიარების ხელშეკრულებით ცნო.

20. ამავედროულად, იმისათვის, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებამ, როგორც დამოუკიდებელმა გარიგებამ, ვალდებულება წარმოშვას, აუცილებელია, რომ პირი, რომელიც ვალს აღიარებს, აღნიშნული ვალდებულების არსს აცნობიერებდეს. მით უფრო, თუ ვალის აღიარების ხელშეკრულება ელექტრონურ გზით მომარაგებას ეხება, რა დროსაც ხელშეკრულების ერთ მხარეს დომინანტი მენარმე სუბიექტია, ხოლო მეორე მხარეს მომხმარებელი, მოხმარების საგანი კი – პირველადი, სასიცოცხლოდ აუცილებელი. ამ მიმართებით, საყურადღებოა, რომ აპელანტს აქვს სრული კანონისმიერი რესურსი მოსარჩელის ელექტრომომარაგებაზე ზემოქმედება მოახდინოს. 2017 წლის 13 ივნისის განცხადებით დგინდება, რომ საცხოვრებელ სახლში მისულ მონინაალმდევე მხარეს, რომელიც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე, პენსიონერ მშობლებთან ერთად იმყოფებოდა, ელექტროენერგია გათიშული დახვდა. ასევე უდავო გარემოებაა, რომ დავალიანების რესტრუქტურისაგან შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მოპასუხეს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. მას ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ აღუდგა.

21. ამასთან, „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია განაწილების ლიცენზიატის მიერ დავალიანების გადახდის მოთხოვნით, მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, თუ ამ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, სსკ-ის შესაბამისად, გაშვებულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებლის მხრიდან მოხდა მოთხოვნის არსებობის აღიარება სსკ-ის 137-ე მუხლით დადგენილი წესით). შესაბამისად, დაუშვებელია, ელექტროენერგიის შეწყვეტისა და ამ წესებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა მექანიზმის გამოყენება აღნიშნული დავალიანების აღიარების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიატი უფლებამოსი-

ლია, კომისიის ან სასამართლოს მეშვეობით, მომხმარებლისაგან მოითხოვოს დავალიანების გადახდა და თუ იქნება კომისიის თანხმობა ან სასამართლო განჩინება, შეუწყვიტოს ელექტროენერგიით მომარაგება დავის დასრულებამდე.

22. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე, რომელიც მოსარჩელე კომპანიის მიერ შეთავაზებული პირველადი საყოფაცხოვრებო პროდუქტის (ელექტროენერგიის) მომხმარებელია, სადავო გარიგების დადებისას არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გადაუხდელი ხანდაზმული დავალიანების რესტრუქტურისა და ხელშეკრულების დადების თაობაზე გამოვლენილი ნების შეფასებისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების მხედველობაში მიღება, რამაც მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნების თავისუფლების შეზღუდვა გამოიწვია, კერძოდ, მხარე აღმოჩნდა არჩევანის წინაშე, გაეფორმებინა ხელშეკრულება მოსარჩელესთან, თუ ოჯახთან ერთად დარჩენილიყო ელექტროენერგიის გარეშე, რაც არსებობისათვის მეტად მძიმე კომუნალურ პირობებს უქადდა. მითითებული გარემოებები სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ სადავო ხელშეკრულების გაფორმებით სოციალური სამართლიანობის პრინციპი დაირღვა, რადგან მოპასუხისთვის ცივილიზებული ცხოვრებისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსის მიღების საშუალებად სადავო ხელშეკრულების გაფორმება იქნა გამოყენებული. ამგვარი ნების გამოვლენის შედეგად დადებული გარიგება კი, სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, უცილოდ ბათილია, როგორც ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება. აღნიშნულ მსჯელობაზე გავლენას ვერ მოახდენს აპელანტის მითითება მასზედ, რომ მოპასუხემ არა მხოლოდ აღიარა სადავო დავალიანება, არამედ დაიწყო მისი გადახდა, რითაც დაადასტურა ხელშეკრულების ნამდვილობა და შეცილების უფლება დაკარგა ან/და ის გარემოება, რომ ელექტროენერგიის ქვითარზე დავალიანება მითითებულია, რადგან ნების გამოვლენა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად არ მომხდარა და ქვითარზე დავალიანების მითითება ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის, რომელსაც სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, დავალიანების ხანდაზმულობის შესახებ მიწოდებულ ადექვატურ ინფორმაციად ვერ იქნება მიჩნეული.

23. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია მომხმარებელთა უფლებების სფეროში ევროპის კავშირში მოქმედი დირექტივებისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიმოხილვაც.

24. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვების სამოქ-

მედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს.

25. დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის სტანდარტებთან. შეთანხმება ითვალისწინებს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერას. საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ევროკავშირის კარგი პრაქტიკის გათვალისწინებასაც გულისხმობს, კერძოდ, შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დაწერგვას, საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას და ა.შ.

26. განსახილველ დავასთან პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის 93/13/EEC დირექტივა უსამართლო სახელშეკრულებო პირობების შესახებ (<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A31993L0013>), რომლის მიერ დანერგილი პრინციპების იმპლემენტაცია, საქართველომ ასოციირების ხელშეკრულებით ივალდებულა. დირექტივის მიზანია, ხელი შეუწყოს ევროკავშირის ბაზრის განვითარებას მომხმარებელთა იმ სამართლებრივი და ეკონომიკური რისკებისგან დაცვის გზით, რომელიც შემთავაზებულმა, როგორც უკეთ ინფორმირებულმა/უფრო ძლიერმა ბაზრის მოთამაშემ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით ხელშეკრულების უფრო სუსტ მხარესთან – მომხმარებელთან შეიძლება გადაამისამართოს. ასეთ დროს მომხმარებლებს, როგორც წესი, წართმეული აქვთ შესაძლებლობა, სერვისის მიმწოდებელს/მეწარმეს მოელაპარაკოს ან/და სტანდარტული პირობები მოლაპარაკების საგნად აქციოს.

27. აღნიშნული დირექტივის თანახმად, იმისათვის, რათა სტანდარტული პირობა ბათილად არ იქნეს მიჩნეული, იგი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, უნდა იყოს სამართლიანი (საქმეზე C-415/11 პარაგრაფი 76, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სამართლიანობა გულისხმობს აშკარა დისბალანსის არარსებობას. მომხმარებლის საუარესოდ აშკარა დისბალანსის ცნება კი ნიშნავს პირობების გაანალიზებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მხედველობაში მიღების გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რათა დადგინდეს დადებული გარიგება მომხმარებელს ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს თუ არა, და თუ აყენებს, მა-

შინ, რა დოზით. იმ შემთხვევაში თუ სამართლებრივი შეფასების შედეგად დადგინდება პირობის უსამართლობა, მაშინ მომხმარებელს უნდა მიეცეს ასეთი პირობის შემდგომში გამოყენების აკრძალვის მოთხოვნის უფლება(ც) და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მიღებული (საქმეზე C-415/11 პარაგრაფი 76, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმის დასადგენად მხარეთა შორის უფლებრივი დისბალანსი კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევით წარმოიშვა, თუ არა, უნდა შეფასდეს მიმწოდებელს/გამყიდველს, სამართლიანი/თანაბარი მოლაპარაკების წარმოების პირობებში, შეეძლო ევარაუდა, თუ არა, რომ მომხმარებელი იგივე პირობას იმ შემთხვევაშიც დაეთანხმებოდა, თუ მათი შეთანხმება მხარეთა მიერ პირადად/ინდივიდუალურად იქნებოდა შეთანხმებული) (დირექტივის 3.1 მუხლი). ასევე დირექტივის მე-4 მუხლის თანახმად, კონკრეტული პირობის შეფასების დროს, ყურადღება უნდა მიექცეს მწოდებელი საქონლის/სერვისის ბუნებას და ხელშეკრულების დადების დროს არსებულ ყველა იმ მნიშვნელოვან გარემო-პირობებს, რომელთა გათვალისწინებითაც ხელშეკრულება დაიდო.

28. დირექტივით მომხმარებელთა დასაცავად სამი ძირითადი მექანიზმი გათვალისწინებულია, 1) როდესაც პირობა ცალსახად არასამართლიანი არაა, თუმცა, ორაზროვანია/ბუნდოვანია ან/და მისი შინაარსი საჭეჯოა, ასეთი პირობა ყოველთვის მომხმარებელთა სასარგებლოდ უნდა განიმარტოს (5.1 მუხლი), 2) არასამართლიანი სტანდარტული პირობა უპირობოდ ბათილია, იგი დადების მომენტიდან, მომხმარებლისთვის სავალდებულოდ არ ითვლება, აღნიშნული არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მომხმარებელი პირობის ბათილობას არ ითხოვს (მე-6 მუხლი) C-137-08 (49-ე პარაგრაფი) და 3) მომხმარებელს, რომელიც თავს არასამართლიანი პირობის მსხვერპლად გრძნობს, უფლება აქვს არასამართლიანი პირობებისგან დაცვის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმით ისარგებლოს. ამ მიმართებით ძალიან საინტერესოა დირექტივის ნოვაციია, რომლის ძალითაც, თუ მომხმარებელი არასამართლიანი პირობის შემდგომი გამოყენების აკრძალვის შესახებ მოთხოვნას დააყენებს, პირობა ბათილად ითვლება არა მხოლოდ ამ კონკრეტული მომხმარებლისთვის, არამედ ყველა სხვა ისეთი მომხმარებლისთვის, რომელსაც მიმწოდებელთან იდენტური შინაარსის ხელშეკრულება აქვს დადებული (მუხლი 7.2 და 7.3 ასევე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადანიშნულებულია საქმეზე C-472-10).

29. განსახილველ დავასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს მართლმსაჯულების სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის გადანიშნულებას, საქმეზე C-168/05, სადაც სასა-

მართლომ განმარტა, რომ საქმეებში სადაც მომხმარებელი მონაწილეობს, სასამართლოს არა უფლება, არამედ ვალდებულებაა საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს სტანდარტული პირობების ნამდვილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუღწეველი დარჩება 93/13/EEC დირექტივის მთავარი მიზანი – დაეცვას მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულებაში მონაწილე ნაკლებად ინფორმირებული/სუსტი რგოლი (საქმე C-397-11 (38-ე პარაგრაფი), ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ მას შემდეგ, რაც კონკრეტული პირობის არასამართლიანობა დადგინდება, სასამართლომ თავისივე ინიციატივით უნდა შეაფასოს თუ რამდენად შეიძლება ხელშეკრულება, აღნიშნული პირობის გარეშე დარჩეს ძალაში).

30. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს მიღებულ გადაწყვეტილებებში, C-137-08 (46-ე პარაგრაფი), C-40/08, C-240/98 სასამართლომ მიუთითა, რომ მომხმარებელთა დაცვის სისტემა, რომელიც აღნიშნული დირექტივითაა რეგლამენტირებული, ემყარება იდეას, რომ მომხმარებელი მიმწოდებელთან შედარებით „სუსტი მხარეა“ არა მხოლოდ მოლაპარაკების შესაძლებლობის არქონის, არამედ მისი დაბალი ინფორმირებულობის სტანდარტის გამო.

31. მომხმარებელთა დაცვის მიზნებისთვის, ასევე, ყურადსაღებია მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტიც. დირექტივის თანახმად, მიმწოდებელია ვალდებული ამტკიცოს, რომ სადავო პირობა არ არის უსამართლო სტანდარტული პირობა. ასევე, საქმეზე C 243/08 (პარაგრაფი 28) ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ მომხმარებელი თავისუფლდება ამტკიცოს, რომ იგი უსამართლო სტანდარტული პირობებით არ იბოჭება, ამგვარი მტკიცების გარეშეც, უსამართლო სტანდარტული პირობა მისთვის სავალდებულო არაა.

32. წინამდებარე განჩინებაში სასამართლომ უსამართლო ხელშეკრულების პირობის განმარტება ეროვნული და საუკეთესო ევროპული სტანდარტის გათვალისწინებით მოახდინა, რათა მომხმარებლის (მოპასუხის) უფლებები ძლიერ მხარესთან (ელექტროენერჯის მიმწოდებელი უმსხვილესი კომპანია) მიმართებით მეტად დაცული ყოფილიყო, რაც თავის მხრივ, სოციალური სამართლიანობისა და კონტრაქტების კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას ემსახურება.

33. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის, 129-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი

წელია. წინამდებარე განჩინებაში მოყვანილი მსჯელობის შესაბამისად, პალატამ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად მართებულად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი (4349.10 ლარი) სარჩელის აღძვრის მომენტში ხანდაზმული იყო და მიმდინარე დავალიანების, სულ – 788.25 ლარის გადახდის ვალდებულება მოპასუხე მხარეს კანონიერად დააკისრა, ხოლო რესტრუქტურიზაცია მხარისათვის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ წარმოშობს და ხანდაზმულობის ვადის დენას თავიდან არ იწყებს, ვინაიდან მხარემ ისე აღიარა ხანდაზმული დავალიანება, რომ მას, როგორც მომხმარებელს, არ მიეწოდა სრული და ჯეროვანი ინფორმაცია, რომ იგი ახალი გარიგებით, კერძოდ, რესტრუქტურიზაციით, რომელიც, თავისი არსით, სსკ-ის 341-ე მუხლის კონტექსტში, ვალის აღიარების ხელშეკრულებას წარმოადგენს, ისეთ დავალიანებას აღიარებდა, რომელიც ე.წ. „ნატურალურ“, ანუ ხანდაზმულ ვალდებულებას წარმოადგენდა, რომლის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობის არგუმენტზე დაყრდნობით, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა. შესაბამისად, მხარემ ახალი ხელშეკრულებით იკისრა იმ ძველი დავალიანების გადახდის ვალდებულება, რომელიც ხანდაზმული იყო. ელექტროენერჯის მიმწოდებელმა, და ბაზარზე გაბატონებულმა მხარემ მომხმარებელს არ მიანოდა სათანადო ინფორმაცია, რომ იგი ელექტროენერჯის მიღების საფუძვლით, რომელიც პირველადი მოხმარების პროდუქტია, ხანდაზმული დავალიანების გადახდის ვალდებულებას კისრულობდა.

34. სამოქალაქო პროცესში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების პრინციპი არსებობს. სსსკ-ის 102-ე მუხლი განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არცერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ სრულ და ობიექტურ განხილვას, შედეგად, სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად.

35. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს ითვალისწინებს (მაგ. შრომით-სამათლებრივი დავები) მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი წესი მოქმედებს, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ ის გარემოებები უნდა დაამტკიცოს, რომლებზეც იგი თავის მოთხოვნას ამყარებს. არ შეიძლება მხარეს ისეთი გარემოების მტკი-

ცების ტვირთი დაეკისროს, რომლის ზიდაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელია.

36. განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა სასამართლოს ვერ შეუქმნა მტკიცებულებებით გამყარებული შინაგანი რწმენა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვალის აღიარება და ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედება თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მოხდა, რაც სსკ-ის 137-ე და 144-ე მუხლების დისპოზიციით გათვალისწინებულ წინაპირობებს შექმნიდა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

37. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

38. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სადავო სამართალურთიერთობას ვერ მისცა სწორი კვალიფიკაცია. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა.

39. კასატორის მითითებით, საქმის მასალებიდან დგინდება, რომ მოპასუხე მოსარჩელე საზოგადოების აბონენტია, რომელმაც 2017 წლის 13 ივნისს მიმართა მოსარჩელეს, აღიარა გადაუხდელი დავალიანება და მოითხოვა მისი გადანაწილება. სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია მოთხოვნა ხანდაზმულად, ამავედროულად, მოპასუხეს ამ მხრივ შედავება არ განუხორციელებია.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

41. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

42. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მოსარჩელე კომპანიის აბონენტს წარმოადგენს.

43. 2017 წლის 13 ივნისს მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსარჩელეს და მოითხოვა მოხმარებული ელექტროენერჯის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანების გადანაწილება.

44. 2017 წლის 3 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხეს არსებული დავალიანება – 5135.01 ლარი გადაუნაწილდა 120 თვეზე. ყოველთვიური გადასახდელის მინიმალური პორცია განისაზღვრა 42.79 ლარით, ხოლო ბოლო თვის პორცია – 43 ლარით. გადანაწილებული თანხის გადახდა 2017 წლის აგვისტოს თვიდან უნდა დაწყებულიყო. ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალიანება 2000 წლიდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით წარმოიშვა მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობის შედეგად. ხელშეკრულების თანახმად, თუ მოვალე ერთხელ მაინც დაარღვევდა გადახდის გრაფიკს, კრედიტორი უფლებამოსილი იყო, ელექტროენერგიის მიწოდება შეეწყვიტა და გადანაწილებული დავალიანების სრულად დაფარვის მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიემართა.

45. დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მოპასუხეს ელექტროენერგია არ მიენოდებოდა. მას ელექტროენერგიის მიწოდება აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ აღუდგა.

46. მხარეთა შორის 2017 წლის 3 ივლისს გაფორმებული დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებები დაირღვა.

47. აბონენტის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 5135.33 ლარს, საიდანაც მიმდინარე დავალიანებაა 385.43 ლარი, ხოლო გადანაწილებული დავალიანების დარჩენილი ოდენობა – 4749.90 ლარი.

48. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სა-

სამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

49. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

50. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მოხმობილ უნდა იქნეს სსკ-ის 54-ე მუხლი, რომლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

51. ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, არ შეიძლება ნამდვილი იყოს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს.

52. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

53. ამდენად, გარიგების ბათილობისას უნდა არსებობდეს ამ ნორმის რომელიმე კომპონენტის დარღვევით დადებული ხელშეკრულება (სუსგ 1.03.2016წ. საქმე №ას-15-15-2016, 28.02.2018წ. საქმე №ას-28-25-2017, 10.11.2017წ. საქმე №ას-1106-1026-2017,

14.07.2014წ. საქმე №ას-375-352-2014).

54. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინების 27-ე-29-ე პუნქტებში განვითარებულ მსჯელობას, თუმცა აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენს იმ საკითხზე, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე, რომელიც მოსარჩელე კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტის მომხმარებელია, სადავო გარიგების დადებისას არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გადაუხდელი ხანდაზმული დავალიანების რესტრუქტურისა და ხელშეკრულების დადების თაობაზე გამოვლენილი ნების შეფასებისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების მხედველობაში მიღება, რამაც მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნების თავისუფლების შეზღუდვა გამოიწვია, კერძოდ, მხარე აღმოჩნდა არჩევანის წინაშე, გაეფორმებინა ხელშეკრულება მოსარჩელესთან, თუ ოჯახთან ერთად დარჩენილიყო ელექტროენერჯის გარეშე, რაც არსებობისათვის მეტად მძიმე კომუნალურ პირობებს უქადდა (სუსგ 29.06.2018წ. საქმე №ას-641-641-2018).

55. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეებს შორის დავალიანების აღიარების შესახებ ხელშეკრულება წარმოდგენს უცილოდ ბათილ, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებას, რომელიც მოპასუხის მხრიდან შეცილებას არ საჭიროებდა (სუსგ 26.10.2018წ. საქმე №ას-208-197-2017).

56. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

57. კასატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

58. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძვლით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

59. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

61. სსსკ-ის 401-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2019 წლის 25 აპრილს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ სს „თ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2019 წლის 25 აპრილს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

გადაწყვეტილება საქართველოს სასწრაფო

№ას-33-33-2018

2 აგვისტო, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბა-
თილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნოტარიუსმა ე. შ-მა, 2004 წლის 21 მარტს, ქონების მართვისა და განკარგვის მინდობილობა გასცა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი ...), რომლითაც ნ. შ-ძემ, როგორც „საკუთრების მიმდობმა“, მ. შ-ძეს (შემდეგში: „მინდობილი მესაკუთრე“) მართვის და განკარგვის უფლებით გადასცა მის სახელზე რიცხული მთელი ქონება.

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, საწარმო, აპელანტი ან კასატორი) დირექტორად რეგისტრირებულია შ. გ-ა, რეგისტრაციის საფუძველია საწარმოს სადამფუძნებლო კრების ოქმი №1, დათარიღებული 24/12/1998 წლით.

3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით საწარმოს დომინანტი პარტნიორი 88.5% წილის უფლებით ნ. შ-ძეა.

4. ქ. თბილისში, ..., მდებარე უძრავი ქონება, რომლის ფართობია 2832 კვ.მ, 2004 წლის 17 აგვისტოს მდგომარეობით, ირიცხება სახელმწიფოს სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია 2004 წლის 30 ივნისის ხელშეკრულება უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (იხ. შემდეგში: სადავო ხელშეკრულება).

5. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (შემდეგში: მოპასუხე ან სამინისტრო) 2005 წლის 7 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, პ. გ-ს საკუთრებაში გადასცა პირობადადებული საკუთრება, მდებარე ქ. თბილისში, ..., რომლის ღირებულება განისაზღვრა 810 000 (რვაას ათი ათასი) აშშ დოლარით (ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში).

6. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. შ-ძისა (საკუთრების

მიმდობისა) და მ. შ-ძის (მინდობილი მესაკუთრის) წინააღმდეგ საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ქ. თბილისის პროკურატურაში გამოძიება და შესაბამისად სისხლისსამმართლებრივი დევნა 2003-2004 წლებში არ მიმდინარეობდა.

7. სანარმოს სარჩელის საფუძვლები და მოთხოვნა

7.1. სანარმომ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) 2014 წლის 30 ივნისს სარჩელი აღძრა სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა სახელმწიფოსთან 2004 წლის 22 ივნისს დადებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლითაც სანარმომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტში მითითებული უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებად უსასყიდლოდ გადასცა; ასევე სანარმომ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება – 810 000 (რვაას ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

7.2. სანარმოს სარჩელი შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება:

7.2.1. ნოტარიუსმა ც. ბ-ძემ 2004 წლის 30 ივნისს დაამონმა უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სანარმომ სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა ქ. თბილისში, ... მდებარე 2832 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 1211.63 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობით. ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო სანარმოს დომინანტი პარტნიორის (ნ. შ-ძის და მისი წარმომადგენლის მ. შ-ძის) მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო იძულებით, რომლის ძალადობრივი აქტით საზოგადოებამ დაკარგა საკუთრების უფლება ზემოხსენებულ უძრავ ქონებაზე. მითითებული ქონება მოპასუხემ (სამინისტრომ) მალევე გაასხვისა მესამე პირზე, ამ უკანასკნელმა კი, უძრავ ქონებაზე საკუთრება, ასევე, სხვა პირზე გადააფორმა;

7.2.2. უძრავი ქონების უსასყიდლოდ/საჩუქრად გადაცემის ხელშეკრულების ხელმოწერა, 2004 წლის 30 ივნისს, განპირობებული იყო სანარმოს დომინანტი პარტნიორისა (საკუთრების მიმდობისა) და მისი წარმომადგენლის (მინდობილი მესაკუთრის) მართლსაწინააღმდეგო იძულებით, რომელიც გამომდინარეობდა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან;

7.2.3. მოსარჩელე უთითებს, რომ 2004 წლისათვის საქართველოს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საჯარო მოწოდება მდგომარეობდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ე. შ-ძის ოჯახის წევრებისაგან ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობაში, რაც მასობრივი ინ-

ფორმაციის საშუალებებით არაერთხელ იქნა გაცხადებული თავად ქვეყნის იმდროინდელი პირველი პირისგან;

7.2.4. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ე. შ-ძის ოჯახის წევრებთან მიმართებით გაცხადებული ზემოხსენებული სახელმწიფო პოლიტიკა, სამართლადამცავი ორგანოების გამოყენებით, მოსარჩელის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის ნებაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებაში აისახა, რადგან მ. შ-ძე და ნ. შ-ძე განეკუთვნებოდნენ ე. შ-ძის უახლოესი ნათესაეების წრეს, ამასთან, ისინი წარმოადგენენ სანარმოს დომინანტ პარტნიორსა და მის წარმომადგენელს. სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისათვის ზემოქმედება განხორციელდა უშუალოდ მ. შ-ძის (მინდობილი მესაკუთრის) მიმართ, რათა ამ უკანასკნელის მეშვეობით განხორციელებულიყო ინტერესს განკუთვნილი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა;

7.2.5. შს სამინისტროს გამოძიებლებმა, 2004 წლის ივნისის დასაწყისში, მოითხოვეს, რომ მ. შ-ძეს (მინდობილ მესაკუთრეს) უზრუნველყო შ-ძეების ოჯახის კომპანიების საკუთრებაში რიცხული რამდენიმე ქონების, მათ შორის, ზემოხსენებული სადავო უძრავი ნივთის, სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, რის სანაცვლოდ მინდობილი მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები არ მიეცემოდნენ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში. მოთხოვნა უნდა შესრულებულიყო სამი დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მინდობილ მესაკუთრეს დააკავებდნენ. ამ უკანასკნელის დაკავება მომდევნო დღეს დაიგეგმა, თუმცა, ეს სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი პირის სახლიდან გაქცევის გამო;

7.2.6. მოსარჩელის მტკიცებით, მხარეთა საერთო ნაცნობის, შუამავლის მეშვეობით მ. შ-ძე შეხვდა შს სამინისტროს მაღალჩინოსანს – ე. კ-ას, რომელმაც პირად საუბარში დაუდასტურა მისი დაკავების დავალების არსებობა, რაც უკავშირდებოდა ქონების მიმართ სახელმწიფოს ინტერესს. შუამავლის მეშვეობით ე. კ-თან შეხვედრა გაგრძელდა საქართველოს შს სამინისტროს ე.წ. „მოდული“-ს შენობაში მთელი ღამის განმავლობაში, რის შემდეგაც მ. შ-ძეს შეხვდა ქ. თბილისის მთავარი პროკურორი გ. ლ-ი. ამ უკანასკნელმა შემდეგ უშუალოდ და პირადად უზრუნველყო სადავო ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება ნოტარიუსთან და პროკურორი თავადაც ესწრებოდა ხელშეკრულების ხელმოწერას. მ. შ-ძეზე მიმაგრებულ იქნა ოპერატიული სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც მუდმივად იმყოფებოდნენ მასთან, მიუთითებდნენ სადავო ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობაზე და არ აძლევდნენ საშუალებას, თავისუფლად გადაადგილებულიყო. მაღალჩინოსანთა მხრიდან ცალსახად იქნა გაცხადებული, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მ. შ-ძეს და მის

ოჯახის წევრებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდა;

7.2.7. სანარმოს დომინანტ პარტნიორზე (საკუთრების მიმდობ-ზე) სახელმწიფოს მაღალჩინოსანთა განხორციელებული ზეწოლის გამო, სანარმოს დანარჩენი პარტნიორები იძულებული იყვნენ, და-თანხმებოდნენ სახელმწიფოსათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას. მოსარჩელის მითითებით კონკრეტულად, მართლსაწი-ნააღმდეგო ზემოქმედება მდგომარეობდა სანარმოს პარტნიორე-ბის ნ. და მ. შ-ძეების ოჯახის მიმართ სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო იძულებაში. მართლსაწინააღმდეგო იძულება კი გამოვლინდა, მ. შ-ძის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასა და დაპა-ტიმრებასთან დაკავშირებით განხორციელებულ მუქარაში. იმის მი-უხედავად, რომ მ. შ-ძის და ნ. შ-ძის მიმართ არ განხორციელებულა სისხლისსამართლებრივი დევნა, მოსარჩელის მტკიცებით, სანარ-მოს დომინანტი პარტნიორის მინდობილი მესაკუთრის წინააღმდეგ განხორციელებული ზემოხსენებული მუქარის რეალობა მდგომარე-ობდა შ-ძეების ოჯახთან დაახლოებული პირის რ. ხ-ძის დაპატიმრე-ბაში. მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილია არაერთი საგაზეთო სტატია და ვიდეო კოლაჟი, რომლებიც ასახავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა, სახელმწიფოს მაღალჩინოსანთა მი-თითებას, საჯარო ინტერვიუებს, სადაც აღბეჭდილია მინიშნება ზე-მთ დასახელებულ სისხლის სამართლის საქმესთან ნ. და მ. შ-ძე-ბის ოჯახის შემხებლობის თაობაზე, რაც სახელმწიფოსათვის ქონე-ბის უსასყიდლოდ დათმობას მოიაზრებს. მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს რ. ხ-ძის პატიმრობის ვადაზეც, რომელიც გრძელდებო-და 2004 წლის 2 ივნისიდან იმავე წლის 28 ივნისის ჩათვლით, რაც ემთხვევა სადავო ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ დათ-მობის პერიოდს. ამ საქმესთან დაკავშირებითაც, 2004 წლის 24 მა-ისს, მ. შ-ძე იმყოფებოდა ე.წ მოდულის შენობაში. მოსარჩელის მტკი-ცებით, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს იმის საილუსტრაციო მა-გალითს, თუ რა შედეგები დადგებოდა მ. შ-ძის მიმართ, თუკი სა-ხელმწიფოსთვის სადავო ქონების უსასყიდლოდ გადაცემა არ მოხ-დებოდა (იხ. სარჩელი; მტკიცებულებები).

7.2.8. მოსარჩელე სანარმომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, საკუთა-რი პოზიციის გასამყარებლად მიუთითა საკასაციო სასამართლოს განჩინებებზე: №ას-15-15-2016, 01.03.2016წ; №ას-225-215-2016, 25.05.2016. ამასთან, შესაგებელში მოპასუხის მიერ სარჩელის ხან-დაზმულობის თაობაზე მითითებულ პოზიციასთან დაკავშირებით, 2016 წლის 16 ივლისს წარდგენილ განცხადებაში მიუთითა, რომ სარჩელი 2004 წლის 30 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულე-

ბის ბათილად ცნობას ეხება, რომელიც წარდგენილია 2014 წლის 30 ივნისს (ორშაბათს), რაც მიუთითებს მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადის დაცვაზე.

8. მოპასუხე სამინისტროს შესაგებელი

8.1. სამინისტრომ წერილობით წარდგენილი შესაგებელით მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მარტოოდენ იმის მტკიცება, რომ ხელშეკრულების დადება განხორციელდა იძულებით, უპირობოდ ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველს არ წარმოადგენს;

8.2. კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში წარდგენილი მასალებით არ არის დადასტურებული, რომ სანარმოს პარტნიორებზე მიმდინარეობდა სამართლებრივი დევნა, პირთა მიმართ განხორციელებული იძულება სათანადო წესით არ არის დადასტურებული. შესაბამისად, მოწმეთა ახსნა-განმარტებები და მოსარჩელის მოსაზრებები საკმარისი არ არის სადავო ხელშეკრულების იძულების ზეგავლენით დადებულად კვალიფიკაციისთვის. ამასთან, მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ სადავო გარიგება დაიდო იძულების გზით და მოპასუხედ დასახელებული სამინისტროს მხრიდან განხორციელებულმა ქმედებამ პირდაპირ და უშუალოდ განაპირობა შედეგად 2004 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების დადება;

8.3. მოპასუხე უთითებს სასარჩელო მოთხოვნის განუხორციელებადობაზე, მისი ხანდაზმულობის გამო და აღნიშნავს, რომ იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, რაც აითვლება იძულების დამთავრების მომენტიდან. იმ დაშვებითაც, რომ გარიგების დადების მიზნით ადგილი ჰქონდა იძულებას, მხარეთა შორის სადავო გარიგება 2004 წელს დაიდო, შესაბამისად, მხარეს შეცილება უნდა განეხორციელებინა ხელშეკრულების დადების შემდეგ, კანონით დადგენილი ერთი წლის განმავლობაში.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სანარმოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა 2004 წლის 30 ივნისის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და მოპასუხისათვის, ზიანის სახით, 810 000 აშშ დოლარის დაკისრებაზე;

9.2. საქალაქო სასამართლომ მიუთითა წინამდებარე გადაწყვეტილების 7.2.1-7.2.7 ქვეპუნქტებში ასახულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე და შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

9.2.1. ერთი მხრივ, შ. გ-ას, როგორც მოსარჩელე სანარმოს დირექტორსა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, და მე-

ორე მხრივ, მ. ს-ს, როგორც მოპასუხე სამინისტროს წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირს შორის, 2004 წლის 30 ივნისს, დაიდო ხელშეკრულება უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

9.2.2. ხელშეკრულების თანახმად, შ. გ-ამ განაცხადა, რომ მას სურს საწარმოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ..., საზოგადოების პარტნიორთა 2004 წლის 30 ივნისის კრების ოქმის საფუძველზე, უსასყიდლოდ/საჩუქრად გადასცეს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო მ. ს-მ, სამინისტროს სახელით განაცხადა, რომ მას სურს მიიღოს საკუთრებაში საწარმოს კუთვნილი უძრავი ქონება. უსასყიდლოდ/საჩუქრად გადასაცემა ქონების ფასი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა – 700 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში – 1 344 000 ლარით (იხ. უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულება).

9.2.3. დადგენილია, რომ 2004 წლის 30 ივნისს გაიმართა შპს „...“-ის პარტნიორთა კრება, რომლის ოქმის მიხედვით, დღის წესრიგის საკითხს წარმოადგენდა მოსარჩელე საწარმოს კუთვნილი უძრავი ქონების (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.2.2 ქვეპუნქტი) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ/საჩუქრად გადაცემა. შპს „...“ არის შპს „გ-ის“ (მოსარჩელე საწარმოს) 90%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი, საიდანაც 88.5%-იანი წილის, ე.ი საკონტროლო პაკეტის, მფლობელი არის ნ. შ-ძე (საკუთრების მიმნდობი). მოსარჩელე საწარმოს პარტნიორებმა სურვილი გამოთქვეს, საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სახით, უსასყიდლოდ გადასცემოდა სახელმწიფოს. ამ საკითხზე აზრი გამოთქვა და თანხმობა განაცხადა საკონტროლო პაკეტის მფლობელის ნ. შ-ძის რწმუნებულმა მ. შ-ძემ (მინდობილმა მესაკუთრემ) – (იხ. პარტნიორთა კრების ოქმი);

9.2.4. მოსარჩელე საწარმოს პარტნიორთა კრების 2004 წლის 30 ივნისის ოქმის საფუძველზე საზოგადოების პარტნიორებმა განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვიტეს, რომ საზოგადოების კუთვნილი ქონება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.2.2 ქვეპუნქტი) უსასყიდლოდ გადასცენ სახელმწიფოს. კრებაზე აზრი გამოთქვა საზოგადოება „...“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი პარტნიორის მინდობილმა მესაკუთრემ მ. შ-ძემ (იხ. 2004 წლის 30 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმი).

9.3. საქალაქო სასამართლომ მხარეთა პოზიციების მოსმენის, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა განმარტებების მოსმენისა და ერთობლივად შეჯერება-გაანალიზების

საფუძველზე დაასკვნა, რომ მოსარჩელე მხარემ სასამართლოს ვერ დაუდასტურა სადავოდ გამხდარი გარიგების იძულებით დადების ფაქტი.

9.3.1. სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად, კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. ამავე კოდექსის 102-ე მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალურ სტანდარტს და, ზოგადი წესის თანახმად, თითოეულ მხარეს ევალება მის მიერ მითითებული გარემოების დამტკიცება, თუმცა, ამავე ნორმის მე-3 ნაწილი ყურადღებას ამახვილებს რიგი გარემოებების სათანადო, განკუთვნილი მტკიცებულებებით დადასტურების აუცილებლობაზე. ამგვარი სათანადო მტკიცებულებების სახეს კი, როგორც წესი, მატერიალური კანონმდებლობა განსაზღვრავს;

9.3.2. მოსარჩელე მოვალეა დაამტკიცოს ფაქტები, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მის სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ასეთი მოთხოვნის უფლებას გააქარწყლებენ – დაკისრებული აქვს მოპასუხეს. აქვე აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ფაქტების დამტკიცებას იწყებს მოსარჩელე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე.

9.3.3. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა: მ. ს-მ (მოპასუხე სამინისტროს წარმომადგენელი სადავო გარიგების დადების დროს) და ც. ბ-ქემ (ნოტარიუსი) განმარტეს, რომ ხელშეკრულება

დაიდო თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე და მას რაიმე ფაქტორი (მუქარა, ზენოლა) წინ არ უძღოდა. ნოტარიუსმა აღნიშნა, რომ მის სანოტარო ბიუროში ნამდვილად იმყოფებოდა ქალაქის იმდროინდელი პროკურორი გ. ლ-ი, თუმცა, მ. შ-ძის (მინდობილი მესაკუთრის) მიმართ ზენოლა არ შეუმჩნევია. პირიქით, ხელშეკრულების დადების ინიციატივა მომდინარეობდა მ. შ-ძისგან და საჭირო დოკუმენტაციაც მის მიერ იქნა წარდგენილი;

9.3.4. მონმე მ. შ-ძემ (მინდობილმა მესაკუთრემ) განმარტა, რომ ნამდვილად იმყოფებოდა ე.წ „მოდული“-ს შენობაში დაკითხვაზე, სადავო ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე, თუმცა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა. მონმემ ზენოლის ფაქტად ასევე მიიჩნია მათი ოჯახის ახლობლის რ. ხ-ძის დაკავება, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისაგან მას არ ჰქონია ინფორმაცია, რომ ხ-ძის დაკავება დაკავშირებული იყო მის ოჯახთან;

9.3.5. მონმე თ. ბ-მა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა მ. შ-ძის დაბარება ე.წ მოდულის შენობაში, სადაც სთხოვდნენ ქონების გადაფორმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მიუთითებდნენ, რომ საფრთხე შეექმნებოდა მას და მისი ოჯახის წევრების თავისუფლებას. მონმემ განმარტა, რომ შექმნილ ვითარებაში მ. შ-ძემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქონება ეჩუქებინა სახელმწიფოსათვის. მონმემ მიუთითა, რომ მ. შ-ძის და ნ. შ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.

9.4. საქალაქო სასამართლომ მონმეთა (მ. შ-ძის და თ. ბ-ის) ჩვენების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ მათი არგუმენტები დამყარებულია მხოლოდ ვარაუდებზე და პირდაპირი სახის მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მხრიდან იძულების განხორციელების ფაქტს დაადასტურებდა, მოსარჩელემ ვერ წარადგინა.

9.5. სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში და იგი აითვლება იძულების დამთავრების მომენტიდან. იმ დაშვებითაც, რომ ადგილი ჰქონდა იძულებას გარიგების დადების მიზნით, სადავო გარიგება მხარეთა შორის დაიდო 2004 წელს, შესაბამისად მხარეს შეცილება უნდა განხორციელებინა ხელშეკრულების დადების შემდეგ, კანონით დადგენილი ერთი წლის განმავლობაში.

9.6. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივაციისას გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე, 54-ე, 85-ე, 86-ე, 87-ე, 88-ე, 524-ე მუხლები, ასევე – „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი;

9.6.1. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში

დავის საგანს წარმოადგენს 2004 წლის 30 ივნისს იძულებით დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სსკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. მითითებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა რამდენიმე გარემოებაზე. უპირველეს ყოვლისა, მისი განმარტებით სადავო გარიგება დაიდო იძულების შედეგად. გარდა ამისა, მოსარჩელის განმარტებით, სადავო გარიგება მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ხასიათისაა. შესაბამისად, სადავო გარიგების შეცილების თითოეული საფუძველი სასამართლოს მხრიდან დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს.

9.6.2. სადავო გარიგების ბათილად ცნობისათვის უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: 1) რა მიზანს ემსახურებოდა და რა მოტივით იყო განპირობებული მოსარჩელის განზრახვა სადავო გარიგების დადებისას; 2) სადავო გარიგების მიმართ ზემოქმედების ფაქტის არსებობა გარიგების მეორე მხარის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან;

9.6.3. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებული გარემოებების დადგენის მიზნით, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს სადავო გარიგებაში მონაწილე პირთა სტატუსი, მოქმედების მიზანი და მოტივი.

9.6.4. სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილია, 2004 წლის 30 ივნისს გაიმართა შპს „...“-ის პარტნიორთა კრება, სადაც დღის წესრიგის საკითხს წარმოადგენდა შპს „გ-ის“ კუთვნილი უძრავი ქონების (იხ. 9.2.2 ქვეპუნქტი) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ/საჩუქრად გადაცემა. შპს „...“ არის შპს „გ-ის“ 90%-იანი წილის მფლობელი, საიდანაც 88.5% ე.ი საკონტროლო პაკეტის მფლობელი არის ნ. შ-ძე. შპს „გ-ის“ პარტნიორებმა თავისუფალი ნების საფუძველზე სურვილი გამოთქვეს, საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმწიფოსთვის. მითითებულ საკითხზე თანხმობა გამოთქვა საკონტროლო პაკეტის მფლობელის ნ. შ-ძის რწმუნებულმა მ. შ-ძემ, რომელიც სანოტარო აქტის საფუძველზე უფლებამოსილი იყო, ემართა და განეკარგა ნ. შ-ძის მთელი ქონება. ამასთან, ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა დადასტურებულ იქნა 2004 წლის 30 ივნისს საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, სადაც საზოგადოების პარტნიორებმა განსაკუთრებული საფუძველებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვიტეს, რომ საზოგადოების კუთვნილი ქონება უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმწიფოსთვის.

9.6.5. დადგენილია, რომ დასახელებული მინდობილობის ფარგლებში მ. შ-ძე უფლებამოსილი იყო საზოგადოების პარტნიორთა

კრებაზე დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი და მიეღო გადაწყვეტილება ნ. შ-ძის ქონების განკარგვის თაობაზე (იხ. მინდობილობა). სსკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

9.6.6. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტები თავისუფალი არიან ხელშეკრულების დადებისას, ისინი ირჩევენ კონტრაჰენტს, ხელშეკრულების შინაარსს და განსაზღვრავენ შედეგს, რომლის მიღებაც მათ სურთ. დადგენილია, რომ 2004 წლის 30 ივნისს საზოგადოების პარტნიორებმა, ჩატარებული კრების ოქმებით სურვილი გამოთქვეს შპს „გ-ი“-ს კუთვნილი უძრავი ქონება სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაეცათ. საზოგადოების გადაწყვეტილების საფუძველზე 2004 წლის 30 ივნისს სახელმწიფოსა და შპს „გ-ი“-ს დირექტორს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება.

9.6.7. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს. გამჩუქებელმა გამოავლინა ჩუქების ნება, რომელიც დასაჩუქრებულმა მიიღო. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მხარეებმა ჩუქების ხელშეკრულება დაუკავშირონ ამა თუ იმ პირობის შესრულებას ან მიზნის მიღწევას. აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობით ან საერთო-სასარგებლო მიზნებით, ან/და მჩუქებლისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ მისი კუთვნილი ქონების მესაკუთრე გახდეს სახელმწიფო. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ ვინაიდან გარიგების მხარეს (დასაჩუქრებულს) სახელმწიფო წარმოადგენს, გამჩუქებლის ნება გამოვლენილია იძულების შედეგად, საქალაქო სასამართლომ არ მიიჩნია დასაბუთებულად.

9.6.8. სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. ხოლო ამავე კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამავდროულად, სსკ-ის 87-ე მუხლის თანახმად, იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გა-

რიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. როგორც იძულება, ისე მოტყუება, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. იძულების დროს ნების გამოვლენის პროცესში აშკარა ჩარევა ხდება. იძულების მიზანს გარიგების დადება წარმოადგენს. იძულება მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძველად, როდესაც მისი ზეგავლენით მოხდა გარიგების დადება. იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში ან მუქარაში. ძალადობა ფიზიკურ იძულებას გულისხმობს, ხოლო მუქარის შემთხვევაში, მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიში აიძულებს პირს, მოახდინოს სხვისი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა. ამასთან, გარიგების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი იძულება, არამედ ისეთი, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე. პირზე გავლენას ახდენს ისეთი იძულება, რომელიც აფიქრებინებს მას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამდენად, იძულება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიან იძულებად, თუკი იგი რეალური საფრთხის მაუწყებელია. თუ საფრთხე მოჩვენებითია, მაშასადამე, იძულებაც ამ აზრით არარსებულია. იძულების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გამოცდილებები (იხ. სუსგ №132-124-2015, 29.04.2015 წ.).

9.6.9. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ იძულების ნორმატიული შინაარსი მოცემულია ძალადობისა და მუქარის შემადგენლობით. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს კვლევის საგანს მუქარით განხორციელებული იძულება წარმოადგენს, რადგან ძალადობა განიხილება ფიზიკური ზემოქმედების კონტექსტით, ხოლო სარჩელში ასახული ფაქტობრივი შემადგენლობა არ არის წარმოდგენილი ასეთი შინაარსით. უფრო მეტიც, საქმის გარემოებათა გამოკვლევისას დადგინდა, რომ მ. შ-ძის ე.წ „მოდული“-ს შენობაში ვიზიტისას მის ფიზიკურ იძულებას ადგილი არ ჰქონია. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა თ. ბ-მა განმარტა, რომ მ. შ-ძესთან გასაუბრება მიმდინარეობდა საკმაოდ მშვიდ გარემოში. სასამართლო განმარტავს, რომ მუქარის, როგორც იძულების ერთ-ერთი კომპონენტის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე ფაქტორი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მუქარა თავისი ხასიათით უნდა იყოს სახიფათო, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო მტკიცებულებებით არ იქნა დადასტურებული.

9.6.10. საქალაქო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებით დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. შ-ძისა და მ. შ-ძის მიმართ საქართველოს

მთავარ პროკურატურასა და ქ. თბილისის პროკურატურაში გამოძიება და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა 2003-2004 წლებში არ მიმდინარეობდა. მითითებული გარემოება დადასტურებულ იქნა მოსარჩელისა და მოწმეთა ჩვენებებითაც;

9.6.11. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტზე, რომლითაც იგი მიუთითებდა, რომ, მართალია, უშუალოდ მ. შ-ძე და ნ. შ-ძე არ იყვნენ სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტები, თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მ. შ-ძეზე განხორციელებული ზემოხსენებული მუქარის რეალობა მდგომარეობდა მის ოჯახთან დაახლოებული პირის – რ. ხ-ძის დაპატიმრებაში. ამ კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებიდან დგინდება, მითითებული გარემოებები დროში ერთმანეთთან დაკავშირებულია, კერძოდ, რ. ხ-ძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობა გამოყენებული იქნა 2004 წლის 28 ივნისს, ხოლო სადავო ხელშეკრულება გაფორმდა იმავე წლის 30 ივნისს, თუმცა, რ. ხ-ძე დააკავეს სხვა საფუძვლებითა და მოტივით, შესაბამისად, ხ-ძის დაკავებას, ნ. და მ. შ-ძეებზე სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან განხორციელებულ ზემოქმედების ფაქტორად სასამართლო ვერ შეაფასებს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სადავო გარიგების მხარე არც მ. შ-ძე და არც ნ. შ-ძე არ წარმოადგენენ.

9.6.12. საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2004 წლის 21 მარტს (ანუ რ. ხ-ძის დაკავებამდე) ნოტარიუს ე. შ-ის მიერ გაცემული იქნა ქონების მართვისა და განკარგვის მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი ...). მინდობილობის შინაარსიდან იკვეთება, რომ ნ. შ-ძემ როგორც „საკუთრების მიმდობმა“ მ. შ-ძეს, შემდგომში „მინდობილ მესაკუთრეს“, მართვის და განკარგვის უფლებით გადასცა მის სახელზე რიცხული მთელი ქონება (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი). სწორედ აღნიშნული მინდობილობის შინაარსი გახდა განმსაზღვრელი შპს „...“-ის და შპს „გ-ის“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისას, რომლის ნამდვილობაც სადავოდ არ არის გამხდარი. სასამართლოს შეფასებით, სწორედ აღნიშნულ მინდობილობაში მარწმუნებლის მიერ გამოვლენილი და რწმუნებულისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა მ. შ-ძე პარტნიორთა კრებებზე.

9.6.13. სადავო გარიგების დადების დროისათვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს უძრავი ქონების შეძენის, გას-

ხვისებისა და დატვირთვის თაობაზე. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „...“-ის და შპს „გ-ის“ პარტნიორთა კრებებზე მიღებული იქნა გადაწყვეტილებები ქონების გასხვისების თაობაზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სადავო გარიგებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.2.3-9.2.4 ქვეპუნქტები). საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ არც აღნიშნული კრების ოქმების ნამდვილობა გამხდარა სადავოდ პარტნიორების მხრიდან.

9.7. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ მოსარჩელე სანარმოს დირექტორმა სადავო ხელშეკრულებას იძულებით მოაწერა ხელი, იგი არ გამოხატავდა პარტნიორთა თავისუფალ ნებას. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, სადავო ხელშეკრულება არ არღვევს საჯარო წესრიგს, კანონით დადგენილ აკრძალვებს და არც ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

9.8. სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის შესაგებლის პოზიციაზე სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობისა და იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადის გასვლის საკითხზე. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდა ორი საფუძვლით, ის მიუთითებდა გარიგების იძულებით დადებაზე და ასევე აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულება ამორალურია.

9.8.1. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 54-ე მუხლი (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი), შესაბამისად, სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება, მასზე შეცილების რაიმე ვადის გავრცელება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა. სადავო ხელშეკრულება დადებულია 2004 წლის 30 ივნისს, სარჩელი კი აღძრულია 2014 წლის 30 ივნისს, შესაბამისად, გარიგების დადებიდან სარჩელის აღძვრამდე არ არის გასული 10 წელი და მოსარჩელის მოთხოვნაც არ არის ხანდაზმული.

9.9. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ დაკმაყოფილდა სარჩელი გარიგების ბათილად ცნობის ნაწილში, ასევე, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მიკუთვნებითი სარჩელი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხე სამინისტროსათვის, ზიანის ანაზღაურების სახით, 810 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

10. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

10.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოსარჩელე სანარმომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით (იხ. სააპელაციო საჩივარი):

10.1.1. არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება იმის თაობაზე, რომ ნ. შ-ძის მიერ გაცემული მინდობილებით მ. შ-ძეს გააჩნდა სრული კომპეტენცია სადავო გარიგების მომზადება-გაფორმებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ საკუთრების მიმდობის მიერ გაცემული მინდობილობით ქონების ღირებულება განისაზღვრა 500 000 ლარით, ხოლო სადავო გარიგებით ქონება შეფასებული იქნა 700 000 აშშ დოლარად. ანუ, გაცემული მინდობილობით მ. შ-ძეს, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, ამ ღირებულების ქონების გასხვისების უფლებამოსილება არ გააჩნდა. ამასთან, მინდობილობა არ შეიცავს საკუთარ თავთან გარიგების დადების შესაძლებლობას მაშინ, როდესაც მ. შ-ძე სწორედ ასეთად გვევლინება შპს „...“-ის წარმომადგენლად შპს „გ-ის“ (მოსარჩელე სანარმომ) პარტნიორთა კრებაზე;

10.1.2. მიუხედავად იმისა, რომ ნ. შ-ძის მიმართ არ მიმდინარეობდა სისხლის სამართლებრივი დევნა, სახეზე იყო მაღალი თანამდებობის პირების საჯარო განცხადებები და მოწოდებები ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნების შესახებ, რომლის შეუსრულებლობა დაგვირგვინდებოდა სისხლის სამართლებრივი დევნით და ქონების ჩამორთმევით, რაც ცალსახად ადასტურებდა სანარმომს დომინანტი პარტნიორის მიმართ განხორციელებულ იძულებას.

10.1.3. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დამონშებისას ნოტარიუსმა მხარეებს განუმარტა არა ჩუქების, არამედ ნასყიდობის სამართლებრივი შინაარსი. ასევე, შეფასების გარეშე დარჩა ის გარემოება, რომ ქონების სახელმწიფოსთვის საჩუქრად გადაცემის საფუძვლად საზოგადოების პარტნიორები მიუთითებდნენ გადაუდებელ აუცილობლობაზე და განსაკუთრებულ გარემოებებზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა დომინანტი პარტნიორის იძულება, ქონება უსაუყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსათვის.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებით სანარმომს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სანარმომს სარჩელის უარყოფის შესახებ.

11.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი

ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (სსკ-ის 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

11.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ აპელანტი (სანარმო) სადავო ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითებს როგორც იძულებაზე, ისე – მის მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ ხასიათზე.

11.4. სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, უნდა დადგინდეს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოირკვეს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოწმდეს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

11.5. მოცემულ შემთხვევაში აპელანტი (მოსარჩელე) სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ კუთვნილი უძრავი ქონება სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა იძულება/მუქარის ძალით, რაც მომდინარეობდა სამართალდამცავი უწყების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. შესაბამისად, სადავო ჩუქების ხელშეკრულება, არ წარმოადგენს მჩუქებლის ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს. სსკ-ის 50-ე და 85-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. მარტოოდენ ნების არსებობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია, რომ ნება გამოვლენილ იქნეს, გარდა ამისა, ნება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. აღსანიშნავია, რომ ნება ში-

ნაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგებს ინვესტ მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შემდეგ. ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაჰენტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. ამდენად, ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან, შესაბამისად, სანინალმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყლება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შეესაბამისობას გამორიცხავს, მაგალითად, პირის იძულება, მოტყუება, და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.).

11.5.1. ნების გამომვლენი მხოლოდ ასეთ შემთხვევებში უნდა იყოს დაცული გამოვლენილი არანამდვილი ნების თანმდევი შედეგებისაგან. იძულების დროს ხდება აშკარა ჩარევა ნების გამოვლენის პროცესში. იძულების მიზანს გარიგების დადება წარმოადგენს. იძულება მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძვლად, როდესაც მისი ზეგავლენით მოხდა გარიგების დადება. იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში ან მუქარაში. ძალადობა ფიზიკურ იძულებას გულისხმობს, ხოლო მუქარის შემთხვევაში, მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიში აიძულებს პირს მოახდინოს სხვისი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა. ამასთან, გარიგების ბათილობას ინვესტ არა ყოველგვარი იძულება, არამედ ისეთი, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე. პირზე გავლენას ახდენს ისეთი იძულება, რომელიც აფიქრებინებს მას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამდენად, იძულება მხო-

ლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიან იძულებად, თუკი იგი რეალური საფრთხის მაუწყებელია. თუ საფრთხე მოჩვენებითია, მაშასადამე, იძულებაც ამ აზრით არარსებელია. იძულების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გამოცდილებები (სსკ-ის 86-ე მუხლი – გარიგების ბათილობას ინვესს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებისოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება). ამასთან, იძულება გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი ხდება მაშინაც, როდესაც იგი მიმართულია გარიგების ერთი მხარის შეუღლის ოჯახის სხვა წევრების და ახლო ნათესავების წინააღმდეგ (სსკ-ის 87-ე მუხლი).

11.5.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებით გათვალისწინებულ მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე და განმარტა, რომ, პირველ რიგში, მოსარჩელეა ვალდებული მიუთითოს ფაქტებზე და გარემოებებზე, რაც იძულების ფაქტს დაადასტურებდა და, მხოლოდ ამის შემდეგ, ამ ფაქტების უარყოფის ტვირთი მოპასუხე მხარეზე გადადის.

11.5.3. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ სადავო ქონების საჩუქრად გადაცემას წინ უსწრებდა მ. შ-ძის ე.წ. „მოდულის“ შენობაში დაბარება, სადაც მას მოსთხოვეს ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით. ზენოლის ფაქტად მხარე, ასევე, მიიჩნევს ოჯახის ახლობლის რ. ხ-ძის დაკავებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალებით მ. შ-ძე ე.წ. „მოდულის“ შენობაში დაბარებული იქნა და მოწმის სახით ჩვენება მისცა რ. ხ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული ყაჩაღობის ფაქტზე და ამ საქმეს სადავო ქონების სახელმწიფოსთვის საჩუქრად გადაცემასთან რაიმე კავშირი არ ჰქონია. ამასთან, რ. ხ-ძე არ არის მ. შ-ძის ოჯახის წევრი და არც მისი ახლო ნათესავი. მხოლოდ ის გარემოება, რომ რ. ხ-ძის დაკავება დროში ემთხვევა სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებას, არ ადასტურებს მათ კავშირს ერთმანეთთან.

11.5.4. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ასევე, ვერ გამოდგება ძალადობის მუქარის დამადასტურებელ გარემოებად მაღალი თანამდებობის პირების მიერ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გაკეთებული განცხადებები და გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რადგან დადგენილია და სადავო არ არის, რომ ნ. შ-ძისა და მ. შ-ძის მიმართ, ასევე, არც მათი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ქ. თბილისის პროკურატურაში გამოძიება და შესაბამისად სისხლისსამ-

მართლებრივი დევნა 2003-2004 წლებში არ მიმდინარეობდა. ამასთან, ცნობილია, რომ გარიგების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი იძულება და მუქარა, არამედ ისეთი, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირის ნებაზე და აფიქრებინებს მას, რომ მის პიროვნებას (უსაფრთხოებას, თავისუფლებას) ან ქონებას რეალური საფრთხე (კონფისკაცია) ემუქრება. ამდენად, იძულება/მუქარა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიან იძულებად, თუკი იგი რეალური საფრთხის მაუნყებელია, ხოლო თუ საფრთხე მოჩვენებითია, იძულებაც არარსებულია. იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული საჯარო პუბლიკაციების გამოქვეყნების დროს სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა, ამ პუბლიკაციებში დანახული საფრთხე მოჩვენებითია და შესაბამისად მუქარაც არარსებულია. ამასთან, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა მ. ს-მ (ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი) და ც. ბ-ძემ (ნოტარიუსი) განმარტეს, რომ ხელშეკრულება დაიდო თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე და მას რაიმე ფაქტორი (მუქარა, ზენოლა) წინ არ უძლოდა. პირიქით, ხელშეკრულების დადების ინიციატივა მომდინარეობდა მ. შ-ძისგან და საჭირო დოკუმენტაციაც მის მიერ იქნა წარდგენილი. სანოტარო ბიუროში წამდვილად იმყოფებოდა გ. ლ-ი, თუმცა, მ. შ-ძის მიმართ ზენოლას ადგილი არ ჰქონია.

11.5.5. აპელანტის პრეტენზიების თაობაზე მ. შ-ძის შეზღუდულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10.1.1 ქვეპუნქტი), სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ გარემოებებზე მოსარჩელეს არც სარჩელში, არც ახსნა – განმარტების და არც პაექრობის ეტაპზე არ მიუთითებია. შესაბამისად, ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე, სააპელაციო სასამართლოში ამ გარემოებებზე მითითება, სსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია და ვერ იქნება განხილული.

11.5.6. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობები და დასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა სადავო გარიგების იძულებით და მუქარით დადების ფაქტი.

11.6. სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად აპელანტმა ასევე მიუთითა გარიგების მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ ხასიათზე. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველთვის, როცა გარიგების

ერთ-ერთი მონაწილე არის სახელმწიფო, რომელიც, მისი სტატუსიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გარიგებაში ე.წ. „ძლიერ მხარედ“ მიიჩნევა, ამ გარიგების დადებისას მხარეთა შორის ურთიერთობაში ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი ძალიან მაღალი უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან, „სუსტი მხარის“ ხარჯზე. ამიტომ, ამგვარი „სუსტი მხარისაგან“ გარიგების ბათილობაზე მითითებისას, სწორედ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი – დაადასტუროს, რომ გარიგება შეესაბამება კანონით დადგენილ წესს (ანუ – დაცულია მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი და უზრუნველყოფილია სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული, ხელშეკრულების დადების და მისი პირობების თავისუფლად განსაზღვრის უფლება), არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (ანუ – საზოგადოებრივი მართლწესრიგის შემადგენელ ფუნდამენტურ, სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის და სტაბილურობის განმაპირობებელ სიკეთებს) და ზნეობის ნორმებს (ანუ – საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს და გონიერი, სამართლიანი, ობიექტური ადამიანისათვის დამახასიათებელ ქცევის წესებს).

11.6.1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, ფორმალური თვალსაზრისით, სადავო გარიგების დადებისას დაცულია კანონით დადგენილი წესები, ნება გამოვლენილია კერძო ავტონომიის ფარგლებში და არ დასტურდება გარიგების იძულებით ან მუქარის ქვეშ დადების ფაქტი. გამჩუქებელმა გამოავლინა ნება, რომელიც დასაჩუქრებულმა მიიღო. თვით ნების გამოვლენა კი, შეიძლება ნაკარნახევი იყო ამა თუ იმ პირობის შესრულებით ან მიზნის მიღწევით, ასევე საზოგადოებრივი კეთილდღეობით ან საერთო სასარგებლო მიზნებით ან/და მჩუქებლისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყოს ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა. ამასთან, გარდა იმისა, რომ არ დასტურდება იძულება/მუქარის ფაქტი სადავო გარიგების დადებისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ გარიგებას წინ უსწრებდა შპს „...-ის“ და შპს „გ-ის“ პარტნიორთა კრებებზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებები ქონების გასხვისების თაობაზე, სადაც საზოგადოების პარტნიორებმა განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყვეტეს საზოგადოების კუთვნილი სადავო ქონება უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმწიფოსთვის. აღნიშნული გადაწყვეტილებების ნამდვილობა პარტნიორების მხრიდან სადავო არ გამხდარა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო სადავო გარიგების დადებას. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ დასტურდება სადავო გარიგების იძულებით ან მუქარით

დადების ფაქტი, მხოლოდ ის გარემოება, რომ დასაჩუქრებულ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო, არ იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ნება გამოვლენილია იძულების შედეგად და გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.

11.6.2. „საჯარო წესრიგის“ ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. სსკ-ის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოსარჩელე სანარმოს უფლებამოსილმა დირექტორმა სადავო ხელშეკრულება იძულებით დადო და რომ იგი არ გამოხატავდა პარტნიორთა თავისუფალ ნებას. შესაბამისად, ხელშეკრულება არ არღვევს საჯარო წესრიგს, კანონით დადგენილ აკრძალვებს და არც ზნეობის ნორმებს არ ეწინააღმდეგება, რის გამოც მართებულია არ დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

11.6.3. უსაფუძვლობის მოტივით სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტები, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ანალოგიურ დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ, მართალია, მითითებულ გადაწყვეტილებებში, მსგავსად მოცემული საქმისა, დავის საგანს წარმოადგენდა სახელმწიფოსთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა, თუმცა, მოცემული საქმისგან განსხვავებით ქონების გამჩუქებელი ან მისი ოჯახის წევრი მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ასეთ პირობებში ძვირად ღირებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, როდესაც ეს არ ემსახურებოდა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნებს, საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებად და გამოხატული ნება ერთმნიშვნელოვნად, ნაკლის მქონედ მიიჩნია, რაც საბოლოო ჯამში საფუძვლად დაედო გარიგების ბათილად ცნობას (მაგ. იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი).

11.7. იმის გათვალისწინებით, რომ არ დაკმაყოფილდა პირველი სასარჩელო მოთხოვნა, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ამავე ბედს იზიარებს მისგან გამომდინარე მეორე სა-

სარჩელო მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურების შესახებ.

12. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. მოსარჩელე საწარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა საწარმოს სარჩელის, სააპელაციო საჩივრის იდენტურ გარემოებებზე მითითებით (იხ. საკასაციო საჩივარი).

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით.

13.2. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 1 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

13.3. საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვისას კასატორმა გაიმეორა ის პრეტენზიები, რაც საკასაციო საჩივარში ჰქონდა მითითებული და დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არასათანადოდ გამოიკვლია და შეაფასა. კასატორმა მონშეთა ჩვენებებზე მიუთითა და განმარტა, რომ სახეზეა მესაკუთრის ნების ხარვეზი, ხელშეკრულების გაფორმებას პროკურორი ესწრებოდა, უფრო მეტიც, სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების დასადებად პროკურორმა დაიბარა მხარეები.

13.4. სამინისტროს წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის ზეპირ განხილვაზე გაიმეორა ის პოზიცია, რაც შესაგებელში ჰქონდა დაფიქსირებული. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ვერ ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან საწარმოს წარმომადგენელზე იძულების ან მუქარის განხორციელების ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონშებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მი-

ღებულის ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააკელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

15. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, იმას აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე მხარეთა (მათი წარმომადგენლების) მონაწილეობით ჩატარდა სამი სხდომა 2019 წლის 21 მაისს, 31 მაისს, 16 ივლისს, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2 აგვისტოს.

15.1. სსსკ-ის 218-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილია, რომ „1. სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ... 2. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები“. მოხმობილი ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ არაერთხელ შესთავაზა მხარეებს მორიგება, მათ შორის, კასატორის მონინაალმდევე მხარეს (სამინისტროს), მორიგების პირობების შეთანხმების მიზნით, კასატორთან (მოსარჩელესთან) სამინისტროს სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირთან შეხვედრის ორგანიზება. აღნიშნული განპირობებული იყო არაერთი გარემოებით, კერძოდ: ა) სახელმწიფოსათვის ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის დავების თაობაზე საკასაციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით (შდრ. სუსგ-ებს №ას-497-2019, 05.07.2019წ; №ას-1816-2018, 26.02.2019წ; №ას-1230-2018, 14.12.2018წ; №ას-1013-2018, 12.11.2018წ; №ას-271-271-2018, 13.07.2018წ; №ას-692-662-2014, 24.09.2015წ); ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით მსგავსი საკითხებისადმი, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდში შემცირებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ როგორც შეტანილი, ისე – დასაშვებად ცნობილი საჩივრების ოდენობა; გ) თავად კასატორის (მოსარჩელის) პოზიციით შესაძლო მორიგებისადმი, რომელმაც განაცხადა, რომ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა საკმაოდ მძიმე ტვირთად დააწვებოდა სახელმწიფოს, შესაბამისად, მორიგების ფარგლებში იგი ითხოვდა რაიმე მინის ნაკვეთის გამოყოფას (არა მაინცდამაინც თბილისში), უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად გადაცემას, სადაც იგი სამენარმეო საქმიანობას გა-

ნახორციელებდა და პირთა გარკვეულ რაოდენობას დაასაქმებდა, თუნდაც პროექტის „წანარმოე საქართველოში“ ფარგლებში; კასატორმა მიუთითა, რომ ასეთი შეთავაზება იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა, მოპასუხის პოზიცია იყო, რომ მხარეები დალოდებოდნენ სასამართლო განხილვის დასრულებას. კასატორმა აღნიშნა, რომ არსებობდა მოლოდინი, რომ მორიგება შედგებოდა, რადგან საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შედგა საწარმოს წარმომადგენლის შეხვედრა და გაიცვალა გარკვეული მოსაზრებები (იხ. საკასაციო სასამართლოს 21.05.2019 სხდომის ოქმი 16:24:40-დან);

15.2. საკასაციო სასამართლოს 31.05.2019წ. სხდომაზე მხარეებმა დაადასტურეს, რომ კასატორმა წერილობითი განცხადებით მიმართა სამინისტროს, თუმცა მოპასუხემ უარი განაცხადა შეხვედრაზე და აგრძელებს სასამართლო დავას (იხ. საკასაციო სასამართლოს 31.05.2019წ. სხდომის ოქმი 12:19:25-დან);

15.3. საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა, მათ შორის, შესაძლო მორიგების მიზნით 2019 წლის 21 მაისის სხდომის 31 მაისისათვის გადადების სახით, ასევე, ზეპირი მოსმენის ფორმით ჩატარებულ განხილვებზე, მხარეთათვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სამართლებრივი რისკების განმარტების მიუხედავად, მოპასუხემ (სახელმწიფომ) უარი განაცხადა შესაძლო მორიგების პირობების გაცნობის მიზნით მხარეს შეხვედროდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა მორიგებისათვის ხელშეწყობა სასამართლოს ვალდებულებაა, თუმცა, მორიგების თაობაზე უნდა არსებობდეს მხარეთა მზაობა და თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს არ გამოუვლენია.

16. საკასაციო სასამართლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომელშიც მითითებულია (იხ. საქმე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ.) „საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით,

ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე №ას-973-1208-04); ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლის ნორმის გამოყენება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება (*Iura novit curia* – სასამართლომ იცის კანონი) და არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითების გამო არ შეიძლება სარჩელის უარყოფა.

17. „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივას, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მონინალმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია (იხ. სუსგ – №ას-493-473-2016, 14.12.2016წ.; ასევე, შდრ. სუსგ-ებს №ას-1224-1149-2015, 20.05.2016წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.; №ას-101-97-2016, 15.07.2016წ.; №ას-195-183-2014, 21.10.2016წ.).

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებების სააპელაციო სასამართლოს მიერ სათანადოდ და ყოველმხრივ, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, შეუფასებლობამ, რაზედაც მოსარჩელე როგორც სააპელაციო საჩივარში, ისე საკასაციო საჩივარში ამახვილებს ყურადღებას, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა, რადგან სამართალში მოქმედი პრინციპი „*Da mihi factum, dabo tibi ius* – მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართალს“, ცხადად წარმოაჩენს იმ დანანესს, რომ მოსარჩელეს ევალება ფაქტების მითითება და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, ხოლო მოპასუხეს – მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების დამაჯერებლად და სამართლებრივად ვარგისი შედავებით უარყოფა.

18.1. სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბ-

რეზიუმის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხის არაკვალიფიციური შედავება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერი-ალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

18.2. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებით არის შეზღუდული, ამასთან, საკასაციო პრეტენზიის შეფასებისას, ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი

ფაქტობრივი გარემოებებით და კასაციის საფუძვლების კვლევისას, უფლებამოსილია შეამოწმოს მხარეთა მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომამდე გაცხადებული პოზიციები, რომლებიც ასახულია, როგორც მხარეთა სარჩელსა და შესაგებელში, ასევე – მათ მიერ წარდგენილი სხვადასხვა მტკიცებულების სახით და დაფიქსირებულია სხდომის ოქმებში, სასამართლოს მთავარ სხდომამდე.

20. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა სახელმწიფოსათვის საწარმოს კუთვნილი უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და, ზიანის სახით, უძრავი ქონების, რომელიც უკვე მესამე პირზე გასხვისებული, ღირებულების – 810 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დააფუძნა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ საწარმოს დომინანტ პარტნიორზე და მის წარმომადგენელზე (მინდობილ მესაკუთრეზე) სახელმწიფოს მხრიდან, მისი მაღალჩინოსნების მეშვეობით, განხორციელდა იძულება უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით. მოსარჩელემ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 1-6 პუნქტები, 7.1-7.2.8 ქვეპუნქტები), წარადგინა წერილობითი მტკიცებულებები (მათ შორის ხელისუფლების იმდროინდელ მაღალჩინოსანთა საჯაროდ, სატელევიზიო თუ ბეჭდური მედიით გაცხადებული პოზიციები და მოსაზრებები), ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოწმეთა დაკითხვა.

20.1. ამდენად, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, შეაფასებს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს და ამ მიზნით, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ყურადღებას გაამახვილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებზე, რომელთა განმარტებებსაც სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა, მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში, მოწმის მიერ სასამართლოსათვის მიცემული განმარტება საერთოდ არ არის ასახული გასაჩივრებულ განჩინებაში და ჩვენების განცალკევებული კონტექსტის მოხმობით, შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად დაძლია მოსარჩელემ საკუთარი მტკიცების ტვირთი იმ ნაწილში, რომელიც სადავო ჩუქების ხელშეკრულების (ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ) ბათილად ცნობას უკავშირდება, მისი ამორალურობის გამო;

20.2. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება, როგორც მერადი მოთხოვნა, ნაწარმოებია სადავო ჩუქების ხელშეკრულების

ბათილად ცნობის ფაქტის დადგენიდან, რადგან უძრავი ქონების მესამე პირზე გასხვისების გამო, შეუძლებელია მისი დაბრუნების მოთხოვნა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, უპირველესად, უნდა შემოწმდეს სახელმწიფოსათვის სანარმოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული ქონების შესახებ ხელშეკრულების ნამდვილობა, მასში გამსხვისებლის (გამჩუქებლის) მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის თვალსაზრისით. თუკი გამსხვისებლის ნება ნამდვილად იქნება მიჩნეული, ცხადია, სასარჩელო მოთხოვნას, ხელშეკრულების ამორალურობის გამო, მისი ბათილად ცნობის ნაწილში არ გააჩნია წარმატების პერსპექტივა და, აქედან გამომდინარე, აღარც მეორადი მოთხოვნის – ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთებულობის კვლევის საჭიროება.

20.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა განაპირობებს სამართლებრივ შეფასებას სარჩელის დასაბუთებულად მიიჩნევისა და დაკმაყოფილების თვალსაზრისით (სსსკ-ის 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლები). აღსანიშნავია, რომ მონმის მოვალეობას განამტკიცებს სსსკ-ის 145-ე მუხლი /მონმის მოვალეობა/: „1. მონმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება... 2. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მონმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“.

21. კასატორის პრეტენზიის ფარგლებში საკასაციო სასამართლომ მოისმინა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მონმეთა ჩვენებები, კერძოდ:

21.1. მონმე მ. ს-მ (იმხანად სამინისტროს წარმომადგენელი), თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.11.2015 წ. სხდომაზე (იხ. სხდომის ოქმი 11:41:59-11:50:04) განმარტა, რომ ის იყო სასამართლოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი. როგორც მონმემ მიუთითა, ალბათ ეს შემთხვევაც (საუბარია სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებაზე) სხვა შემთხვევების ანალოგიური იქნებოდა. იმ პერიოდში არ იყო ეს ერთეული შემთხვევა ჩუქების ხელშეკრულებების, ეს იურიდიული პირი იყო, ალბათ შპს, დამფუძნებელთა ოქმი იქნებოდა გაკეთებული, სადაც ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მათი ქონება, ერთ-ერთის წილი ან ყველასი ეჩუქებინა სახელმწიფოსთვის. ეს ოქმი თანდართული წერილით ზოგჯერ პროკურატურიდან მოდიოდა ან პირადად ეკონომიკის სამინისტროს მიმართავდნენ. რეგისტრაცია, ეს ადმინისტრაციული ორგანოს შემთხვევაშია, პრივატიზაციის სამმართველო იყო და მეორე – იურიდიული, ეს უკანასკნელი მისცემდა ხელშეკრულების ფორმას. მხარესთან მოლა-

პარაკების საწყისი ეტაპი ამას არ უძლოდა. მოსამართლის კითხვების პასუხად მოწმემ განმარტა, რომ მხარესთან არავითარი მოლაპარაკება არ მიდიოდა, არც საფუძველს არ იკვლევდნენ, თუ რატომ წარმოეშვა პირს ჩუქების სურვილი. მოწმემ დაადასტურა, რომ დავალებას ასრულებდა. ეს საკითხები ეკონომიკაში არ წყდებოდა, ალბათ სხვაგან წყდებოდა. აბა სად წყდებოდა? მოსამართლის კითხვაზე მოწმე ვერ იხსენებს პროკურორს ან პროკურატურის წარმომადგენელს. მოსარჩელის წარმომადგენელი უთითებს მინდობილობაზე, სადაც შპს „ა...-ია“ მითითებული, ხოლო ჩუქების ხელშეკრულების მხარე შპს „გ-ია“. მოწმე ადასტურებს, რომ არ იყო ჩართული ამ ხელშეკრულების მომზადებაში. მოსარჩელის წარმომადგენელი უთითებს, რომ ჩუქების ხელშეკრულების ბოლოს მითითებულია, რომ ნოტარიუსმა მხარეებს განუმარტა სსკ-ის 477-ე მუხლის სამართლებრივი შედეგები.

21.2. ნოტარიუსმა ც. ბ-ძემ (საქალაქო სასამართლოს 04.11.2015 წ. სხდომის ოქმი, 11:52:46-12:13:55) განმარტა, რომ რაც ახსოვს, იმას იტყვის, მასთან ხელშეკრულების დადება მოხდა. ხელშეკრულების დადებას ესწრებოდა ს-ა და გ., ნამდვილად იყო გ. ლ-ი, ესაუბრებოდა მ. შ-ძეს, რომ იმ შენობიდან ფილგბია წაღებული, ან დააბრუნეთ, ან ნუ მიგაქვთო – ეუბნებოდა მ-ას გ. ლ-ი. ერთად მოვიდნენ მხარეები. თითქოს სტანდარტული ხელშეკრულებაა, მაშინ ქონების მართვის სამინისტრო ჩემს გვერდით მდებარეობდა და რასაც აკეთებდნენ ჩემთან ამონებდნენ, მე რე სხვაგან გადავიდნენ. ზენოლა და მუქარა არ შემიმჩნევია, რა თქმა უნდა, უხასიათოდ იყო (საუბარია მ. შ-ძეზე, როგორც მინდობილ მესაკუთრეზე), მეც ვატყობდი ამას, მაგრამ მივიჩნიე, რომ ეს მისი სურვილი იყო, ჩემთვის არაფერი უთქვამს. ყველა საბუთი მომიტანა. მოსამართლის კითხვაზე ოდესმე პრაქტიკაში თუ გადაგიმონმებიათ მარწმუნებლის ნება? მოწმემ უპასუხა, რომ არა, რადგან მინდობილობაშია გამოვლენილი მისი ნება. მოსარჩელის წარმომადგენლის კითხვაზე ხელშეკრულების შინაარსი დაამონმეთ ხომ? მოწმემ უპასუხა, ჩუქების ხელშეკრულებაში მხარე შპს „გ-ი“, ხოლო პარტნიორთა კრების ოქმში მითითებულია განსაკუთრებული ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღეს გადაწყვეტილება პარტნიორებმა. მოსამართლის შეკითხვაზე: რაღაც ინტერესებზე უთითებს კრების ოქმი? რას გულისხმობდა ეს? ნოტარიუსმა განმარტა: ვიგულისხმე, რომ შეიძლება სურვილი არ ჰქონოდა მ. შ-ძეს, მაგრამ რაღაცის გამო იძულებული იყო გადაეცა ქონება, ჩემი ვარაუდია, მაშინ არ უთქვამს არაფერი მ-ს, ესლა კი ვსაუბრობთ რაღაცეებზე. ნოტარიუს ე. შ-ის მინდობილობის საფუძველზე მოქმედებდა მ-ა, როგორც ნ-ის წარმომადგენელი. მ. შ-ძეს მინდობილობა ჰქონდა

არა სანარმოს დირექტორის, არამედ ფიზიკური პირის, 22.07.2004 წლის ხელშეკრულებაზეა საუბარი. მგონი ღ-ი „ი-თან“ დაკავშირებით იყო, იმ ფილებთან დაკავშირებით, რომ ეუბნებოდა, ღ-ი გარეთ იყო, ჩემს ოთახში არ მახსოვს, გარეთ იყვნენ მხარეები.

21.3. მონმე მ. შ-ძის ჩვენება (საქალაქო სასამართლოს 04.11.2015 წ. სხდომის ოქმი – 12:15:48-12:42:53) – ყველაფერი დაიწყო 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, გვარის გამო, შემოთვლები იყო, ჯერ მუქარა იყო – ჩაგსვამთ და ა. შ. დაიძაბა სიტუაცია, მაგრამ ნ. შ-ძე წავიდა ქვეყნიდან სარფის საბაჟოს გავლით, თვალთვალი იყო, სახლთან ერთთან, მეორესთან ტრიალებდნენ, შესამჩნევად ხდებოდა, მანქანები დაგვეყვებოდნენ. უფრო მამაჩემზე იყო აქცენტი, მე პრობლემა არ მქონდა. არ წავედი, იმიტომ, რომ ბავშვები, მოხუცები და ბევრი ფაქტორი. 7 საათი ვერ გავიდა მამა, ბატონი ა. ბაბუაჩემის მეგობარი იყო და ის დაგვეხმარა, ზამთარი იყო. მაისში დამიბარეს, ვ. ღ-ძის მეშვეობით მითხრეს, რომ „სოდში“ მივსულიყავი. იქ ვილაც დამხვდა, ამიყვანეს მე-2 ან მე-3 სართულზე. აირჩიე ან 15-წლიანი პატიმრობა ან ეგ შენობა გადმოგვეცი და ზემოდან 1 000 000 აშშ დოლარი. სახლში დაგხვდება ბომბები, ჰეროინი და როგორც ხდებოდა. მოსამართლე – სამედიცინო ამონერილი, რა საფუძვლით დაგიბარეს? მონმე – კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე არ იყო აღძრული, ალბათ სტუმარი. იმ ბიჭებმა მითხრეს, რომ სახელმწიფო იყო და ხუმრობა არ გეგონოსო, 3 დღე მაცადეთ თქო, სადღაც დღენახევარი მქონდა, სახლთან სულ ვილაც ტრიალებდა, სახაჭაპურესთან იდგნენ ვილაცეები. სახლში შევედი ტანსაცმელი უნდა ამელო, შუქი ავანთე, ბინდებოდა და გარეთ ვინც იდგა, ხუთზე მეტი ადამიანი იდგა და გაიფანტნენ. მოსამართლის კითხვის – ნებისმიერ საელჩოში (გერმანიის, აშშ-ის) შეგეძლოთ მისვლა თქვენი ბაბუის ძმის (ე. შ-ძის) სახელით და გაგეცხადებინათ რაც ხდებოდა – პასუხად მონმემ განმარტა, მაგაზე არ მიფიქრია, მაშინ იმდენად შეშინებული ვიყავი ოჯახის გამო, პატარა ბავშვები მყავდა, მეც და დედაც ფორმალურად შპს-ში ვიყავით გაფორმებული, მე უფრო მოვიხსნიდი პრობლემებს, ვიდრე ესენი სადმე დამეტოვებინა. ისეთი არავინ მყავდა მაშინ გვერდში, რომ ერჩია, ყველა გაერიდა შარს, ზოგი არც მესალმებოდა. სახლთან ბევრი ხალხი იდგა, საფრთხე ვიგრძენი და ლარსის ქუჩით წავედი. ამდენი ხალხი დავინახე და გადავრეკე რა ხდება თქო. წავედი ჩემს მეგობართან, მამაო თ. ბ-თან, ვთხოვე კონსულტაციები ამელო პატრიარქთან, უკეთეს ადგილას სად წავიდოდი. პატრიარქმა გვირჩია, იქნებ ვინმე გამოგვეძებნა პირდაპირ მთავრობაში, რომ პირდაპირ დაველაპარაკებოდით ვინმეს, დამალვების გარეშე. მამაომ დაურეკა ე. კ-ას, რომელმაც დაადასტურა, რომ იცოდა,

რაც ხდებოდა, მეც ველაპარაკე, ვიცნობდი. თუ გინდა წადი, გაიქეცი, მეგობრული ჟესტი შემომთავაზა. იმ დღეს წავედით მასთან, მამაოც წამომყვა, მთელი ღამე კ-ას კაბინეტში, „სოდ“-ში გავათენეთ. კ-ამ მითხრა, რომ მისი ინიციატივა არ იყო, მთავრობიდან, ა-აგან, ს-გან მოდიოდა. მამაჩემსაც დავურეკე და ვუთხარი, რა არჩევანის წინაშეც ვიდექი, გაგიჟდა, მითხრა მიეციო. მივედით ღთან, მამაოც იყო, კ. კ. (მაშინდელი პროკურორი), ღ-მა მითხრა, რომ ... მდებარე შენობა უნდა გადაგვეფორმებინა. მამაჩემს ჰქონდა მინდობილობა მანამდე ჩემთვის დატოვებული, დიდი ხნით მიდიოდა, მანქანის გადაფორმება მჭირდებოდა თუ რაღაცა. შენობასთან ერთად 1 მლნ. აშშ დოლარი მომთხოვეს. ვუთხარი, რომ 1 მლნ. არ მქონდა, გ-ში მქონდა მინა. ოჯახისაც მეშინოდა, ცუდი რაღაცეები ხდებოდა, დაცვა დამინიშნეს, რომელიც 24 სთ. ჩემთან იყო ამ დოკუმენტების გადაფორმებამდე. ჩემთან ერთად ეძინათ, ბაბუაჩემთან ვერ მივედიო. 3 კვირა გაგრძელდა ეს დაახლოებით. ღ-მა მითხრა, რომ მოლაპარაკების შემდეგ, შენს ბედნიერებაზე პასუხისმგებელი მე ვარ, რაც გინდა აკეთეთო. შპს „გ-ში“ სხვა მენილეებსაც მივეცი თანხა, ისინი არაფერ შუაში იყვნენ. დიდ შენობაში პრობლემები იყო, რაღაცეები გაარემონტეს... ღ-ი დადიოდა, ხან შემოდდიოდა, ხან გადიოდა, როდესაც ნოტარიუსთან ხელს ვანერდით.

21.4. მოწმე თ. ბ-ის (მამაო) ჩვენება (საქალაქო სასამართლოს 04.11.2015 წ. სხდომის ოქმი – 12:57:08-13:16:42) – ხელისუფლების ცვლილებისთანავე ვიცოდი, რომ შ-ძეებს პრობლემები ექნებოდათ. საპატრიარქოდან გამომდინარე ვიცოდი, რომ ემუქრებოდნენ, საპატრიარქოში წყდება ყველაფერი, ხომ იცით. ქ-ძე, მ-ი და კიდევე ბევრი პატრიარქის გამოშვებულია, თქვენ ხომ კარგად იცით. მ-ას წესიერება ყველამ იცის, ლაპარაკი იყო, რომ მ-ას გამოიყენებდნენ მძევლად, დააპატიმრებდნენ, რომ ნ-ზე გასულიყვნენ. ურჩია, რომ ვინმე მოეძიებინა, რომ მთავრობის შიგნით გავგოთ ამბავი. კ-ამ თქვა, მე გიპატრონებთო, ეს საქმე ზევიდან მოდისო. მოდულში შეხვდნენ ღ-ს, რომელმაც დაადასტურა, რომ ბრძანება ზემოდან მოდიოდა. მ-ა თუ გაიქცეოდა, დედამისს დაიჭერდნენ. ქონება უნდა გადაეცა და კიდევე ე.წ. თ-ძის ფონდში ფული გადაერიცხა. ეს ვაჭრობა იყო ჩვეულებრივი, მაშინ ამ საქმეებს ღ-ი კურირებდა. ნ. რომ არ გამოჩენილიყო, ბევრგან მიეულლე – ლ. ჰყავდა გაფორმებული, შეცდომები ჰქონდა დაშვებული ნ-ს. ლოზუნგები – ეს ხალხის ქონებაა, უნდა დააბრუნოთ, თქვენ არ გეკუთვნით, სამართლიანობა უნდა აღვადგინოთ. მოდულში ღამე გავათენეთ კაბინეტში, 2 წუთი ცალკე მინდა დაველაპარაკოო მ-ას, მთხოვა კ-ამ და ღ-ი ცალკე შეახვედრეს. შენობას დააბრუნებდნენ ღ-ს თავისუფლების სანაცვლოდ და რაღაცეებს ჩაითვლიდნენ. ზეპირად ჩემი უშუ-

ალო თანდასწრებით ხდებოდა ეს საუბარი. ეს რეალური მუქარა იყო, რადგან შეგვიყვანეს ქალაქის პროკურორთან კ. კ-თან, იქ იგივე იყო, ზევიდან არისო. მ-ა შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ რა ვქნათო. ამის წილი არის ამდენი და ის უნდა მივიდეს, თორემ არ გამოვა. მოწმე განმარტავს, რომ იმ მომენტშიც, მერეც და მანამდეც რაც ხდებოდა, ეს იყო რეალური მუქარა... მ-ა მიხვდა, რომ სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა, პატრიარქის რჩევაც ეს იყო, რომ ვილაც მაინც დასწრებოდა ამ ლაპარაკს, რომ ამბის მთქმელი ყოფილიყო. თავი ესე მარტივად მერეც არ დაანებეს. ნ-ს ჰქონდა აფხაზეთიდან 10 დიდი ბზის მორი, საეკლესიო ნივთები უნდა დამზადებულიყო, წაართვეს. ი. ს-ძემ „ცხენი“ დაუხატა მ-ას და აჩუქა, კაბინეტში ეკიდა და არ გაატანეს.

21.5. მოწმე გ. მ-ი (მ. შ-ძის მძღოლი), (საქალაქო სასამართლოს 04.11.2015 წ. სხდომის ოქმი – 13:16:42-13:31:41) – 32 წელია ოჯახის მძღოლი ვარ, უფრო მეტად მ-ასთან ვარ კავშირში. ზაფხულის თვე იყო, ფეხბურთები მიდიოდა. მ-ას თვალთვალი, დევნა დაიწყო, 4-5 მანქანა დაგვევებოდა. მ-ას სახლის წინ იყო პატარა კაფე, სახაჭაპურე იყო ადრე, უფრო ვერის მხარეს, ბუჩქებში ისხდნენ, საჭმელიც მიმიტანია. ბავშვს ა-საც კი აედევნენ და მ-ას მეუღლე ბავშვებიანად დედასთან წავიდა სახლში. სახეებზეც კი ვიცნობდით, ერთი და იგივე ხალხი იყო. ერთ დღეს სახაჭაპურეში ვისხედით მ-ა, გ. თ-ძე და მე და თქვა გული მიგრძნობს აყვანა უნდათო. ამ ხალხმა მოძრაობები დაიწყო, როგორც კი მ-ა სახლში მივიდა. ამდენი ხანი იქ ვარ და ვიცი, როგორ აყენებს მაცხოვრებელი, მეზობელი მანქანას და უცხოს იმ წუთასვე ვცნობდი. მ-ას დავალებით მის სახლში უნდა ავსულიყავი, რომ მისთვის ტანსაცმელი ამელო, სახლთან, ბინასთან დამხვდნენ და უკან გამოვბრუნდი, არ გავაღე კარი, რადგან იქვე იდგა ვილაც, სახეზე ვიცანი. მრგვალ ბალთან უნდა შევხვედროდი მ-ას, უკან ამედევნენ შავი ოპელით და ჟიგულით, გადავურეკე მ-ას და აღარ შევხვდი, წავედი საბურთალოზე გარაჟებში. მ-ას პასპორტი ჰქონდა ჩამორთმეული, მივედი ორთაჭალაში პროკურატურასთან. ღ-მა მკითხა სადაური ხარო, კახელიო მეც ვუთხარი, რომ ღ-ები მყავს. გ., მ-ას გადაეცი პასპორტი და გადაეცი სიტყვები: მ-ა კარგი ბიჭი არის, მაგრამ პირველის დავალებას ვასრულებო, ჩემზე არ იყოს ნაწყენი. მერე 2-3 მანქანა დაყვებოდა, თითქოს მოგვარდა რაღაცეები. 2004-ში ეს ყველაფერი რომ მოხდა, მერე თვალთვალი არა, მაგრამ კიდევ რაღაც-რაღაცეები იყო.

21.6. მოწმე – გ. თ-ძე (მ. შ-ძის მეგობარი, მეჯვარე), (საქალაქო სასამართლოს 04.11.2015 წ. სხდომის ოქმი – 13:33:20-13:40:16) – მე ვარ მომსწრე, რაც 2004 წელს შეემთხვა მ-ას, რის გამოც დაკარგა ქონება. 2004 წელს, გ-ძე კაფეში მ-ას სახლთან ვისხედით, მ-ა

გავიდა კაფედან, იქ გ. მ-იც (მძლოლი) იყო, იქ შეეფეთა ოპერ მუშაკები, ვერ დაიჭირეს მ-ა, გ-ს პირით შემატყობინა ესეთი და ესეთი ამბავიაო. მე გავედი და გარეთ დავინახე 5 პირი, ყველა შეამჩნევდა, რომ ესენი არ იყვნენ მეზობლები. 2 დღის შემდეგ ვნახე მ-ა, 2-3 მანქანა სულ დაგვყვებოდა, ქალაქიდან ვერ გავიდოდა მ-ა, ვიცნობდით უკვე, ლამის მაგიდასთან ისხდნენ ჩვენთან ერთად. ესენი ივნისის თვემდე დაჰყვებოდნენ, მერე აღარ უთვალთვალებდნენ, რ. ხ-ძეც გამოვიდა მერე, დაჭერილი იყო კაცი.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა, უპირველესად, გულისხმობს მათი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ახალიზს, ხოლო შემდეგ თითოეული მათგანის იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას (იხ. სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015 წ.). შესაბამისად, მოწმის ჩვენებაც, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, უნდა შეფასდეს ყველა იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულებების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა (იხ. სუსგ №ას-1215-2018, 29.03.2019წ.). მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევაში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. ეს სწორედ იმგვარი საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე და განმარტავს, რომ მოსარჩელემ (საწარმომ) მის დომინანტ პარტნიორსა და ამ უკანასკნელის წარმომადგენელზე განხორციელებული ფსიქოლოგიური იძულების შესახებ კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითა, მათ დასადასტურებლად მოიხმო მოწმეთა ჩვენებები, ბეჭდური და სატელევიზიო მედიით გავრცელებული ინფორმაციები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ზემოქმედებაზე – იძულებაზე უთითებს მოპასუხისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.

23.1. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (რომლითაც სრულად არის გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება), რომ სადავო გარიგება თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად დაიდო და მის გაფორმებას წინ უსწრებდა საწარმოს პარტნი-

ორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფოსათვის უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. მოსარჩელე სარჩელში დამაჯერებლად და თანმიმდევრობით უთითებს თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე, მათ შორის იმაზე, თუ რამ განაპირობა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, უსასყიდლოდ გადაეცა კუთვნილი ქონება სახელმწიფოსათვის, ამასთან, მკაფიოდ არის განმარტებული, თუ რა გარემოებებმა აიძულა სანარმოს დომინანტი პარტნიორი, მიეღო ეს გადაწყვეტილება, ასევე, რა გარემოებებმა განაპირობეს მინორიტარ პარტნიორთა თანხმობა ქონების გასხვისებაზე (იხ. 1.11 ქვეპუნქტი; ასევე – წინამდებარე გადაწყვეტილების 21.3 ქვეპუნქტი).

23.2. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში არ მსჯელობს და სამართლებრივად არ აფასებს, თუ რას ნიშნავს პარტნიორთა კრების 2004 წლის 30 ივნისის ოქმის ჩანაწერი: „განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით საჭიროა საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს“; იმ პირობებში, როდესაც მხარე იძულების გამო დადებულ ამორალურ გარიგებაზე უთითებს, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია განსაკუთრებული საფუძვლებსა და ორმხრივ ინტერესებზე, რის გამოც სანარმომ საჭიროდ მიიჩნია მისი კუთვნილი უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა; საგულისხმოა, რომ პარტნიორთა კრების ამ ჩანაწერთან დაკავშირებით, მოსამართლის შეკითხვის პასუხად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ნოტარიუსმა განმარტა, რომ სადავო გარიგების ხელმოწერის დროს სანარმოს დომინანტი პარტნიორის წარმომადგენელს (მინდობილ მესაკუთრეს) უხასიათობა ეტყობოდა... შეიძლება სურვილი არ ჰქონოდა მ. შ-ძეს, მაგრამ რალაცის გამო იძულებული იყო გადაეცა ქონება, ჩემი ვარაუდია, მაშინ არ უთქვამს არაფერი მ-ას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 21.2 ქვეპუნქტი). მოწმის ჩვენების ეს ნაწილი, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ შეუფასებიათ, მეტიც, არც კი ასახულა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასა და განჩინებაში.

23.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ დაშვებითაც, თუ სადავო გარიგების დადება, პარტნიორთა კრებაზე გამოვლენილი თავისუფალი ნების საფუძველზე, ორმხრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი, სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ რა სარგებელს ღებულობდა მხარე (სანარმო), მისი რომელი ინტერესი იყო მხედველობაში მიღებული, რომელიც საზოგადოების კუთვნილი ქონების სახელმწიფოსათვის ჩუქების სანაცვლოდ იქნებოდა დაკმაყოფილებული. ამ გარემოების დამატებით გამოკვლევის მიზნით

საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების (სსსკ-ის 412-ე მუხლი) საჭიროება არ არსებობს, რადგან საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეებზე დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, პარტნიორთა კრების ოქმში ასეთი ჩანაწერის არარსებობის პირობებშიც კი, მოცემული საქმის გარემოებებისა და საქმეში მოთავსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, მაინც არ ქარწყლდება პრეზუმფიცია, რომ მოსარჩელეს არ გამოუვლენია საკუთრების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის ნება და ქონების დათმობა განაპირობა საწარმოს დომინანტ პარტნიორსა და მის წარმომადგენელზე განხორციელებულმა ზემოქმედებამ.

23.4. მოცემულ საქმეზე მონმის სახით დაკითხულმა მ. ს-მ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 21.1 ქვეპუნქტი), რომელიც სადავო გარიგებას ხელს აწერს, როგორც სამინისტროს იმდროინდელი წარმომადგენელი, განმარტა იმხანად შექმნილი ვითარება სახელმწიფოსათვის პირთა მიერ ქონების უსასყიდლოდ გადაცემის დამკვიდრებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაც, მისი სიტყვებით, ხშირი შემთხვევა იყო; სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივად არ შეუფასებია დასახელებული მონმის ჩვენება, რომელმაც განმარტა, რომ ხშირი იყო ე.წ. ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმება წინა ხელისუფლების დროს, რომელშიც სამინისტრო ნაკლებად მონაწილეობდა, უმეტესწილად პროკურატურიდან მოდიოდა წერილები, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებას ადგენდა სამინისტროს იურიდიული სამსახური; მონმემ განმარტა, რომ უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის სადავო გარიგების გაფორმებას მოსარჩელე საწარმოს დომინანტი პარტნიორის წარმომადგენელსა და მოპასუხე სამინისტროს წარმომადგენელს შორის ესწრებოდა ქალაქის იმჟამინდელი პროკურორი გ. ლ-ი. მონმის მიერ მითითებული და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ამ უდავო ფაქტობრივი გარემოების მიუხედავად, სამართლებრივად დაუსაბუთებელი და ფაქტობრივად სრულიად ალოგიკურია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნოტარიუსთან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი იყო; ის ფაქტი, სხვა გარემოებებისაგან დამოუკიდებლადაც კი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად იმყოფებოდა ქალაქის იმჟამინდელი პროკურორი (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება) სავსებით საკმარისია პრეზუმფიციის დასაშვებად, რომ სახელმწიფოს მაღალჩინოსნის ყოფნა სადავო გარიგების დადებისას უკავშირდებოდა გარიგების მხარეზე (მის წარმომადგენელზე) ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და არ იყო ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგი, მით უფრო, რომ არც მოპასუხეს და არც ნოტარიუსს განუმარტავთ, თუ

რა ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული ქალაქის პროკურორის ყოფნა სანოტარო ბიუროში, როდესაც მხარეებს (საწარმოსა და სახელმწიფოს) შორის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებას ეწერებოდა ხელი. სააპელაციო სასამართლომ ისე დაასკვნა, რომ სადავო გარიგების გაფორმება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მოხდა, თითქოსდა ჩვეულებრივი მოვლენა არის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაფორმების დროს პროკურორის ყოფნა სანოტარო ბიუროში. ამ გარემოებასთან დაკავშირებით რაიმე განმარტება მოპასუხეს არ წარუდგენია და აღნიშნული არც სააპელაციო სასამართლოს შეუფასებია სამართლებრივად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში (იხ. საქმე №ას-664-635-2016; 02.03.2017წ.) განმარტებულია, რომ: „იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა: „სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ.სუსგ №ას-89-83-2015, 23.10.2015 წელი). ქალაქის იმდროინდელი პროკურორის გ. ლ-ის ჩართულობას სახელმწიფოს სასარგებლოდ მოსარჩელე საწარმოს მიერ კუთვნილი ქონების უსასყიდლოდ დათმობის გარიგებაში, საწარმოს დომინანტი პარტნიორის წარმომადგენლის – მ. შ-ძის გარდა, არა მხოლოდ სადავო გარიგების დამმონმბელი ნოტარიუსი და ეკონომიკის სამინისტროს იმდროინდელი წარმომადგენელი – სადავო გარიგების ხელმომწერი პირი მ. ს-ა ადასტურებენ, არამედ, მონმედ დაკითხული მ. შ-ძის პირადი მძლოლი – გ. მ-იც ადასტურებს თავის ჩვენებაში და აღწერს გ. ლ-თან შეხვედრას, ამ უკანასკნელის ე.წ. „დანაბარებს“ მ. შ-ძესთან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 21.5 ქვეპუნქტი).

23.5. გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის შეფასებული მოწმის – თ. ბ-ის (მამაო) ჩვენება, რომელმაც განმარტა, თუ რატომ მიიჩნია რეალურ მუქარად მ. შ-ძემ პირადად მისი და მისი ოჯახის ზოგიერთი წევრის მიმართ სახელმწიფოს ძალოვან უწყებათა წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ქმედებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 21.4 ქვეპუნქტი).

23.6. მითითებული მტკიცებულებები ქმნის პრეზუმფციას, რომ სახელმწიფოს (პროკურატურის იმდროინდელ მაღალჩინოსანთა მეშვეობით) მხრიდან განხორციელდა დაუშვებელი და ამორალუ-

რი ზემოქმედება შ-ძეების ოჯახის (მოსარჩელე სანარმოს მაჟორიტარი პარტნიორისა და მისი მინდობილი მესაკუთრის მიმართ) კუთვნილი სხვადასხვა უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით, რაც არ არის გაქარწყლებული სარწმუნო და სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებებით.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ჩუქების გარიგების დადების დროს გამჩუქებლის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის შესამოწმებლად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მათ დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებები ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას სახელმწიფოსთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების, როგორც ამორალური გარიგების, ბათილობის კუთხით, რადგან გარიგების გაფორმებამდე პროკურატურის წარმომადგენელთა მიერ „მოლაპარაკებების წარმოება“ და გარიგების ხელმოწერის დროს სანოტარო ბიუროში ქალაქის იმდროინდელი პროკურორის დასწრება (ასევე, სხვა მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების ერთობლივად შეფასება, რაც ზემოთ უკვე მითითებულია) ცალსახად და თვალსაჩინოდ გამორიცხავს გამჩუქებლის ნების ნამდვილობას, ხოლო სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებას ამორალურად აქცევს. ასეთ ვითარებაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა და დასკვნა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.5.3 ქვეპუნქტი), რომ სანარმოს დომინანტი პარტნიორის ბიზნეს-პარტნიორის რ. ხ-ძის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართალწარმოების საქმე ვერ ადასტურებს მოსარჩელე სანარმოს დომინანტი პარტნიორისა და მისი წარმომადგენლის მიერ სადავო გარიგებს დადების დროს გამოვლენილი ნების არანამდვილობას, სრულიად დაუსაბუთებელი მსჯელობაა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების მიხედვით, მით უფრო, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული ჩუქების გარიგების სადავობის დროს, მხარეთა კუთვნილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით, რაც საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაში არაერთხელ განიმარტა. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სანარმოს დომინანტი პარტნიორის – ნ. შ-ძის ბიზნეს-პარტნიორის რ. ხ-ძის წინააღმდეგ იმხანად აღძრული სისხლის სამართლის საქმის არარსებობის პირობებშიც კი ვერ გაქარწყლებოდა სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული ჩუქების ხელშეკრულების ამორალური (უზნეო) შინაარსი, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების უარსაყოფად ქვემდგომი სასამართლოს მიერ რ. ხ-ძის სისხლის სამართლის საქმეზე მითითება დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს საკუთარი დაწესებულებების მეშვეობით და ისეთ ვითარებაში, როგორც განსახილველი შემთხვევაა, კერძო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს (სსკ-ის 24.4 მუხლი), შესაბამისად, სსკ-ის მე-8 მეორე ნაწილით სახელმწიფო ორგანოების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. დასახელებული ნორმის მესამე ნაწილი კი ადგენს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს თითოეული მათგანის კეთილსინდისიერების პრინციპით მოქმედების ვალდებულების სახით, რაც ზნეობრივი მოვალეობაცაა (მდრ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017 წ.).

26. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობის დასადგენად, მნიშვნელოვანია აგრეთვე, ხელშეკრულების გაფორმებამდე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც, როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ ნიშანპირობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძვლად უდევს მხარეთა შორის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება (მდრ. სუსგ-ებს: №ას-6-6-2015, 01.07.2015წ; №ას-497-2019, 05.07.2019წ.). განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურობაზე და განმარტავს, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია რაიმე ისეთი მტკიცებულება, ან მითითება კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც სასამართლოს გაუმყარებდა რწმენას ხელშეკრულების დადებისას, გამჩუქებლის ნების ნამდვილობაზე, საპირისპიროდ, კი მოსარჩელემ არაერთი გარემოება დაასახელა, რომელიც საქმეში არსებული მტკიცებულებებითაც არის გამყარებული, გარიგების ნამდვილობის გამორიცხვისათვის. სადავო გარიგების კონტრაჰენტია სახელმწიფო, რომლის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მიმართ იმთავითვე ნავარაუდევია კა-

ნონშესაბამისობის ანუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილი სამი დამოუკიდებელი წინაპირობის დაცვის მოლოდინი იმ მხარის მიერ, რომელიც ძლიერ მხარესთან შედის სახელმეკრულებო ბოჭვაში. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 319-ე მუხლი ადგენს სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილეები კანონის ფარგლებში უფლებამოსილი არიან, თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ანუ მოქმედებს პრინციპი ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის, დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სახელმეკრულებო თავისუფლებაც კანონისმიერ ჩარჩოშია მოქცეული და აქედან გამომდინარე, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაჰენტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სსკ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორიცაა წინაპირობის ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ ღებულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება, უსასყიდლოდ მოემსახუროს;

26.1. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უზრუნველბა მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნ-ი და ტ-ძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გ-ნი სასომხეთის წინააღმდეგ“;

26.2. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებულ კერძოსამართლებრივ გარიგებებში, ისევე, როგორც ზოგადად სხვა პირთა შო-

რის გაფორმებულ ხელშეკრულებებში, შემონმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობასთან, შესაძლებელია გარიგების მოტივის ამორალურობა გარიგების ამორალურად მიჩნევასაც დაედოს საფუძვლად. არსებითია არა ის, თუ რამდენად იცოდნენ გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, არამედ ის, თუ რა შინაარსის გარიგება დადეს მათ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მისაჩნევად სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაკვლევი და სამართლებრივად უნდა შეფასდეს არა გარიგების მონაწილეთა სუბიექტური ქცევა/ქმედება, არამედ თავად გარიგების შინაარსი ობიექტურად რამდენად შეესაბამება ზნეობის ნორმებს (იხ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 54, ველი 33), სწორედ ამით განსხვავდება სსკ-ის 54-ე მუხლში მოცემული გარიგების ბათილობის სამი ალტერნატიული წინაპირობა ერთმანეთისაგან: 1. არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს (ამ შემთხვევაში კანონის კონკრეტული დანაწესის გარდა, მნიშვნელოვანია გარიგების მონაწილეთა ქცევა/ქმედებაში სუბიექტური ელემენტის კვლევა გარიგების შინაარსთან მიმართებით) 2. ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (კონკრეტულ დანაწესზე უნდა იქნეს მითითებული, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეფასდეს გარიგების მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება); 3. ზნეობის ნორმებს (როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შესაფასებელია გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობის ნორმებთან და არა სუბიექტურად კონტრაქტტა სუბიექტური ცოდნა და შეხედულება, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ზნეობის საწინააღმდეგოდ). სსკ-ის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდებუნიციური ხასიათისაა, ბლანკეტურ, მითითებით მონესრიგებას წარმოადგენს და ზემოხსენებული ნორმის პირველ ორ წინაპირობაზე განცალკევებულად მსჯელობისას მარტოდენ 54-ე მუხლი სხვა ნორმების, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, მითითების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრაქტტა ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მას-

შტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისადმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება (შდრ. სუსგ-ებს: №ას-212-201-2017, 15.05.2017წ; №ას-1215-2018, 29.03.2019წ.).

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება (შდრ. სუსგ №ას-15-15-2016, 01.03.16 წ.).

28. სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი ამ შემთხვევაში სტრუქტურული დისბალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას – ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა – დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემოქმენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის აღდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვაზიანდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაქტენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. რადგანაც, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საჯარო წესრიგის დაცვა. „საჯარო წესრიგის“ ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპე-

რატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. სსკ-ის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შეზღუდულია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მამასადამე, ყოფილა ურთიერთობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ „კერძო ავტონომიის საქმე“ (იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 01.03.2016 წ.).

29. ზემოხსენებული სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ წარმატებით დაძლია მტკიცების ტვირთი სადავო გარიგების (სახელმწიფოსათვის საწარმოს მიერ უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ) ბათილად ცნობის ნაწილში, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მონმეთა ჩვენებები, სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები ერთობლივად ქმნის იმგვარ მყარ პრეზუმფციას, რაც, სასამართლოს შეფასებით, სადავო გარიგების ამორალურობაზე მიუთითებს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, რადგან სახელმწიფოსათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა იმ პირობებში, როდესაც ეს არ უკავშირდება საქველმოქმედო ან საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებს, ცალსახად ქმნის გარიგების ამორალურობის პრეზუმფციას, ამდენად, გადალახულია მოსარჩელის სტადია სადავო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, რაც ვერ გააქარწყლა მოპასუხემ მის მიერ წარდგენილი არაკვალიფიციური შედავების გამო.

30. მოპასუხე სამინისტრომ საკუთარ შესაგებელში მიუთითა, რომ მხარე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა სსკ-ის 54-ე და 85-ე მუხლებზე; საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე საწარმოს პარტნიორებზე მიმდინარეობდა სამართლებრივი დევნა, არ დასტურდებოდა კონკრეტულ პირებზე განხორციელებული იძულება, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რადგან სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილია იძულებით დადებული გარიგების სადავობა 1 წლის განმავლობაში; სადავო ხელშეკრულება დაიდო 2004 წელს, შესაბამისად, მხარეს შეცილება უნდა განეხორციელებინა ხელშეკრულების დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით დაუსაბუთებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, რად-

გან თუკი კონკრეტული თანამდებობის პირთაგან მომდინარეობდა და სისხლისსამართლებრივი დევნა, მაშინ სსკ-ის 1005-ე მუხლის საფუძველზე უნდა მოეთხოვა მხარეს ზიანის ანაზღაურება (იხ. შესაგებელი). საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვებას და მოითხოვა საკასაციო საჩივრის უარყოფა იმ ძირითად არგუმენტზე მითითებით, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია პარტნიორთა კრების ის ოქმი, რომელზედაც საწარმომ მიიღო ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის გადაწყვეტილება, მოსარჩელემ მხოლოდ მის მიერ პარტნიორთა კრების მიერ გამოვლენილი გადაწყვეტილების აღსრულების შედეგი – ქონების გადაცემა გახადა სადავო და მიკუთვნებითი მოთხოვნა დააყენა იმ პირობებში, როდესაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება არ გაუხდია სადავოდ (იხ. საკასაციო სასამართლოს 16.07.2019 წ. სხდომის ოქმი 12:20:31-დან).

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, გარიგების (მოცემულ შემთხვევაში პარტნიორთა კრების ოქმის) ბათილად ცნობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მოთხოვნას, ის მიკუთვნებითი მოთხოვნის ფაქტობრივი წინაპირობაა (შდრ. სუსგ-ებს: №ას-497-2019, 05.07.2019წ; №ას-708-662-2017, 11.01.2018წ.). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ მოპასუხე არ შედავებია მოსარჩელეს, რომ ამ უკანასკნელმა არაკეთილსინდისიერად მოიპოვა სადავო გარიგებით გაჩუქებული ქონება, რაც მოპასუხეს, როგორც ქონების მიმღებს, უფლებას ანიჭებდა გადაცემულზე და გამორიცხავდა თუნდაც იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემული ქონების საწარმოს მხრიდან უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლომ უკვე განმარტა, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება და მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ერთმანეთთან კონკურენტული საფუძველების მითითება, სასამართლოს არ აფერხებს, შეამოწმოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და შესატყვისი ნორმის მიხედვით გამოიკვლიოს მასში მითითებული ფაქტობრივი წანამძღვრების არსებობა რამდენად არის დადასტურებული მოსარჩელის სტადიაზე. „განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისა-

გან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-664-635-2016; პუნქტები 211-214 და 217-225).

32. საკასაციო სასამართლო აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მოპასუხის შესაგებელი იმ თვალსაზრისითაც არის არაკვალიფიციური, რომ ის არ შედავებია მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის ოდენობას (რაც შესაგებლის სტადიაზე უნდა განხორციელებულიყო ან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დაწყებამდე – იხ. სსსკ-ის 83-ე, 127-ე, 201-ე, 217-ე, 219-ე მუხლები), რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს მოპასუხის შედავების ფარგლებში ემსჯელა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის ოდენობაზე.

33. განსახილველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ სანარმოს დომინანტ პარტნიორზე (მის წარმომადგენელზე) განხორციელდა იძულება არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ასევე გამოვლენილია გარიგების ბათილობის ისეთი სამართლებრივი წინაპირობა, როგორცაა გარიგების შინაარსის ამორალურობა, რადგან იძულება, თანაც სახელმწიფოს მხრიდან, თავისთავად ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და მართლსაწინააღმდეგოა. საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ ასევე განმარტა: „პირის იძულება, ნების საწინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების 193-ე პუნქტი საქმეზე №ას-664-635-2016). საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიური შინაარსის სხვა დავებზე განმარტებულია, რომ მატერიალური უფლების შეცილების ვადა ვრცელდება მხოლოდ საცილო გარიგებებზე. მოცემულ შემთხვე-

ვაში კი, ვინაიდან სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება, მისი ამორალურობის გამო, რომელზეც შეცილების ვადა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არაა, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა. ამდენად, ხანდაზმულობაზე მოპასუხის შედავებას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არც ამ თვალსაზრისით გააჩნია და იგი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა (იხ. სუსგ-ები: №ას-225-215-2016; №ას-761-729-2016, №271-271-2018). მოსარჩელის მოთხოვნა წარმოშობილია, იგი განხორციელებადია (არ არის ხანდაზმული) და მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება მესამე პირზე გასხვისებული და მისი დაბრუნება შეუძლებელია, შესაბამისად, მეორადი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე დასაბუთებულია და საკასაციო სასამართლოს მიერ საწარმოს სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო სსკ-ის 54-ე „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს ... ზნეობის ნორმებს“, 978-ე „პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებმა უფლება ჰქონდა გადაცემულზე“, 979.1 „უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით“, 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ და 409-ე „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“ მუხლები.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა დასაბუთებულია, ხოლო სააპელაციო სასამართლოს შეფასება და დასკვნა, რომლითაც ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება სარჩელის უარყოფის თაობაზე, არამართებულია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

35. მოპასუხეს დაეკისრება მოსარჩელის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 20 000 (ოცი ათასი) ლარის – საწარმოს სასარგებლოდ ანაზღაურება (სსკ-ის 53.1 მუხლი, იხ. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 257.1, 408-ე, 411-ე მუხლე-
ბით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინება და მიღე-
ბულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „გ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს „გ-ის“ სასარგებლოდ საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს დაეკისროს 810 000 (რვაას
ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
5. შპს „გ-ის“ სასარგებლოდ საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს დაეკისროს სახელმწიფო ბა-
ჟის 20 000 (ოცი ათასი) ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოწვევაზე და თვალთმაქცური გარიგებანი

**გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ი ლ ა ბ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ**

№ას-1021-982-2016

17 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თავ-
დაპირველი მესაკუთრისათვის საკუთრების უფლების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ბ-ის (მესაკუთრე, გამყიდველი, პირველი მოპასუხე) სა-
ხელზე 2008 წლის 25 სექტემბერს გაცემული სამკვიდრო მონწი-
ლის მიხედვით, მან მიიღო მემკვიდრეობა უძრავ ქონებაზე, მდებარე

რე თბილისში, ... ქუჩა №65-ში (სადავო უძრავი ქონება).

2. მ. კ-მა 2012 წლის ნოემბერში სარჩელი აღძრა პირველი მოპასუხის მიმართ 39 000 აშშ დოლარის, ხოლო პირველი მოპასუხისა და თ. ბ-ის მიმართ სოლიდარულად 70 000 ევროს დაკისრების მოთხოვნით.

3. პირველმა მოპასუხემ და ტ. ყ-მა (მეორე მოპასუხე, მყიდველი) 2013 წლის 20 თებერვალს სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს. ხელშეკრულებით ნასყიდობის ფასი 80 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. ამასთან, მოპასუხეს მიეცა აღნიშნულ ბინაში დროებით ცხოვრების უფლება.

4. 2013 წლის 20 თებერვალსვე, სადავო უძრავი ქონება, დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურების შედეგად, საჯარო რეესტრში თავდაპირველად გამყიდველის საკუთრებად, შემდეგ კი, მყიდველის სახელზე აღირიცხა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირველ მოპასუხესა და თ. ბ-ს, მ. კ-ის (მოსარჩელე) სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრა 70 000 ევროს გადახდა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2015 წლის 23 თებერვალს შევიდა, ის ჯერ არ აღსრულებულა.

6. 2013 წლის 18 მარტს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და თავდაპირველი მესაკუთრისათვის საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით.

6.1. მოსარჩელის მტკიცებით, პირველი მოპასუხე მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას, მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების თავიდან არიდების მიზნით, საჯარო რეესტრში არ ირეგისტრირებდა. როდესაც მოსარჩელემ მემკვიდრეობით მიღებული ქონების შესახებ შეიტყო, სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მიმართა, თუმცა, 2013 წლის 19 თებერვლის განჩინებით, განცხადება არ დაკმაყოფილდა. ამის შესახებ შეიტყო მოპასუხემ და მეორე დღეს, 20 თებერვალს, სადავო უძრავი ქონება თავის ახლობელს, მეორე მოპასუხეს, დაჩქარებული წესით გადაუფორმა.

6.2. ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობას ადასტურებს ისიც, რომ მეორე მოპასუხე თავის 6 შვილთან ერთად ცხოვრობს სოფელ ..., მან 2007 წლის 11 ივნისს იპოთეკით დატვირთა თავისი ბინა ბანკის სასარგებლოდ და აიღო სესხი, ხოლო 2011 წლის 3 აგვისტოს კვლავ აიღო სესხი ბანკისგან და არცერთი იპოთეკის ხელშეკრულება დღეს გაუქმებული არ არის. ამიტომ, საეჭვოა, რომ მეორე მოპასუხეს 80 000 აშშ დოლარი გადაეხადა ისეთ ბინაში, რო-

მელშიც გადასვლას არ ჩქარობს.

7. მოპასუხეებმა მოთხოვნის წარმოშობის შემაფერხებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები მხოლოდ მისი მოსაზრება იყო და არ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებებით. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა კანონით დადგენილი წესით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 50-ე, 56-ე, 170-ე, 477-ე მუხლები და დაასკვნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგება არ იყო.

9.1. სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ პირველმა მოპასუხემ სწორედ ამ ქონების დაყადაღებაზე უარის თქმის გამო დაირეგისტრირა და შემდეგ გაასხვისა საკუთრება, არ დასტურდება, კერძოდ, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადგინდა, რომ მან იცოდა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. გარდა ამისა, როგორც თავად მოსარჩელე მიუთითებდა, მან სარჩელი აღძრა 2008 წლის ნოემბერში, ანუ მას შემდეგ, რაც მოპასუხემ მიიღო სამკვიდრო მონაწილეობა. თუ პირველ მოპასუხეს ამგვარი განზრახვა ჰქონდა, იგი მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრამდე დაირეგისტრირებდა და გაასხვისებდა ქონებას, რადგან ამისათვის ხელისშემშლელი გარემოება არ არსებობდა. ამასთან, 2008 წლის ნოემბრის შემდეგაც, საქმის განხილვის მიმდინარეობისას, მესაკუთრეს არაერთხელ ჰქონდა საშუალება, ანალოგიურად მოქცეულიყო.

9.2. სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება პირველი მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შესული არ იყო, რის გამოც მოპასუხის დადასტურებულ ვალდებულებას მოსარჩელისადმი სასამართლო ვერ გაითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხე, როგორც აღნიშნული უძრავი ნივთის მესაკუთრე, უფლებამოსილი იყო, შეუზღუდავად განეკარგა საკუთარი ქონება ნებისმიერი ფორმით.

9.3. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ქონება გამყიდველის საკუთრება იყო და ობიექტური გარემოების, კერძოდ, ვალდებობის გამო გაასხვისა. მოსარჩელის მტკიცება, რომ მეორე მოპასუხეს არ სურდა უძრავი ქონების შეძენა, სასამართლოს მოსაზრე-

ბით, გარიგების მოჩვენებითობას არ ადასტურებდა. ის გარემოება, რომ სადავო ბინაში კვლავ გამყიდველი ცხოვრობდა, არ ეწინააღმდეგებოდა და არც რაიმე ფორმით არ ლახავდა შემძენის საკუთრების უფლებას, ხოლო ის ფაქტი, რომ შემძენს გამყიდველისათვის ნასყიდობის საფასური არ გადაუხდია, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე მითითებით მოითხოვა:

10.1. პირველმა მოპასუხემ დედის დანატოვარ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა მიიღო 2008 წელს, თუმცა იმის შიშით, რომ სადავო ქონება მოსარჩელის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებად არ გამოყენებულიყო, საჯარო რეესტრში არ ირეგისტრირებდა. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარს შედეგად მოჰყვა ის, რომ პირველმა მოპასუხემ მეორე დღესვე დაჩქარებული წესით დაირეგისტრირა სამკვიდრო ქონება და ასევე დაჩქარებული წესით იმ დღესვე გაასხვისა. აპელანტის მითითებით, თუ არა შიში, რომ დედამისის დანატოვარი ქონება არ გამოყენებულიყო დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის აღსრულების საშუალებად, მაშინ რატომ დაირეგისტრირა დაჩქარებული წესით უძრავი ნივთი, რომელზეც სამკვიდრო მონაწილეობა ალღებულია 2008 წლიდან? რატომ გადაიხადა გამყიდველმა, რომელსაც, სასამართლოს განმარტებით, ვალები ჰქონდა, 200 ლარი, როდესაც 3 სამუშაო დღეში 50 ლარად დაირეგისტრირებდა ქონებას? ასევე, გაუგებარია, რას ემსახურებოდა მეორე მოპასუხის მიერ დაჩქარებული წესით ნივთის რეგისტრაცია და ამაში 205 ლარის გადახდა, მაშინ, როდესაც იგი დღესაც არ გადასულა ამ სახლში საცხოვრებლად.

10.2. აპელანტის განმარტებით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან გასულია 5 თვეზე მეტი და მყიდველი არ აპირებს „ნაყიდ“ სახლში გადასვლას, ხოლო გამყიდველი – სახლის დაცვას, რადგან უდავოა, რომ მათ შორის დადებული გარიგება მოჩვენებითია.

10.3. აპელანტის მითითებით, საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს 2012 წლის ნოემბრიდან და არა – 2008 წლიდან, როგორც ამას აღნიშნავს სასამართლო. სასამართლომ სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღა არ დაადო სამკვიდრო ქონებას, რითაც ისარგებლა პირველმა მოპასუხემ და, როდესაც რეალური საფრთხე დაემუქრა მის ქონებას, მოჩვენებითი გარიგებით დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში მეორე მოპასუხის სახელზე. პირველი მოპასუხის შიში რეალური აღმოჩნდა, რამდენიმე დღეში სასამართლომ

დააკმაყოფილა სარჩელი და პირველ მოპასუხეს დაეკისრა 70 000 ევროს გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

10.4. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ გამყიდველს ჰქონდა ვალეები და სწორედ ამან განაპირობა დაჩქარებული წესით ქონების რეგისტრაცია. აპელანტის განმარტებით, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმისა, რომ პირველ მოპასუხეს, მოსარჩელის გარდა, სხვისი ვალიც ჰქონდა. ამასთან, მხარე ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სადავო ქონების გასხვისების შედეგად აღებული ფულით მესამე პირის ვალი გაისტუმრა.

10.5. პირველი ინსტანციის სასამართლომ, არასწორად განმარტა სსკ-ის 56-ე მუხლი. პირველმა მოპასუხემ ვერ მიუთითა, რატომ გაყიდა მინიმუმ 150 00 აშშ დოლარად ღირებული სახლი 80 000 აშშ დოლარად. მან ვერც ამ თანხის მიღების ფაქტი ვერ დაადასტურა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.1. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გარიგების მოჩვენებითად მიჩნევისათვის აუცილებელი იყო ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებდა ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქციური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან, თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება.

11.2. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ნასყიდობის საგანი მყიდველს მფლობელობაში არ გადასცემია საკმარისი არ იყო გარიგების მოჩვენებითობის დასადასტურებლად, რადგანაც უძრავ ნივთთან დაკავშირებული გარიგების ნამდვილობა ნასყიდობის საგნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემას არ უკავშირდებოდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს მიეცა აღნიშნულ ბინაში დროებით ცხოვრების უფლება მის მიერ ალტერნატიული საცხოვრებლის მოძებნამდე. ამდენად, იმაზე მითითებით, რომ სადავო ბინაში დღემდე პირველი მოპასუხის ოჯახი ცხოვრობს, დასაბუთებულად არ ივარაუდება სადავო ხელშეკრულების დადებისას ქონების საკუთრებაში მიღებაზე მყიდველის სხვა უპირატე-

სი ინტერესი.

11.3. რაც შეეხება აპელანტის მითითებას, ნასყიდობის ფასის შეუსაბამობაზე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან, პალატამ აღნიშნა, რომ ამ გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება. ამასთან, ამ ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც, იგი ვერ გახდებოდა გარიგების ბათილობის კანონიერი საფუძველი, ვინაიდან მხარეებმა ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე (სსკ-ის 319-ე მუხლი) შეათანხმეს, რაც გულისხმობს მხარის უფლებას, თავად გადაწყვიტოს, რა პირობებით და რამდენად გაყიდოს კუთვნილი ქონება.

11.4. აპელანტმა სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ სადავო უძრავი ნივთის დაჩქარებული წესით დარეგისტრირება და შემდეგ ასევე დაჩქარებული წესით გასხვისება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მისთვის ცნობილი გახდა სასამართლოს განჩინების შესახებ, რომლითაც მხარეთა შორის მიმდინარე პირველ დავაზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სადავო სახლზე ყადაღის დადების შესახებ.

11.5. რაც შეეხება მყიდველის კეთილსინდისიერებას, პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოება მეორე მოპასუხის არაკეთილსინდისიერების თაობაზე. პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრიდან გამომდინარე, მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძველით გარიგების ბათილობას, რადგან, თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება იდება ნათესაებს (მაგალითად, მამა-შვილს შორის) ან ოჯახის სხვა წევრებს შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებებისა და მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოპასუხეთა ნათესაურ ან სხვა სახის ახლობლურ ურთიერთობას, ასევე, მყიდველის მხრიდან გამყიდველის მიმართ ფინანსური ვალდებულების არსებობას.

11.6. რაც შეეხება აპელირებას, რომ მყიდველს ბანკის წინაშე სასესხო ვალდებულებები ჰქონდა, რის გამოც იგი ვერ შეძლებდა სადავო ქონების ყიდვას, პალატამ მიუთითა სადავო ნასყიდობის

ხელშეკრულების დათქმაზე, მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შესახებ, რომელიც ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი კანონით განსაზღვრული მტკიცებულება იყო (სსკ-ის 429-ე, 430-ე მუხლები). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო მყიდველის განმარტებაც, რომ საბანკო სესხებიდან პირველი უკვე დაფარული ჰქონდა. ამასთან, სესხი მოხმარდა იმ ფერმერული მეურნეობის გაფართოებას (მინის ნაკვეთის, ძროხებისა და ძვირადღირებული ტექნიკის შეძენას), საიდანაც სოლიდურ შემოსავალს იღებს.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და, ახალი გადანყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

12.1. მოპასუხეები რომ ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ და გარიგების შესაბამისი იურიდიული შედეგი არ სურდათ, საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ გამსხვიებული კვლავ სადავო ბინაში ცხოვრობს, შესაძლოა, არ იყოს გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, თუმცა ამაზე არაერთი სხვა გარემოება მიუთითებს.

12.2. ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველი სადავო ბინაში ალტერნატიული სადავო საცხოვრებლის მოძიებამდე უნდა დარჩენილიყო. ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი შესაძლოა, ბინის გაყიდვიდან 1-2 თვე ვერ მოიძიო, თუმცა, მოცემულ შეთხვევაში, გასულია 45 თვე და გამყიდველი კვლავ „გაყიდულ“ ბინაში ცხოვრობს. ეს იმ პირობებში, როდესაც მყიდველს მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავს. ამასთან, გამყიდველის განმარტებით, მყიდველი მისთვის უცნობი პირია.

12.2. მოპასუხეთა ახლობლობას ადასტურებს საქმეში არსებული მრავალი გარემოება, მათ შორის, თავად მხარეთა ახსნა-განმარტებები. 18.05.2016 წლის სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ მყიდველმა იცოდა პირველი მოპასუხის მეზობლად მისი ბიძის საცხოვრებელი სახლისა და იმის შესახებ, რომ გამყიდველს ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა, რამდენადაც ბიძას, რომელიც გარდაიცვალა, მოსარჩელის მოვალეების გარდა სხვა ნათესავი არ ჰყავდა. გამყიდველი ბიძის სახლშია რეგისტრირებული, ფლობს მას და მისი საკუთრებაა.

მოპასუხეები არ უარყოფენ, რომ გაყიდულ სახლში კვლავ გამყიდველის ოჯახი ცხოვრობს, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მათ ერთობლივად რამდენჯერმე შეიცვალეს პოზიცია, რაც მათ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა ახლობლუ-

რი კავშირი დადასტურებულია, რამდენადაც მყიდველმა განმარტა, რომ გამყიდველი მისივე ტაძარში მოღვაწე მამა ა-ის მრევლია, ხოლო მამა ა-იმ განაცხადა, რომ გამყიდველი მყიდველის მრევლია. მყიდველი ვერ უარყოფს, რომ გამყიდველი იმ ტაძრის მრევლია, სადაც ღვთისმსახურებას მეორე მოპასუხე ეწევა.

12.3. კასატორის მტკიცებით, გამყიდველს მყიდველისათვის ნასყიდობის საფასური – 80 000 აშშ დოლარი არ გადაუხდია. მყიდველმა ვერ დაადასტურა, რომ მას 2013 წლის 20 თებერვლისათვის ამ თანხის გადახდის შესაძლებლობა ჰქონდა, ხოლო გამყიდველმა კი, თანხის მიღება ვერ დაადასტურა. მეორე მოპასუხემ განმარტა, რომ თანხა მის სახელზე სადავო ბინის რეგისტრაციის შემდეგ, საჯარო რეესტრში გადაუხადა. სადავო ბინა მყიდველის სახელზე 20.02.2013 წელს, 19:20 საათზე აღირიცხა, ამ დროისათვის რეესტრი საათზე მეტი ხნის დაკეტილი იყო. არადამაჯერებელია მეორე მოპასუხის განმარტება თანხის მოძიებასთან დაკავშირებით: 25 000 აშშ დოლარი ბანკიდან სესხი გამოიტანა, 25 000 აშშ დოლარი მეგობარმა სასულიერო პირმა ასესხა (არ დაუსახელებია ვინ ზუსტად), დანარჩენი მრევლმა შეკრიბა. ბანკთან არსებული ხელშეკრულების თაობაზე კი, მოსამართლეს უპასუხა, რომ სესხი 2013 წელს კი არა 2011 წელს აიღო.

ვერც გამყიდველმა დაადასტურა თანხის მიღების ფაქტი. მისი განმარტებით, თანხა ვალებში გადაიხადა. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მას ვალი ჰქონდა, მით უმეტეს დაუდგენელია სახლის გაყიდვით მიღებული თანხით ვალების დაფარვა. თუ ვალის გასტუმრებას აპირებდა, პირველ რიგში, მოსარჩელის ვალის ნაწილი მაინც უნდა დაეფარა.

მყიდველის განმარტებით, მის მიერ თანხის გადახდისას საჯარო რეესტრში გამყიდველთან ერთად იმყოფებოდა ქალბატონი, რომელსაც პირველმა მოპასუხემ ვალი გადაუხადა. გარდა იმისა, რომ ამ დროს საჯარო რეესტრი დაკეტილი იყო, ასეთი პირის არსებობის შემთხვევაში, აუცილებლად განაცხადებდა პირველი მოპასუხე მისი ვინაობის შესახებ, მან ხომ თავისი ნათესავებისა და ნაცნობებიდან ვერავინ დაითანხმა ვალის გადახდის დასადასტურებლად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით

სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების, ასევე, ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მესამე პირზე (მეორე მოპასუხეზე) გასხვისებული უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნების მოთხოვნა, სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს.

16. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი).

17. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება გამოიხატა მათი შეთანხმებული ქმედებით მოჩვენებითი გარიგების დადებით, რათა შეუძლებელი გამხდარიყო პირველი მოპასუხის მიერ მოსარ-

ჩელის წინაშე, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული, ვალდებულების აღსრულება – თანხის გადახდა.

18. პალატა მიუთითებს სსკ-ის 56.1 მუხლის საფუძველით გარიგების ბათილობასთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში, არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე, მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებითი ნების გამომვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი (შდრ სუსგ №ას-571-879-09, 30.04.2010 წელი).

19. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, ისევე, როგორც კასატორის მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი ისაა, რომ მოსარჩელემ საკმარისი მტკიცებულებები ვერ წარადგინა იმ ფაქტების დასამტკიცებლად, რომელიც გარიგების მოჩვენებითობას დაადასტურებდა. საკასაციო პალატა კი მიუთითებს, რომ სასამართლოს საფუძველიანი ეჭვი, ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობის თაობაზე დიდწილად მხარეთა შორის არა სადავო, არამედ უდავო ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა, კერძოდ: უდავოა, რომ პირველ მოპასუხეს მოსარჩელის ვალი ჰქონდა; უდავოა, რომ პირველმა მოპასუხემ მემკვიდრეობით მიიღო სადავო ბინა; იგი ბინას, კანონით დადგენილი წესით, საჯარო რეესტრში არ ირეგისტრირებდა; სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას – 20.02.2013 წელს სასამართლოში მიმდინარეობდა დავა მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელის გამო პირველი მოპასუხისათვის 39 000 აშშ დოლარისა და პირველი მოპასუხისა და მისი დისათვის სოლიდარულად 70 000 ევროს დაკისრების მოთხოვნით; გამყიდველმა სადავო უძრავი ქონება, დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურების შედეგად, საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა, იმავე დღეს გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება და ბინა დაჩქარებული წესით მყიდველის საკუთრებად აღირიცხა. უძრავი ქონების გასხვისებიდან მეექვსე წელია სადავო ბინას კვლავ გამყიდველი ფლობს თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე;

პირველ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ არსებული ვალდებულება 70 000 ევროს გადახდის თაობაზე დღემდე არ შეუსრულებია, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გამო, შეუძლებელი გახდა.

20. პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 56-ე მუხლის საფუძველზე გარიგების მოჩვენებითად მიჩნევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმგვარ ფაქტებს, რომელთა ერთობლივი ანალიზი ეჭვქვეშ აყენებს გარიგების ნამდვილობას. აღნიშნული განპირობებულია, ჯერ ერთი, იმით, რომ გარიგების მოჩვენებითობისას კონტრაჰენტთა გარეგნულად გამოვლენილი ნება ყოველთვის არსებობს (თუმცა ის კანონის მოთხოვნებს მხოლოდ ფორმალურად შეესაბამება, ნების ნამდვილობა კი, ვლინდება არა მხოლოდ მისი გარეგანი, არამედ შინაგანი გამოხატვისასაც), მეორეც, იმით, რომ მსგავს შინაგან პროცესებთან (განზრახვასთან, მოტივთან) დაკავშირებით ვერ იქნება წარმოდგენილი პირდაპირი მტკიცებულებები მესამე პირის (კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის) მხრიდან. სასამართლოს შეუძლია, გარეგანი პირობებისა და განსაზღვრული ქცევების საფუძველზე დაასკვნას, განზრახვისა თუ გარკვეული ქმედების მოტივის შესახებ. შესაბამისად, შინაგან ფაქტორებთან დაკავშირებით, საკმარისია ის არაპირდაპირი ფაქტები, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს სხვა პირის შინაგანი სურვილი ან ნების ფორმირება.

21. რამდენადაც მოჩვენებითი გარიგების მიზანი, როგორც წესი, მესამე პირის, ძირითადად, კრედიტორის მოცუებაა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, მოცემულ შემთხვევაში კი, უდავოა, რომ გამყიდველი მოსარჩელის მოვალეა, რომელიც თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას, მოტივი იმთავითვე ივარაუდება. აღნიშნული მიზანი და მითითებული უდავო ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთკავშირი (პ. 19), მაღალი ალბათობით, უთითებს მხარეთა მიერ მოჩვენებითი ნების გამოვლენაზე და ქმნის სასამართლოს დასაბუთებულ ვარაუდს ფიქტიური გარიგების თაობაზე.

22. ვინაიდან ეს გარემოებები არც მოპასუხეებმა უარყვეს, შემდეგ უკვე მათი ვალდებულება იყო, წარმოედგინათ მოვლენათა ამგვარი განვითარების ლოგიკური დასაბუთება შესაბამისი მტკიცებულებებით. სწორედ მათ უნდა ემტკიცებინათ ის, თუ რამ განაპირობა და რა აუცილებლობა იყო ქონების დაჩქარებული წესით ჯერ გამყიდველის, ხოლო შემდეგ მყიდველის საკუთრებად აღრიცხვა, იმის გთვალისწინებით, რომ სადავო ბინაში მისი გაყიდვიდან რამდენიმე წლის შემდეგაც კვლავ გამყიდველი ცხოვრობს.

მათი ამგვარი ვალდებულება თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპიდანაც გამომდინარებს, ვინაიდან მათ უკეთ იციან, თუ როდის, როგორ და რატომ მოხდა შესაბამისი ფაქტები.

აქედან გამომდინარე, მოპასუხეთათვის შესაძლებელი იყო, წარმოედგინათ კონკრეტული ფაქტების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები.

23. პირველი მოპასუხე მიუთითებს, რომ მის მიერ სადავო ქონების დაჩქარებული წესით რეგისტრაცია და შემდეგ დაჩქარებული წესით გასხვისება ვალებმა განაპირობა, კერძოდ, სადავო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხით მესამე პირის ვალი გაისტუმრა. ქვედა ინსტანციის სასამართლომ ისე დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ პირველმა მოპასუხემ ვალების გამო გაყიდა ქონება, ამ ფაქტის დასადასტურებლად გამყიდველს არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მაშინ, როდესაც, როგორც აღინიშნა, ეს მას მეტად ხელენიფებოდა. პირველმა მოპასუხემ ვერც ის ფაქტი ახსნა, თუ ქონება სწორედ ვალების გამო გაყიდა, რატომ არ გადაიხადა მოსარჩელის წინაშე არსებული ვალის თუნდაც ნაწილი.

24. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გარიგების მოჩვენებითობის დასადასტურებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზუმფციებისა და მტკიცებების ტვირთის სწორად განსაზღვრას და რომ მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითოდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება, თუმცა პალატა მიუთითებს, რომ შესაბამის ფარგლებში მოწინააღმდეგე მხარე ვალდებულია, რომ არა მხოლოდ სადავო გახადოს მტკიცებების ვალდებულების მქონე მხარის მითითებები, არამედ დასაბუთებულად წარმოადგინოს თავის მიერ მითითებული გარემოებები.

25. მყიდველი უთითებდა, რომ 25 000 აშშ დოლარი მეგობარმა სასულიერო პირმა ასესხა, 30 00 აშშ დოლარი მრევლმა შეკრიბა, 25 000 აშშ დოლარი კი, 2011 წელს ბანკიდან გამოტანილი სესხით გადაიხადა. პალატა მიუთითებს, რომ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების უმთავრესი წინაპირობა მათი საკმარისად დასაბუთებულად წარმოადგენაა. მხარის მითითებული ახსნა-განმარტება არ არის საკმარისად დასაბუთებული იმისათვის, რომ სასამართლომ ისინი დამაჯერებლად მიიჩნიოს და გაითვალისწინოს, მაგალითად, სესხის აღება, ორი წელი ბანკში სარგებლის გადახდა და მხოლოდ ორი წლის შემდეგ ბინის ყიდვა ან თუნდაც უცნობი პირისათვის წლების განმავლობაში ბინის თხოვება, მაშინ, როდესაც თავად ბანკთან სასესხო ვალდებულებები გააჩნდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია მყიდველის განმარტება, რომ საბანკო სესხე-

ბიდან პირველი უკვე დაფარული ჰქონდა. ამასთან, სესხი მოხმარდა იმ ფერმერული მეურნეობის გაფართოებას (მიწის ნაკვეთის, ძროხებისა და ძვირადღირებული ტექნიკის შეძენა), საიდანაც სოლიდურ შემოსავალს იღებდა. ამ ფაქტების დასადასტურებლად მეორე მოპასუხეს მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მყიდველმა ნასყიდობის თანხის წარმოშობის წყარო დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა.

26. სააპელაციო პალატამ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დათქმა, რომ მყიდველმა სრულად გადაიხადა ნასყიდობის საფასური, ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებლად მიიჩნია. მსგავს ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სადავო გარიგებაში არსებული დათქმა ნასყიდობის საფასურის გადახდის შესახებ, მტკიცებულებას ქმნის ხელშემკვრელ მხარეებს შორის გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების შესახებ, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც გარიგებაზე დავობს მესამე პირი მოჩვენებითობის საფუძვლით და გარიგების მოჩვენებითობის ერთ-ერთ საფუძვლად ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობაზეა მითითებული, სასამართლოს დასკვნით, ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საფასურის გადახდის ჩანაწერის გარდა, მყიდველის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ თანხის გადახდის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ხელშეკრულებაში მითითებული ჩანაწერი თანხის გადახდის შესახებ, სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მხარეები მოჩვენებითად მოქმედებდნენ (შდრ სუსგ №ას-667-638-2016, 7.10.2016 წელი). მოცემულ შემთხვევაში, ნასყიდობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება მონინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია, რის გამოც პალატა მიიჩნევს, რომ მეორე მოპასუხემ არა მარტო ნასყიდობის თანხის წარმოშობის წყარო ვერ დაასაბუთა, არამედ ვერც საფასურის გადახდა დაამტკიცა.

27. პალატა სააპელაციო სასამართლოს არც იმ დასკვნას იზიარებს, რომ საქმის მასალებით მოპასუხეთა ნათესაური ან სხვა სახის ახლობლური ურთიერთობა არ დასტურდება. ფაქტი, რომ ამდენი წლის მანძილზე გამყიდველს გაყიდულ ნივთზე მფლობელობა არ დაუკარგავს და თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს მას, სწორედ გამყიდველსა და მყიდველს შორის ახლობლურ ურთიერთობაზე მიუთითებს. შესაბამისად, მოპასუხეთა საერთო მიზნით მოქმედების პრეზუმფციას ის გარემოება ამყარებს, რომ სადავო ხელშეკრულების მხარეები ახლობლები იყვნენ და ივარაუდება, რომ მათ ერთიანი განზრახვაც ჰქონდათ.

28. მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად არ ადასტურებს

ფაქტს, უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად. სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლივად აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, უდავო გარემოებები იმდაგვარად ავსებს ერთმანეთს, რომ საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად ქმნის დასკვნის შესაძლებლობას, რომ მოპასუხეებს არ განუზრახავთ რეალური ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და სადავო ხელშეკრულება მოჩვენებითია.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ განჩინების გაუქმების (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) საფუძველია. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. პალატა აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს აკმაყოფილებს.

30. საკასაციო შესაგებელსა და 02.04.2018 წლის განცხადებას ერთვოდა მტკიცებულებები. პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 104-ე და 407-ე მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიულ მხარეს ამოწმებს. კანონი კრძალავს საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითებასა და ახალი მტკიცებულებების წარდგენას, რამდენადაც ეს შეუთავსებელია საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან, შესაბამისად, კასატორის მონინალმდევე მხარეს (პირველ მოპასუხეს) უნდა დაუბრუნდეს საკასაციო შესაგებელსა და 02.04.2018 წლის განცხადებაზე დართული მტკიცებულებები (სულ 115 ფურცელი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. საჯარო რეესტრში ტ. ჟ-ის (პ/ნ ...) სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ... (...-ის) ქ. №65 (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...), მესაკუთრედ აღირიცხოს თ. ბ-ი (პ/ნ ...);

5. თ. ბ-ს დაუბრუნდეს საკასაციო შესაგებელსა და 02.04.2018 წლის განცხადებაზე დართული მტკიცებულებები (სულ 115 ფურცელი);

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებით დაღებული გარიგებანი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1102-1022-2017

28 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ქონების საკუთრებაში გადაცემა, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში), თანხის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ბ-მა“ და შპს „ს-მა“ (შემდგომში – მოსარჩელები, მოპასუხეები შეგებებულ სარჩელზე, აპელანტები ან კასატორები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „ს-ასა“ და შპს „ჯ-ზის“ (შემდგომში – მოპასუხეები, შეგებებული მოსარჩელები ან მონინა-აღმდეგე მხარეები) მიმართ და მოითხოვეს შემდეგი:

ა) შპს „ბ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის:

– 2011 წლის 16 მარტს დადებული საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფების (ავტოგასამართი ქსელის);

– 2011 წლის 25 მარტს დადებული 9 ერთეული ბენზინმზიდი ავტომანქანის;

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული 13 ერთეული სხვადასხვა მიწის ნაკვეთის;

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული სოფელ გომსა და სოფელ იგოეთში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და სოფელ ურეხში მდებარე რკინიგზის ხაზის მონაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

ა.ა) აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და აღნიშნული გარიგებებით შპს „ს-ასათვის“ გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება საკუთრებაში დაუბრუნდეს შპს „ბ-ს“;

ბ) შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის:

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული შპს „ფ-ას“ 75% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული შპს „მ-ს“ 40% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული შპს „დ-ის“ 40% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული შპს „ო-ის“ 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 5 მაისს დადებული შპს „ჩ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 23 მაისს დადებული შპს „ქ-ოს“ 67% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 15 დეკემბერს დადებული შპს „ა-ის“ 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების;

– 2011 წლის 15 დეკემბრის დადებული შპს „ვ-ის“ 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

ბ.ა) აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და აღნიშნული გარიგებებით შპს „ჯ-სათვის“ გადაცემული წილები საკუთრებაში დაუბრუნდეს შპს „ბ-ს“;

გ) ბათილად იქნეს ცნობილი შპს „ს-სა“ და მოპასუხე შპს „ს-ას“ შორის:

– 2011 წლის 25 მარტს დადებული ავტომანქანა ტოიოტა კოროლას ნასყიდობის ხელშეკრულება;

– 2011 წლის 25 მარტს დადებული 6 ერთეული ბენზინმზიდი ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება;

– 2011 წლის 8 აპრილს დადებული ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩა №19ა-ში მდებარე ბენზინგასამართი სადგურისა და მისი ფუნქციონირე-

ბისათვის საჭირო მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება;
– 2011 წლის 8 აპრილს დადებული ქ. ბათუმში, ბ-ისა და გ-ის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 1262,6 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება;

გ.ა) აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და აღნიშნული გარემოებებით შპს „ს-ასთვის“ გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება საკუთრებაში დაუბრუნდეს შპს „ს-ს“;

დ) შპს „ს-ას“ შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი მოგების სახით მიყენებული ზიანის – 42 170 378 აშშ დოლარის ანაზღაურება;

ე) შპს „ჯ-ზს“ შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი მოგების სახით მიყენებული ზიანის – 6 262 288 აშშ დოლარის ანაზღაურება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:
შპს „ბ-ი“ და შპს „ს-ი“ წარმოადგენდნენ ერთი ბიზნეს ჯგუფის კომპანიებს, რომელთა საქმიანობის საგანი ნავთობპროდუქტების იმპორტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა იყო. ჯგუფი თავდაპირველად წარმოდგენილი იყო 1996 წლის 23 მარტს დაფუძნებული შპს „ბ-ით“, 2005 წლიდან კი, მას შეუერთდა შპს „ს-ი“. შპს „ბ-ი“ ფლობდა ბიზნესის წარმოებისათვის საჭირო ძირითად მატერიალურ აქტივებს, ავტოგასამართი სადგურების ქსელის ძირითად ნაწილს, რომელიც იჯარით ჰქონდა გადაცემული შპს „ს-ისათვის“ და ეს კომპანია ახორციელებდა ბიზნესის ოპერირებას. ამავე დროს შპს „ს-ი“ საკუთრების უფლებით ფლობდა ავტოგასამართი სადგურების ქსელის ნაწილს. საერთო ჯამში თანამოსარჩელებს საკუთრებაში გააჩნდათ 50 ავტოგასამართი სადგური, 3 ნავთობტერმინალი და 12 მიწის ნაკვეთი ავტოგასამართი სადგურების მშენებლობისათვის. ამასთან, შპს „ბ-ი“ ფლობდა წილებს იმავე პროფილის რამდენიმე საწარმოში. თანამოსარჩელები წარმოადგენდნენ საკმაოდ წარმატებულ კომპანიებს შესაბამისი პროფილის საწარმოთა შორის და რამდენჯერმე იყვნენ ლიდერები სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხებით. (შპს „ს-ის“ ერთობლივმა შემოსავალმა 2009 წელს გადააჭარბა 112 000 000 ლარს, ხოლო 2010 წელს – 155 000 000 ლარს).

2010 წლის ნოემბრის ბოლოს, თავდაცვის ყოფილი მინისტრის – დ. კ-ის ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა მოსარჩელეთა ბენეფიციარ მესაკუთრებთან და ამავდროულად, შპს „ბ-ის“ დირექტორებთან: ზ. ი-ესთან და დ. მ-თან. შეხვედრაზე დ. კ-მა მოითხოვა შპს „ბ-ისა“ და შპს „ს-ის“ აქტივების მის მიერ დასახელებულ კომპანიებზე მიყიდვა შეუსაბამოდ დაბალ ფასად – 28 000 000 აშშ დოლარად, ეს ფასი განხილვას არ ექვემდებარებოდა, ხოლო გადან-

ყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო დაუყოვნებლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა მათი დაპატიმრება და ბიზნესის წართმევა. აღნიშნულის შემდგომ კიდევ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მოსარჩელებს კონკრეტულად სთხოვდნენ ბიზნეს აქტივების დაუყოვნებლივ გადაფორმებას, უარის შემთხვევაში, შეექმნებოდა პრობლემები და საერთოდ დაკარგავდნენ ბიზნესს. ყოველი ასეთი შეხვედრისას თავდაპირველად დასახელებული თანხა თვითნებურად და ერთპიროვნულად მცირდებოდა დ. კ-ის მიერ და ფასი საბოლოოდ შემცირდა 22 200 000 აშშ დოლარამდე. ქვეყანაში იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით მოსარჩელები იძულებულნი შეიქმნენ, დაეთმოთ ბიზნეს აქტივები მიზერულ, რეალურ საბაზრო ფასთან შედარებით 4-ჯერ უფრო მცირე ფასად, რაც განხორციელდა ქონების შპს „ს-ასა“ და შპს „ჯ-ზთან“ სხვადასხვა დროს დადებული 16 დამოუკიდებელი ხელშეკრულებით. ამასთან, თანხის ანაზღაურებაც უნდა განხორციელებულიყო განვადებით – ის დაიფარებოდა იმავე აქტივების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული მოგებიდან. თანხის გადახდა გაჭიანურდა 1,5 წლის განმავლობაში, რაც ადასტურებს ფაქტს, რომ ფასის გადახდა ხდებოდა სადავო აქტივების გამოყენებით მიღებული მოგებიდან. მთლიანი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 60 919 590 აშშ დოლარს.

სადავო ხელშეკრულებებით, მოსარჩელეთა ნების საწინააღმდეგოდ, მიზერულ ფასად დათმობილი ბიზნესის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა მოქმედ ავტოგასამართ სადგურებსა და ბაზებს, აგრეთვე, იმ საწარმოთა წილებს, რომელთა ოპერირებას ახორციელებდა შპს „ს-ი“ და ამის შედეგად წლიური კაპიტალბრუნვა აჭარბებდა 150 000 000 ლარს, ხოლო მოგება – 14 000 000 ლარს. ამ ბიზნესაქტივების მოპასუხეებისათვის გადაცემით შპს „ს-მა“ დაკარგა სოლიდური მოგება. შპს „ს-ასათვის“ უკანონოდ გადაცემული ქონების დაკარგვის გამო შპს „ს-ის“ მიუღებელი მოგება 2011 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს 42 170 378 აშშ დოლარს, ხოლო იმ საწარმოთა, რომლის წილებიც უკანონოდ გადაეცა შპს „ჯ-ზს“ ოპერირების საშუალების დაკარგვის გამო, შპს „ს-ის“ მიუღებელი მოგება შეადგენს 6 262 288 აშშ დოლარს.

მოსარჩელე კომპანიების ბენეფიციარ მესაკუთრეებსა და დირექტორებზე: ზ. ი-ეზე და დ. მ-ძე წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ხორციელდებოდა ზეგავლენა და უკანონო ზენოლა, რომელიც სადავო გარიგებების დადების შემდეგაც ხორციელდებოდა და მიზნად ისახავდა იმ თანხების ჩამორთმევას, რაც მათ სადავო გარიგებების შედეგად მიიღეს. 2012 წლის მაისში დ. ი-ესა და ზ. მ-ს საქართველოს პროკურატურამ წაუყენა

დაუსაბუთებელი ბრალი და მათ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდათ პატიმრობა. პატიმრობაში ყოფნისას, აღკვეთი ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ, უკანონო ზენოლის შედეგად ბიზნესმენები იძულებულნი გახდნენ, გადაეხადათ 6 000 000 ლარი (2012 წლის 8 ივნისს დ. მ-ს შეეცვალა აღკვეთი ღონისძიება და 10 000 ლარის გირაოს სახით გადახდის სანაცვლოდ ის გათავისუფლდა პატიმრობიდან, რათა მოეხდინა შეთანხმებული თანხის შეგროვება. ზ. ი-ესაც შეეცვალა აღკვეთი ღონისძიება – პატიმრობა, 4 000 000 ლარის გირაოს სახით გადახდის სანაცვლოდ, ხოლო 2012 წლის 12 ივლისს პროკურატურის უშუალო მითითებით, შპს „ბ-მა“ მონაწილეობა მიიღო აუქციონში და 1 900 000 ლარად ახალციხის რაიონის სოფელ ჭ-აში შეიძინა 121 კვ.მ. ბიბლიოთეკის შენობა, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი იყო 8 000 ლარი). 2012 წლის არჩევნებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამოაშკარავდა ბიზნესმენტა მიმართ წაყენებული ბრალის უსაფუძვლობა და პროკურატურამ უარი თქვა ბრალდებაზე, სასამართლომ კი შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

1.2. სასამართლოს ევენტუალური შეგებებული სარჩელით მიმართეს მოპასუხეებმა და სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შემთხვევაში მოითხოვეს:

ა) შპს „ბ-ს“ შპს „ს-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი თანხის – 19 508 802,82 აშშ დოლარის დაბრუნება;

ბ) შპს „ს-ს“ შპს „ს-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი ნასყიდობის თანხის – 209 429,68 აშშ დოლარის დაბრუნება;

გ) შპს „ბ-ს“ შპს „ჯ-ზის“ სასარგებლოდ დაეკისროს ნასყიდობის თანხის – 2 700 000 აშშ დოლარის დაბრუნება;

დ) შპს „ს-ს“ შპს „ს-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს ქონების გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯების – 2 013 331,27 ლარის დაკისრება;

ე) შპს „ბ-ს“ შპს „ს-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს ქონების გაუმჯობესების ხარჯის – 3 963 556,6 ლარის ანაზღაურება.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ბათილად ცნობს შპს „ბ-ისა“ და შპს „ს-ის“ მიერ სადავოდ გამხდარ ხელშეკრულებებს, მაშინ ორივე მხარე ვალდებული იქნება, დააბრუნოს ამ გარიგებებით მიღებული ქონება, შესაბამისად, თავდაპირველი მოსარჩელები ვალდებული არიან, მყიდველებს დაუბრუნონ ნასყიდობის ხელშეკრულებით გადახდილი თანხა.

შპს „ს-ამ“ ავტოგასამართი სადგურების გაუმჯობესებაზე განია ხარჯი, რაც ჯამში 5 210 020,44 ლარს შეადგენს. შპს „ს-ის“ მიერ

გადაცემული „ქ-ე“ განუღებულ იქნა 2013 331,27 ლარის ოდენობის ხარჯი, ხოლო, შპს „ბ-ის“ ავტოგასამართი სადგურების გაუმჯობესებაზე – 3 963 556,6 ლარის ოდენობით ხარჯი.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მოპასუხეებმა თავდაპირველი სარჩელის წინააღმდეგ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინეს და განმარტეს, რომ შპს „ბ-ისა“ და შპს „ს-ის“ აქტივებისა და ბენზინგასამართი სადგურების შექმნის სურვილი გამოხატეს შპს „ს-ას“ და შპს „ჯ-ზის“ წარმომადგენლებმა. ქონების გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, ზენოლის გარეშე მიიღეს შპს „ბ-ისა“ და შპს „ს-ის“ ხელმძღვანელობამ. რაიმე მტკიცებულება, რაც პირდაპირ კავშირს დაადასტურებდა ნასყიდობის მართლზომიერებასა და გამყიდველთა ნებაზე, საქმეში არ არის წარმოდგენილი.

შპს „ე-ის“ საექსპერტო დასკვნაში არასწორადაა მითითებული გარიგების ფასი, შპს „ბ-ის“ დასკვნის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების დროისათვის ქონების საბაზრო ფასი 17 856 942 აშშ დოლარს შეადგენდა. საბაზრო ფასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შპს „ს-ამ“ იმავე პერიოდში შეიძინა ავტოგასამართი სადგურები სს „თ-ისაგან“ და ცალკეული სადგურების ღირებულება წარმოდგენილი გაანგარიშებით 30%-ით ნაკლებია სადავო ხელშეკრულებებით შეძენილ იმავე ტიპის ავტოგასამართ სადგურებთან შედარებით, რაც, ასევე ადასტურებს, რომ მოსარჩელებსაგან შეძენილი ქონების ხელშეკრულებებში მითითებული ფასი საბაზრო ღირებულების ადეკვატურია და რიგ შემთხვევებში შეიძლება, აღემატებოდეს კიდევაც მას. შესაბამისად, ფასთა დისპროპორციის მოტივითაც გამორიცხულია სადავო გარიგებების ბათილად ცნობა.

მოსარჩელეთა დირექტორების დაპატიმრებას არავითარი კავშირი არ აქვს ამ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან. გარდა ამისა, საქმის მასალებით არ დგინდება მიუღებელი შემოსავლის სახით მოსარჩელებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

2.2. შეგებებული სარჩელი არ ცნეს არც თავდაპირველმა მოსარჩელებმა, შესაგებლის თანახმად:

ხელშეკრულებით მიღებული ფულადი სახსრები შეგებებული სარჩელის მოპასუხეებს არ განუკარგავთ საკუთარი სურვილითა და ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, ისინი იძულებული გახდნენ, ვადაზე ადრე დაეფარათ ბიზნესსაქმიანობისათვის საჭირო საბანკო კრედიტები და მოუწიათ პირგასამტეხლოების გადახდაც სესხების წინსწრებით დაფარვისათვის. რაც შეეხება ქონების გაუმჯობესებაზე განუღებულ სახსრებს, მოთხოვნილი თანხის გადახდის ფაქტი

არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2016 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით თავდაპირვე-
ლი და შეგებებული სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით
გაასაჩივრეს თავდაპირველმა მოსარჩელებმა, მოითხოვეს სარ-
ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და
ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ
დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა
უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-
ჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყ-
ვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტე-
ბები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების და-
საბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს,
რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქ- ტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

განსახილველი დავის ფარგლებში შეფასების საგანს წარმოად-
გენს მოსარჩელების მიერ დადებული სადავო გარიგებების იური-
დიული ძალმოსილება და იმის დადგენა, დაკარგეს თუ არა მათ სა-
კუთრების უფლება დავის საგანზე. მოსარჩელეთა მტკიცებით, ყო-
ფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მიერ განხორციელებული
მართლსაწინააღმდეგო (იძულება) ქმედების შედეგად მათ მიერ გა-
მოვლენილია იურიდიულად არანამდვილი ნება, შესაბამისად, ნას-
ყიდობის ხელშეკრულებები სამართლებრივ ლეგიტიმაციას არ ატა-
რებენ და მოპასუხეებს ქონებაზე საკუთრების უფლება არ მოუ-
პოვებიათ, რის გამოც, სარჩელით მოთხოვნილია, მართლსაწინა-
აღმდეგო განკარგვის შედეგად საკუთრების ობიექტის მოპასუხე-
თაგან გამოთხოვა და ქონების უკანონო დაუფლების პერიოდში მო-
სარჩელებსათვის, როგორც ნამდვილი მესაკუთრეებისათვის, მი-

ყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის სახით). ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემომდგეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებით შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემაჯავლი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). სარჩელის ფაბულიდან გამომდინარე (მოსარჩელე მხარეები მიუთითებენ გარიგების იძულებით დადების გზით ქონების მათი ფაქტობრივი ბატონობიდან გასვლაზე, ამასთან, მიიჩნევენ, რომ ქონების რეალურ ღირებულებასა და ნასყიდობის ფასს შორის არსებული დისპროპორციის გამო გარიგება ამორალურია), საკასაციო პალატის შეფასებით, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც სამოქალაქო კოდექსის 408.1, 992-ე და 411-ე მუხლები, ისე – 170-ე, 172.1 და 411-ე მუხლები, თავად ქონების განკარგვის მართლზომიერება (ნების გამოვლენის ნამდვილობა) კი, უნდა შემომდგეს ამავე კოდექსის 54-ე, 55-ე, 85-ე-87-ე მუხლების ფარგლებში, ამასთანავე, სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება კვლევას, თუ რა ვადაში განხორციელდა შეცილება (სკ-ის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან), რათა არ გაუარესდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. გარიგების შეცილებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“. უცილო (არარა) გარიგებების „ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ

არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტიში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა“ (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 ნელი).

1.1. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორებს არ მიუთითებიათ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.1.1. 2011 წლის 25 მარტის ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ს-მა“ შპს „ს-ას“ მიჰყიდა ავტომანქანა ტოიოტა კოროლა. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 15 000 აშშ დოლარით, რაც უნდა გადახდილიყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 საბანკო დღეში;

1.1.2. 2011 წლის 15 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ს-მა“ შპს „ს-ას“ გადასცა ექვსი სპეცავტომანქანა. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 54 000 აშშ დოლარით დღგ-ს გარეშე;

1.1.3. 2011 წლის 8 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ს-მა“ შპს „ს-ას“ 350 000 აშშ დოლარად მიყიდა სანარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის, ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩა №19ა-ში მდებარე ავტოგასამართი სადგური. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ გაყიდული ქონება მოიცავდა ასევე 5 სვეტსა და 10 ავზს. მხარეებმა მიუთითეს, რომ მინის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების ღირებულებაა 333 504,

ხოლო მოძრავი ნივთების ნასყიდობის ფასი 16 496 აშშ დოლარად განსაზღვრეს. ნასყიდობის ფასი გადახდილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 საბანკო დღეში;

1.1.4. 2011 წლის 8 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ს-მა“ შპს „ს-ას“ გადასცა ქ. ბათუმში, ბ-ისა და გ-ის ქუჩების კვეთაში მდებარე მიწის ნაკვეთი. ნივთი გაიყიდა 120 000 აშშ დოლარად, რაც უნდა გადახდილიყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 საბანკო დღის ვადაში;

1.1.5. 2011 წლის 16 მარტს შპს „ბ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის დაიდო სანარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფების გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა უძრავ-მოძრავი ქონების ერთობლიობა:

– ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩა №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (მიწის ნაკვეთის ფართობი 3938 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ფართობი – 514,4 კვ.მ) და არსებული მოძრავი ნივთებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 4 068 947 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 131 053 აშშ დოლარით. სულ ქონების ნასყიდობის ფასმა შეადგინა 4 200 000 აშშ დოლარი;

– ქ. ბათუმში, სოფელ ურეხში, ხ-ის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (7752 კვ.მ), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (1072,5 კვ.მ) და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 2 963 782 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 231 918 აშშ დოლარით. გამყიდველმა ასევე გადასცა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გამოფრქვევათა ნორმების პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 4 300 აშშ დოლარს. ქონების ნასყიდობის ფასმა შეადგინა 3 200 000 აშშ დოლარი;

– ქ. თბილისში, ვ-ი 3-სა და ვ-ის დასახლებას შორის მდებარე უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი (600 კვ.მ) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (87,22 კვ.მ) და იქ არსებული მოძრავი ქონება. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 434 607 აშშ დოლარით, ხოლო, მოძრავი ქონებისა – 15 393 აშშ დოლარით, სულ – 450 000 აშშ დოლარი;

– ქ. თბილისში, ჯ-ის ქუჩის ბოლოზე, მ-ის გამზირის გადაკვეთასთან მდებარე უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი (915 კვ.მ) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა (168,7 კვ.მ) და არსებული მოძრავი ქონებით. ჯამური ფასი შეადგენდა 550 000 აშშ დოლარს, აქედან უძრავი ნივთის ფასი – 515 463 აშშ დოლარს, მოძრავი ქონების ფასი – 34 537 აშშ დოლარს;

– ქ. თბილისში, გ-ის მე-3 და მე-4 მ/რ-ებს შორის მდებარე უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი (188 კვ.მ) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (27,05 კვ.მ) და არსებული მოძრავი ქონებით. ქონების ჯამური ფასი განისაზღვრა 500 000 აშშ დოლარით, აქედან მიწის ნაკვეთის ღირებულება – 485 750 აშშ დოლარით, ხოლო მოძრავი ქონებისა – 14 250 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისი, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი (110 კვ.მ), შენობა-ნაგებობა (8 კვ.მ), იქვე მდებარე 124 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 23 კვ.მ. შენობა-ნაგებობით. უძრავი ნივთის ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 882 873 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 17 127 აშშ დოლარით, სულ 900 000 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, კ-ძე, „ს-ის“ დასახლების მიმდებარედ 631 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 35,65 კვ.მ შენობა-ნაგებობითა და მოძრავი ქონებით. მიწის ნაკვეთის ფასი განისაზღვრა 326 456 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 23 544 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, რ., რესტორან მ-ას მარცხენა მხარეს მდებარე უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი (181 კვ.მ), შენობა-ნაგებობა (37,2 კვ.მ). უძრავი ნივთის ფასი განისაზღვრა 271 461 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 28 539 აშშ დოლარით;

– ქ. რუსთავში, შ-ასა და მ-ის ქუჩების გადაკვეთაზე მიწის ნაკვეთი (700 კვ.მ), შენობა-ნაგებობები (112 კვ.მ). უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 719 918 აშშ დოლარით, მოძრავი ქონების ფასი – 80 082 აშშ დოლარით;

– ქ. რუსთავში, თბილისი-რუსთავის ტრასის გასასვლელის მარჯვენა მხარეს, თბილისი-რუსთავის ტრასის მე-20 კმ, 0,2 კმ-ზე მარცხნივ მდებარე უძრავი ნივთი (1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 88,84 კვ.მ) და იქ არსებული მოძრავი ნივთები. უძრავი ნივთის ღირებულება განისაზღვრა 473 243 დოლარით, მოძრავი ქონებისა – 26 757 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, კ-ძე, შუშის ქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთი (1 062 კვ.მ), 45,55 კვ.მ შენობა-ნაგებობა და იქ არსებული მოძრავი ქონება. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 373 820 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 26 180 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, ხ-ის ქუჩა №25-ში მდებარე 185 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 328 655 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 21 345 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დილმის ხიდის მიმდებარედ 930 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 360,89 კვ.მ შენობა-ნაგებობითა და იქ განთავსებული მოძრავი ნივთებით. უძრავი

ქონების ფასი განისაზღვრა 471 434 აშშ დოლარით, მოძრავი ქონების – 28 566 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, წყალსაქარის მიმდებარედ 127 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 3 შენობა-ნაგებობებითა (საერთო ფართი 11,5 კვ.მ) და იქ განთავსებული მოძრავი ქონებით. უძრავი ნივთის ღირებულება განისაზღვრა 183 862 აშშ დოლარით, მოძრავი ნივთებისა – 16 138 აშშ დოლარით;

– ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურენში მდებარე 246 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ნივთებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 177 745 აშშ დოლარით, მოძრავი ნივთების საერთო ღირებულება – 22 255 აშშ დოლარით;

– ქ. თელავში, დ-ის ქუჩა №2-ში მდებარე 892 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 40.5 კვ.მ შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 379 920 აშშ დოლარით, მოძრავი ნივთებისა – 20 080 აშშ დოლარით;

– ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულაში მდებარე 1476 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 473 423 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 26 568 აშშ დოლარით;

– ქობულეთში, თ-ის ქუჩა №23-ის მიმდებარედ არსებული 446 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 355 378 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 44 622 აშშ დოლარით;

– ქ. მარნეულში, 2-ის ქუჩაზე მდებარე 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 66 კვ.მ შენობა-ნაგებობებით. უძრავი ნივთის ღირებულება განისაზღვრა 282 173 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 17 827 აშშ დოლარით;

– ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში მდებარე 2711 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ნივთის ღირებულება განისაზღვრა 474 059 აშშ დოლარით, მოძრავი ნივთების საერთო ფასი – 25 941 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, წ-ის ქუჩა №13-ში მდებარე 313 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ნივთებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 248 123 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 1 877 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, წ-ის შესახვევში მდებარე 943 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 394 805 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 5 195 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, ბ-ის „ვ“ კორპუსის მიმდებარედ 626 კვ.მ და 1700

კვ.მ მიწის ნაკვეთები, მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ნივთებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 343 982 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 6 018 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, გ-ის გამზირზე, სანარმოო გაერთიანება „ე-ის“ ქარხნის მიმდებარედ არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 475 883 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 24 177 ლარით;

– ქ. ქუთაისში, გ-ას ქუჩა №18-ში მდებარე 2463 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და იქ არსებული მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 297 830 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 2 170 აშშ დოლარით;

– გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში მდებარე 470 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 277 080 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 22 920 აშშ დოლარით;

– ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში მდებარე 999 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ნივთებით. უძრავი ნივთის ღირებულება განისაზღვრა 218 422 აშშ დოლარით, მოძრავი ქონებისა – 31 578 აშშ დოლარით;

– ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ნივთის ღირებულება განისაზღვრა 246 718 აშშ დოლარით, მოძრავი ნივთებისა – 3 282 აშშ დოლარით;

– ქ. ფოთში, ლ-ას ქუჩაზე მდებარე 888 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების ფასი განისაზღვრა 470 551 აშშ დოლარით, მოძრავი ნივთებისა – 29 449 აშშ დოლარით;

1.1.6. შპს „ბ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის 2011 წლის 25 მარტს დაიდო ხელშეკრულება სპეცავტომანქანების ნასყიდობის შესახებ. შპს „ბ-მა“ მოპასუხეს 81 000 აშშ დოლარად, დღ-ს გარეშე, მიყიდა სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი 9 ავტომანქანა;

1.1.7. 2011 წლის 8 აპრილს შპს „ბ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის დაიდო ხელშეკრულება უძრავი ნივთების ნასყიდობის შესახებ. ნასყიდობის ფასმა მთლიანობაში შეადგინა 295 000 აშშ დოლარი. შპს „ბ-მა“ შპს „ს-ას“ მიყიდა შემდეგი უძრავი ნივთები:

– ქ. თბილისში, ვ-ის დასაწყისში IV ქუჩისა და უ-ის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე 17 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 10 000 აშშ დოლარი;

– ქ. თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში, რ-ის მიმდებარედ არსებული 705 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 40 000 აშშ

დოლარი;

– ქ. გარდაბანში, გარდაბნის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 15 000 აშშ დოლარი;

– ქ. საგარეჯოში მდებარე 434 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 30 000 აშშ დოლარი;

– ქ. დედოფლისწყაროში, ს-ის ქუჩა №19-ში მდებარე 653 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 80 000 აშშ დოლარი;

– ხაშურის რაიონის სოფელ გომში არსებული 1676 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 8 000 აშშ დოლარი;

– ქ. ფოთში, მალთაყვას გზატკეცილზე მდებარე 2497 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 10 000 აშშ დოლარი;

– ქ. ზესტაფონში, ს-ის ქუჩაზე მდებარე 205 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 14 000 აშშ დოლარი;

– ქ. ზესტაფონში, ს-ის ქუჩაზე მდებარე 254 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 16 000 აშშ დოლარი;

– ქ. სენაკში, მ-ის ქუჩა №172-ში მდებარე 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 2 000 აშშ დოლარი;

– ქ. სენაკში, მ-ის ქუჩა №172-ში მდებარე 671 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 50 000 აშშ დოლარი;

– ქ. წალკაში, მ-ას ქუჩა №2-ში მდებარე 2318 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 15 000 აშშ დოლარი;

– ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში მდებარე 1643 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 5 000 აშშ დოლარი;

1.1.8. შპს „ბ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის 2011 წლის 8 აპრილს დაიდო ხელშეკრულება სხვადასხვა უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ. ხელშეკრულების საერთო ფასი განისაზღვრა 115 000 აშშ დოლარით დღგ-ს გარეშე. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა შემდეგი უძრავი ნივთები:

– ხაშურის რაიონის სოფელ გომში მდებარე 305,8 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 25 000 აშშ დოლარი;

– კასპის რაიონის სოფელ იგოეთში მდებარე 201,7 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი – 70 000 აშშ დოლარი;

– სოფელ ურეხში არსებული რკინიგზის ხაზი, ფასი – 20 000 აშშ დოლარი;

1.1.9. 2011 წლის 8 აპრილს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო ხელშეკრულება შპს „ფ-ას“ 75% წილის ნასყიდობის შესახებ. ნასყიდობის საგანი გაიყიდა 1 150 000 აშშ დოლარად;

1.1.10. 2011 წლის 8 აპრილს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო ხელშეკრულება შპს „მ-ს“ 40% წილის ნასყიდობის შესახებ. ნასყიდობის საგანი გაიყიდა 400 000 აშშ დოლარად;

1.1.11. 2011 წლის 8 აპრილს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის

დაიდო ხელშეკრულება შპს „დ-ის“ 40% წილის ნასყიდობის შესახებ. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 200 000 აშშ დოლარით;

1.1.12. 2011 წლის 5 მაისს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო ხელშეკრულება შპს „ჩ-ის“ 50% წილის ნასყიდობის შესახებ. ნასყიდობის ფასმა შეადგინა 140 000 აშშ დოლარი;

1.1.13. 2011 წლის 23 მაისს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო ხელშეკრულება შპს „ქ-ოს“ 67% წილის ნასყიდობის შესახებ. წილი გაიყიდა 255 000 აშშ დოლარად;

1.1.14. 2011 წლის 15 დეკემბერს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო შპს „ა-ის“ 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 250 000 აშშ დოლარით;

1.1.15. 2011 წლის 15 დეკემბერს შპს „-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო შპს „ვ-ის“ კაპიტალში 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 150 000 აშშ დოლარით;

1.1.16. 2011 წლის 8 აპრილს შპს „ბ-სა“ და შპს „ჯ-ზს“ შორის დაიდო შპს „ო-ის“ კაპიტალში 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 1 000 000 აშშ დოლარით;

1.1.17. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი – 37 719 929,47 ლარი მოპასუხეების მიერ გადახდილია სხვადასხვა დროს (2011 წლის 21 მარტს – 8 535 000 ლარი; 2011 წლის 8 აპრილს – 16 783 000 ლარი, 2011 წლის 11 მაისს – 7 758 000 ლარი; 2011 წლის 2 ივნისს – 348 679,47 ლარი, 2011 წლის 10 ივნისს – 4 475 250 ლარი);

1.1.18. სადავო უძრავ-მოძრავი ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრის/დადგენის მიზნით, საქმის მასალებში წარმოდგენილია ექსპერტიზის ოთხი დასკვნა, კერძოდ:

- i მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი შპს „ე-ის“ დასკვნის თანახმად, შპს „ს-ის“ და შპს „ბ-ის“ მიერ გასხვისებული უძრავ-მოძრავი ქონების საერთო ღირებულება შეფასებულია 54 886 000 აშშ დოლარად, ხოლო სხვადასხვა შპს-ში გასხვისებული წილები – 6 033 590 აშშ დოლარად. შეფასების დროს შპს „ე-ის“ მიერ ძირითადად გამოყენებულია შემოსავლის მეთოდი;
- ii მოპასუხის მიერ წარმოდგენილი „ფ-ის“ დასკვნის თანახმად, ქონების საბაზრო ღირებულება 2011 წლის 11 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა 17 885 517 აშშ დოლარით. შეფასების დროს „ფ-ის“ მიერ გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი: შემოსავლების მეთოდი და ხარჯების მეთოდი;
- iii სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 17 მარტის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გასხვისებული ქონების საბაზრო ღირებულება 22 076 322 აშშ დოლარია;

iii სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 29 თებერვლის დასკვნის თანახმად (რომელიც ჩატარდა სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების პროცესში), გასხვისებული უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების დროისათვის განისაზღვრა 22 200 000 აშშ დოლარით. წარმოდგენილი ოთხი დასკვნიდან ქონების შეფასებასთან დაკავშირებით, მხოლოდ შპს „ე-ის“ დასკვნაშია წარმოდგენილი რადიკალურად განსახვავებული ფასი, დასკვნაში მითითებული მონაცემების თანახმად, გასხვისებული ქონების (ქონებრივი აქტივების) ფასი, ბევრად აღემატება დანარჩენ სამ დასკვნაში მითითებულ ფასს; 1.1.19. საქმეზე დაკითხულმა მონმეებმა განმარტეს შემდეგი:

i მ. მ-ის ჩვენება:

ის ესწრებოდა დ. კ-ს, ზ. ი-ესა და დ. მ-ს შორის არსებულ საუბრებს. მ. მ-ი იყო როგორც დ. კ-ის, ისე – ზ. ი-ისა და დ. მ-ის მეგობარი, ასევე, დ. კ-ის მოადგილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. ერთ დღეს მისთვის ზ. ი-ისა და დ. მ-ისაგან ცნობილი გახდა, რომ ისინი დაბარებული ჰყავდა დ. კ-ს და მოსთხოვა მათი კუთვნილი ქსელის მისთვის გადაფორმება 28 000 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მაგრამ, ამასთან ერთად, დამუქრებია დაპატიმრებითა და სიცოცხლის ხელყოფით, რის გამოც მეგობრებმა მას დახმარება სთხოვეს. იგი არაერთხელ ესაუბრა დ. კ-ს, მაგრამ მისგან მიიღო პასუხი, რომ აპირებდა ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შექმნას, რაშიც მოიაზრებოდა შპს „ს-ის“ და შპს „ბ-ის“ ქონება, ასევე – შპს „მ-ის“ კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურები, რომლებიც შეიძინა სს „თ-ისაგან“. აპირებდა ამ ქონების ერთი საზოგადოების სახელით შექმნას, რომლის 50% წილის გასხვისებას აპირებდა ბიზნესმენ დ. ი-ძე 100 000 000 აშშ დოლარად. მ. მ-ის განმარტებით, ის მიხვდა, რომ ასეთი ოდენობის თანხების გამო დ. კ-თან საუბარი იმაზე, რომ თავი დაენებებინა მოსარჩელებისათვის, აზრს მოკლებული იყო, ამიტომ ეს ყველაფერი მოახსენა მეგობრებს. თავების განმავლობაში მიმდინარეობდა ვაჭრობა ქონების ფასზე, თავიდან შეთავაზება დაიწყო 28 000 000 აშშ დოლარით, შემდეგ დ. კ-ი სხვადასხვა მიზეზით ფასს აკლებდა, მაგალითად, იმის გამო, რომ ნავთობის ბაზა შესაღები იყო, სადღაც ნათურა იყო გადამწვარი, ასევე გაირკვა, რომ 12 000 000 აშშ დოლარის ნაცვლად ბანკებიდან მიღებული სესხი იყო 11 000 000 აშშ დოლარი ა.შ. ფასის დაკლებაზე აგრესია მოდიოდა დ. კ-ის პარტნიორების, ასევე, იურისტ რ. ჭ-ის მხრიდან, რომლებიც ითხოვდნენ, რომ მომხდარიყო ფასის დაკლება. იყო მუდმივი მუქარა,

რომ დაიჭერდნენ მოსარჩელებს, ასევე, ითხოვდნენ, რომ მიეცათ 5-წლიანი გარანტია თუ რამე გაფუჭდებოდა, ყოფილი მესაკუთრე აიღებდა ვალდებულებას, შეეკეთებინა ნივთები. მ. მ-ის განმარტებით, ამ თემებზე ესაუბრა კ-ს და უთხრა, ძალით ართმევ ქონებას და კიდევ გინდა 5 წელს გაგირემონტონო, ან რა მნიშვნელობა აქვს ვალი რამდენი აქვთ, თუ დაპირდი 28 მილიონს, გადაუხადეო, რაზეც დ. კ-ი ძალიან გაბრაზდა და შეუვარდა ოთახში მსხდომ დ. მ-სა და დ. ი-ეს და დაუწყო ლანძღვა-გინება, მუქარა, ციხეში ამოგალპობთო და ვერც ერთი ვერ გამოხვალთ ცოცხლებიო. ამ ფაქტს ესწრებოდნენ ასევე რ. ჭ-ე და პარტნიორები. მ. მ-ის განცხადებით, მას თავად დ. კ-მა უთხრა ფულს იმიტომ იხდიდა, რომ ინვესტორმა ითხოვა ძალიან „განენილი“ ბიზნესი არ ყოფილიყო, თორემ 9 წლის განმავლობაში ფული ვისთვის გადაგვიხდიაო. ასევე, უთხრა, რომ საკითხი შეთანხმებული იყო მაშინდელ საქართველოს პრეზიდენტთან, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებთან;

ii რ. ჭ-ის, ო. შ-ისა და კ. ნ-ას ჩვენებები (დ. კ-თან არსებული საუბრების დამსწრეებად მ. მ-ის მიერ დასახელებული პირები): არც ერთმა მონემ მ. მ-ის მიერ მიცემული ჩვენება არ დაადასტურა, მათ უარყვეს ჩვენებაში მითითებული ზენოლისა და მუქარის ფაქტები;

iii გ. ბ-ის ჩვენება: მონმის განმარტებით, მან გადმოცემით იცოდა, რომ ხელშეკრულებების გაფორმება ხდებოდა იძულებით, იგი დ. კ-ს არ შეხვედრია, თუმცა ურთიერთობა ჰქონდა მის ეროვნებით ებრაელ მეგობრებთან – ა-თან და ო-თან და მათი ქედმაღლური, შეურაცხმყოფელი და უპირატესობის მანიშნებელი ქცევითაც ნათელი იყო, რომ ხელშეკრულებების გაფორმება არ ხდებოდა თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში. გარიგებებში არ გაუთვალისწინებიათ არც ერთი უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ, როდესაც თანხის გადახდა მოგვიანებით უნდა განხორციელებულიყო, ამასთან ერთად კი, მყიდველი კომპანიები ახალშექმნილი იყვნენ, რეგისტრირებული ოფშორულ ზონებში და თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტია არ არსებობდა, რომ მყიდველი შეძლებდა ქონების დაბრუნებას ან თანხის მიღებას.

1.2. საკასაციო განაცხადის მოცულობა და კასატორთა პრეტენზიები (საკასაციო განხილვის ფარგლები):

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონ-

მოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორთა შემდეგი შედეგების საფუძვლიანობა:

1.2.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, მან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება გნსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებისაგან (№ას-664-635-2016), გარდა ამისა, სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;

1.2.2. არასამართლიანია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდება სადავო გარიგებათა ბათილად ცნობის სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების წინაპირობები, ისევე, როგორც მათი, ამავე კოდექსის 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, იძულებით დადების ფაქტი. სასამართლოს დასკვნა, რომ დავის საგანს წარმოადგენს გარიგებათა ერთობლიობა, რომელიც მიუთითებს არა ბიზნესის დათმობაზე, არამედ, ქონების ნასყიდობაზე, არასწორია, რადგანაც სადავო ბიზნესისათვის სასოცოცხლო მნიშვნელობის იყო არა ლოგო, არამედ, უძრავ-მოძრავი ქონება. მოწინააღმდეგე მხარემ ამგვარი ქმედება სწორედ თვალის ახვევის მიზნით განახორციელა, რათა ქონების ჩამორთმევის კასატორები ჩამოშორებოდნენ ნავთობის ბიზნესსაქმიანობას. სწორედ ამ არასწორი დასკვნის გამო, სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ გარიგების იძულებით დადებას, თუკი სააპელაციო სასამართლო იმსჯელებდა იმაზე, რომ ქონების გასხვისება რეალურად უტოლდებოდა ბიზნესის დათმობას, მაშინ გაიზიარებდა კასატორთა მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დასტურდება, რომ ხელშეკრულებათა ღირებულება ოთხჯერ ნაკლებია მის რეალურ საბაზრო ფასთან, ამის სანაცვლოდ სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ქონების შეფასების მეთოდებიდან რომელი იყო სწორი, ამ მხრივ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მსჯელობას, გარდა ამისა, პალატამ გვერდი აუარა მონმე მ. მ-ის ჩვენებას, რომლითაც დასტურდება საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი, ჩვენებით დგინდება გარიგებათა დადება საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის – დ. კ-ის ზეგავლენით. პალატამ მოწინააღმდეგე მხარის მონმეთა ჩვენებებს პროცესის წესების დარღვევით მიანიჭა უპირატესობა;

1.2.3. მოპასუხეებს სადავოდ არ გაუხდიათ ღირექტორების შემ-

დგომი დევნის, დაკავების, უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და დიდი ოდენობით თანხის წართმევის ფაქტები, მათ კვალიფიციური შედაგება არ წარუდგენიათ მოსარჩელეთა მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ, შემოიფარგლენ იმაზე აპელირებით, რომ სადავო გარიგებები კანონის მოთხოვნათა დაცვით იყო გაფორმებული, რაც ზოგადი ხასიათის შედაგებაა და პრეზუმირებულს ხდის მოსარჩელეთა მტკიცებას ქონების იძულებით დათმობის თაობაზე. პრეზუმირებული ფაქტების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი კი, ეკისრება მოპასუხეს;

1.2.4. დ. კ-ს იძულების განხორციელება პოლიტიკიდან წასვლის შემდგომაც შეეძლო ხელისუფლებაში დარჩენილი მეგობრების დახმარებით, მიუხედავად მოსარჩელეთა იძულებითი თანხმობისა, გარიგების დადების შემდგომ დ. კ-მა მაინც აღასრულა მუქარა, რის შემდგომაც კასატორი კომპანიების დირექტორები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში უსაფუძვლოდ, ხოლო სახელმწიფოს მიერ სასურველი თანხების კასატორთა მხრიდან მიღების შემდგომ ეს უკანასკნელები გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან. ამდენად, მარტივი გასაკეთებელია დასკვნა, რომ დ. კ-ს სადავო გარიგების ფასი თავშივე ჰქონდა განსაზღვრული: 22 000 000 აშშ დოლარიდან 12 000 000 აშშ დოლარით დაიფარა კომპანიის მიერ აღებული კრედიტი, 4 000 000 განსაზღვრული იყო მოგების გადასახადისათვის, ხოლო დარჩენილი 6 000 000 აშშ დოლარი, რომელიც კასატორებს უნდა დარჩენოდათ, დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში გირაოსა და აუქციონზე შეძენილი ქონების სანაცვლოდ;

1.2.5. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებით, შესაბამისად, მან დაარღვია მტკიცების ტვირთის განაწილების წესი. კასატორები განმარტავდნენ, რომ იძულება მომდინარეობდა ყოფილი მაღალჩინოსნებისაგან მათი და მათი ოჯახის წევრების მიმართ, რამაც კასატორებს (დირექტორებს) აფიქრებინა, რომ საფრთხე რეალური და მომავალში განხორციელებადი იყო, რასაც, როგორც მათი პიროვნების, ისე – ოჯახისა და ქონებისათვის შეეძლო ზიანი მოეტანა, საყოველთაოდ ცნობილია კომპანიათა დირექტორების მიმართ განხორციელებული იძულებაც, რაც არაერთ ინტერნეტსაიტზე განთავსდა.

1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი

ნი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

1.3.2. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა პოზიციას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება არა მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს, არამედ, სასამართლომ იხელმძღვანელა მხოლოდ იმ დამხმარე ნორმებით, რომლებიც, ერთ შემთხვევაში, საცილო, ხოლო, მეორე შემთხვევაში – უცილოდ ბათილი გარიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას ადგენს. სწორედ ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა საკასაციო საჩივარი და მხარეთა პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმებას, მათ შორის, დავის ფაქტობრივი ნაწილის კვლევას არაერთი სხდომა მიუძღვნა, შესაბამისად, მტკიცებულებათა დონეზე შემოწმდა ყველა ის პრეტენზია, რომლებზე დაყრდნობითაც მხარეები მიიჩნევდნენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება იყო არასწორი.

1.3.3. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასა-

მართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

1.3.4. საკასაციო სასამართლომ ზეპირი განხილვისას შეამონმა სადავო გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი არ არის ფორმალურად გამართული, იგი არ შეიცავს დამაჯერებელ, ლოგიკურ დასაბუთებას იმ ფაქტების თაობაზე, რომლებსაც ემყარება მხარის მოთხოვნა, შემოფარგლულია არა ფაქტებითა და მათი კონკრეტული, არამედ, სამართლებრივი შეფასებებით. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მიერ ზეპირ განხილვაზე კასატორთა მხრიდან მიღებული განმარტებებისა, იგი შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დროისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

1.3.5. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ საქმის მომზადების ეტაპი პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო საკმაოდ ხანგრძლივი, არაერთი სხდომა მიეძღვნა მოთხოვნის საფუძვლების დაზუსტებასა თუ მტკიცებულებათა წარდგენას, მოსარჩელემ დააზუსტა კიდევაც სარჩელის საფუძვლები, თუმცა, ამჯერადაც არ წარუდგენია დასაბუთებული პრეტენზიები. სასამართლო კი, ზემოთ ხსენებული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მი-

უკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 1030-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამის სანაღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/03), რაც მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც ითქვა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

1.3.6. სასამართლო სხდომაზე მიღებული განმარტებების შედეგად საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩეულები დავობენ საკუთრების უფლების მართლსაწინააღმდეგო ჩამორთმევის ფაქტზე (იხ. ევროკონვენციის დამატებითი ოქმის 1.1. მუხლი) და სურთ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – ქონების დაბრუნება, ასევე, ზიანის ანაზღაურება. თავად საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევას მხარეები უკავშირებენ ორ ფაქტორს, გარიგება, რომელიც ქონების გადაცემის საფუძველს წარმოადგენდა, დადებულია შეუსაბამოდ დაბალ ფასად, რაც მის ამორალურობაზე მიუთითებს და გარიგება დადებულია იძულების შედეგად, რაც გამორიცხავს ნამდვილი ნების არსებობას. უნდა ითქვას, რომ პირველი და მეორე მოტივის დადასტურება განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს და შესაბამისად, განსხვავებულ ფაქტებს ემყარება, ამასთან, წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიცაა: თუკი გარიგების ნამდვილობას მისი დადების დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 54-ე და/ან 55-ე მუხლის კონტექსტში შევამოწმებთ, მაშინ სახეზე უცნაურად ბათილი გარიგება უნდა გვქონდეს, რომელსაც იმთავითვე ფორმალურადაც არ წარმოუშვია სამართლებრივი შედეგები, ხოლო, თუკი ამავე კოდექსის 85-ე და შემდგომი ნორმების ფარგლებში იმსჯელებს სასამართლო, ასეთ შემთხვევაში სახეზე უნდა გვქონდეს საცილო გარიგება, რომელიც ფორმალურად

ნამდვილია და თუკი არ იქნება დადგენილ ვადაში შეცვილებული, მას კანონიერი ძალა მიენიჭება.

1.3.7. სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55.1 მუხლების კონტექსტში მხარე ცდილობს, დაადასტუროს, რომ ხელშეკრულებაში ასახული ფასი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქონების საბაზრო ფასს, რაც, მისი აზრით გარიგების ბათილობის საფუძველია. საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ (ციტირებული ზემოთ) ერთ-ერთ საქმეზე არ გაიზიარა ამგვარი მიდგომა იმ დასაბუთებით, რომ მხოლოდ ფასთა დისპროპორციის მოტივით გარიგების ამორალურად მიჩნევა ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (სსკ-ის 319.1-ე მუხლი: კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით). სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ამ წესიდან არსებული გამონაკლისი, ამ თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე. საპირისპირო მიდგომა, დიდი პალატის განმარტებით, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სადავო ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი (რომელიც სახელდებული იყო შემდეგნაირად: გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო; 08.05.2012წ. №151 ცვლილებამდე რედაქციით), გარიგების ბათილად მისაჩნევად კონკრეტულ წინაპირობებზე მიუთითებდა და ორი პირობის კუმულაციურად არსებობის აუცილებლობას ადგენდა. დასახელებული ნორმის მიხედვით, გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის დადგენა, ამასთან ერთად, გარიგების ბათილად მისაჩნევად, აუცილებელია, რომ მეორე წინაპირობაც ვლინდებოდეს, კერძოდ, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრუ-

ლების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით (იხ. სუსგ №ას-1224-1149-2015, 20.05.2016, შდრ. ასევე საქმე №ას-880-838-2013, 09.06.2014 წელი, საქმე №ას-1718-1701-2011, 23.02.2012 წელი, საქმე №ას-132-124-2015, 29.04.2015 წელი, საქმე №ას-788-745-2015, 13.10.2015).

1.3.8. ფასთა დისპროპორციის კუთხით საკასაციო სასამართლომ გამოიკვლია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნები, მოისმინა სასამართლო სხდომებზე დაკითხული ექსპერტების განმარტებები და მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა სრულად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე (105-ე) მუხლის მოთხოვნებს. უნდა აღნიშნოს, რომ ექსპერტის დასკვნას მოქმედი კანონმდებლობა რაიმე განსხვავებულ ძალას არ ანიჭებს, იგი ერთ-ერთი რიგითი მტკიცებულებაა, რომლის გაზიარებაც სასამართლოს მხრიდან ამ დასკვნის შინაარსობრივ კვლევაზე, მის დამაჯერებლობასა და იურიდიულ ლეგიტიმაციაზე დამოკიდებული, ამასთანავე, საექსპერტო კვლევა გამართლებული უნდა იყოს საქმის მასალებით, მათ შორის – მხარეთა განმარტებებით წარმორჩენილი დავის ზოგადი სურათით. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.1.18. პუნქტში მითითებული დასკვნებიდან მოსარჩელების მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში მითითებულია, რომ ზოგიერთი უძრავ-მოძრავი ქონება გასხვავებულია იმაზე მაღალ ფასადაც კი, ვიდრე მისი საბაზრო ღირებულება იყო, გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი დასკვნების ანალიზიდან გამომდინარე, უმთავრესი ფასთა განსხვავება წარმოდგენილია ნავთობის ბაზების შეფასების საკითხთან, ამ სხვაობის საფუძველი შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენებაა. სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ეს საკითხი და მის მიერ განვითარებული მსჯელობა ამ კუთხით გასაზიარებელია, რასაც ვერ გააბათილებს საკასაციო განხილვის ეტაპზე კასატორთა მიერ გამოთქმული პრეტენზიები (ამ კუთხით მხარეთა ძირითადი შედავება მოტივირებულია იმით, რომ ფასთა სხვაობა განპირობებული იყო მთლიანად ბიზნესსაქმიანობისგან მათი ჩამოშორებით და მხოლოდ სამეწარმეო სიმბოლოს – ლოგოს დატოვება მიზნად ისახავდა შემდგომი შესაძლო დავისას სასამართლოსათვის თვალის ახვევას). დადგენილია, რომ შპს „ე-ის“ მიერ (კასატორთა მიერ წარმოდგენილი დასკვნა) ნავთობის ბაზები შეფასდა შემოსავლების მეთოდით, ხოლო სხვა ექსპერტების მიერ დანახარჯების მეთოდით. შპს „ე-ის“ მიერ ნავთობის ორი ბაზა (მდებარე ქ. თბილისში, წ-ის ქუჩა №13-სა და ქ. ბათუმში, ურეხის დასახლებაში, ხ-ის ქუჩა №7-ში) შეფასებულია, როგორც ბიზნეს სანარმოები შემოსავლების მეთოდით და

კომპლექსურად ისინი შეფასებული იქნა 35 326 604 აშშ დოლარად. ექსპერტების მიერ სასამართლო სხდომაზე ვერ იქნა განმარტებული მითითებული ორი ნავთობის ბაზის ერთობლივად შეფასების კრიტერიუმი – რატომ იქნა ქ. თბილისში და ქ. ბათუმში მდებარე ორი სხვადასხვა ობიექტი შეფასებული ერთობლივად, შესაბამისად, გაურკვეველია შპს „ე-ის“ მოსაზრება ნავთობის ბაზების ინდივიდუალურ ღირებულებაზე. შპს „ე-ის“ ექსპერტ ა. ს-ის განმარტებით, ნავთობის ბაზების შეფასებისას შემოსავლების მეთოდი გამოყენებულ იქნა იმ მიზეზით, რომ ნავთობის ბაზა წარმოადგენს სპეციალიზირებულ ქონებას და შემოსავლების მაგენერირებელ ობიექტს. ნავთობის ბაზა იმიტომ არის სპეციალიზირებული ობიექტი, რომ ის იშვიათად არის გამოტანილი ბაზარზე, რაც სწორად იქნა მიჩნეული ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან დაუსაბუთებელ მსჯელობად, რადგანაც გარდა სპეციალიზირებული ქონებისა, ვინაიდან შესაძლებელია ბაზარზე იშვიათად იქნეს გამოტანილი სხვადასხვა ნივთი, არ შეიძლება ყოველ ასეთს დაერქვას სპეციალიზირებული. გარდა ამისა, უდავოა, რომ შპს „ე-ს“ არ გამოუკვლევია, არსებობდა თუ არა ამ ბაზებთან დაკავშირებული გრძელვადიანი კონტრაქტები და ახალი მესაკუთრის მიერ მოხდა თუ არა ამ ხელშეკრულებებში ჩანაცვლება. არ არის გამოკვლეული ისიც, თუ რა ღირებულება ექნებოდა ამ ქონებას მყიდველისთვის, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი ფულადი სახსრები, რათა მოეხდინა ასეთივე ბაზის მშენებლობა. ამ მსჯელობის საპირისპიროდ, მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი „ფ-ის“ დასკვნით დგინდება, რომ ნავთობის ბაზები შეფასდა ხარჯების მეთოდით, ქ. თბილისში მდებარე ნავთობის ბაზის ფასი განისაზღვრა 953 181 აშშ დოლარით, ხოლო ურეხის ბაზა შეფასდა 1 911 097 აშშ დოლარად. ექსპერტის მ. ჰ-ის განმარტებით, ბაზების შეფასება ხარჯების მეთოდით მოხდა იმ მიზეზით, რომ მას გააჩნდა ინსტრუქცია შეფასებინა აქტივი და ამასთან ერთად მყიდველს არ გადასცემია არსებული კონტრაქტები და იქ მომუშავე პერსონალი. ასეთ შემთხვევაში მყიდველი არ გადაიხდის იმაზე უფრო მეტს, ვიდრე თავად დაეხარჯება მის აშენებაში (ნავთობის ბაზებთან ერთად მყიდველისათვის უკვე არსებული გრძელვადიანი კონტრაქტების გადაცემა, რაც დაადასტურებდა თავად ბიზნესის გასხვისების ფაქტს, საქმის მასალებითაც არ დგინდება) ან თანხას გადაიხდიდა სხვა აქტივში, რომელსაც შეუძლია, ჩაანაცვლოს ის. ამ მოსაზრებასთან თანხვედრაშია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის განმარტებები. დანახარჯების მეთოდით, ნავთობის ბაზების შეფასებისას მათი ფასი ერთობლივად განსაზღვრულ იქნა 2 944 278 აშშ დოლარად, შპს „ე-ის“ ექსპერტების

მიერ კი ვერ იქნა დასაბუთებული, თუ რატომ უნდა გადაიხადოს კომპანიამ, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობ-პროდუქტებით ვაჭრობა და შეუძლია კონკურენციის განწვევა სხვებისათვის, ორ ბაზაში 35 000 000 აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც თავადაც შეუძლია, ააშენოს იგივე 3 000 000 აშშ დოლარად. შპს „ე-ის“ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებები არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, რომ მყიდველისათვის ნავთობის ბაზებიდან მყისიერად მიღებული მოგება იმდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ მათი მშენებლობისათვის საჭირო დროში მიღებული შემოსავლის დანაკლისის გათვალისწინებით ის გადაიხდიდა 35 000 000 აშშ დოლარს. საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 13 ივნისის ხელშეკრულებით შპს „ბ-მა“ ქ. ბათუმში, სოფელ ურეხში არსებული ნავთობის ბაზა შეიძინა 1 642 488 ლარად, საიდანაც მოძრავი ნივთების ფასმა შეადგინა 292 705 ლარი, ხოლო უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 1 394 783 ლარით, ხელშეკრულებაში მითითებული ფასი კი, არსებითად განსხვავდება შპს „ე-ის“ შეფასებისაგან, მოსარჩელებს კი არ განუმარტავთ, თუ რას შეიძლება გამოენვია ფასის ასეთი მნიშვნელოვანი მატება და არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომლებიც სასამართლოს მისცემდა იმის შეფასების შესაძლებლობას, თუ რამ გამოიწვია 3 წლის შემდეგ ქონების საბაზრო ფასის არსებითი მატება. გარდა ამისა, მართალია შპს „ე-ს“ ურეხის ნავთობის ბაზა ინდივიდუალურად არ შეუფასებია, თუმცა, ექსპერტებს არ განუმარტავთ, რომ განსზღვრული ფასიდან – 35 326 604 აშშ დოლარიდან, დიდი წილი წარმოადგენს ქ. თბილისში, მდებარე ბაზის ფასს. რაც შეეხება გასხვისების დროს არამუშა მდგომარეობაში მყოფ ავტოგასამართ სადგურებს, შპს „ე-მა“ ერთ-ერთი მათგანი (ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩაზე მდებარე) შეაფასა 1 478 887 აშშ დოლარად, ხელშეკრულების შესაბამისად კი, მასში გადახდილია 350 000 აშშ დოლარი. ექსპერტებმა მიუთითეს, რომ საბაზრო ფასის დადგენისას გამოიყენეს დაშვებები და ინფორმაცია მიიღეს სხვადასხვა ინკოგნიტო წყაროებიდან, ამასთან ერთად, არ იკვეთება, რომ გათვალისწინებულია ის ხარჯები, რაც საჭირო იქნებოდა ამ სადგურის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად. იგივე შეეხება იმ სადგურებს, რომლებზეც არ არსებობდა მონაცემები მათი შემოსავლების შესახებ. გ. გ-ის განმარტებით (რომელიც ხელს არ აწერს შპს „ე-ის“ დასკვნას, თუმცა, მასზე ხელმომწერი პირების განმარტებით, შეფასებები შესრულებულია სწორედ გ. გ-ის მიერ), გასხვისების დროს რამდენიმე ავტოგასამართი სადგური არ იყო მუშა მდგომარეობაში, ზოგიერთი იყო ახალი აშენებული, ზოგიერთს სჭირდებოდა რებრენდინგი, თუმცა, მან ვერ მიუთითა ის სადგურები, რომლებზეც მას არ გააჩნდა ინფორმაცია გაყიდვების შესა-

ხებ, მაგრამ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში ფასის გამოთვლა მოახდინა ე.წ „დაშვების“ პრინციპით, ანუ სავარაუდო გაყიდვებით და ამ შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო კომპეტენტური პირებისაგან, რომელთა ვინაობებსაც ვერ მიუთითებს კონფიდენციალურობის გამო. ეს პირები კი არიან სხვა მსგავს ორგანიზაციებში მომუშავე თანამშრომლები. გ. გ-ემ დაადასტურა ის გარემოებაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ავტოგასამართი სადგურის რეალური შემოსავალი განხორციელებული დაშვების ნახევარი იქნება, ეს მნიშვნელოვნად შეცვლის ქონების საბაზრო ფასს. შპს „ფ-ის“ დასკვნის შედგენისას, როგორც აღინიშნა, შეფასებისას გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი: შემოსავლების მეთოდი და ხარჯების მეთოდი. შემოსავლების მეთოდის შესაბამისად, შეფასდა 21 სადგური და ინვესტიციების კუთვნილი 10 სადგური, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ შემოსავლების მაგენერირებელ აქტივებს, ხოლო ხარჯების მეთოდით შეფასდა ის სადგურები, რომლებიც იყო არარენტაბელური, ვინაიდან ექსპერტმა მიიჩნია, რომ მიმდინარე დაბალი შემოსავლები არ უზრუნველყოფდა დადებით ფულად ნაკადებს მომავალში, ასევე, დაზიანებული და არაფუნქციონირებადი სადგურები, ვინაიდან არ არსებობდა ინფორმაცია გასულ პერიოდში მათი ფუნქციონირების შესახებ, ასევე, სადგურები, რომლებმაც ფუნქციონირება დაიწყეს შეფასების დღის შემდეგ და ასევე ნავთობაზებთან ერთად შექმნილი 2 სადგური, ვინაიდან შექმნის საგანი თავად ნავთობაზები იყო. საბაზრო მეთოდი გამოყენებული იქნა ავტომანქანების შეფასებისას. შპს „ფ-ის“ დასკვნის შესაბამისად 28 სადგურის საბაზრო ღირებულებამ ერთობლივად შეადგინა 9 191 505 აშშ დოლარი, ხელშეკრულების შესაბამისად კი, გადახდილია 11 432 635 აშშ დოლარი. სხვადასხვა შპს-ში შექმნილი ნიღბების საერთო ღირებულება განისაზღვრა 5 046 931 აშშ დოლარით, მყიდველის მიერ კი გადახდილია 2 700 000 აშშ დოლარი. ორი ნავთობის ბაზის საერთო ღირებულება 2 864 278 აშშ დოლარია, ხოლო მათში გადახდილია 7 400 000 აშშ დოლარი. 16 მიწის ნაკვეთის საერთო ღირებულება განისაზღვრა 549 552 აშშ დოლარით, ხოლო მათში გადახდილია 510 000 აშშ დოლარი. 16 ავტომობილის ღირებულება განისაზღვრა 185 444 აშშ დოლარით, ხოლო გადახდილია 150 000 აშშ დოლარი, რკინიგზის მონაკვეთი შეფასდა 19 232 აშშ დოლარად, მასში გადახდილია 20 000 აშშ დოლარი. სულ გასხვისებული ქონება შეფასდა 17 856 942 აშშ დოლარად, ხოლო ხელშეკრულებების შესაბამისად მათში გადახდილია 22 212 635 აშშ დოლარი. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2016 წლის 17 მარტის ექსპერტიზის დასკვნით გასხვისებული ქონება შეფასდა 22 076 322 აშშ დოლარად, ხოლო 2016 წლის

29 თებერვლის დასკვნის შესაბამისად, რომელიც ჩატარებული იქნა საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით და მის მიერ მიწოდებული მასალებით, ქონების ღირებულება შეფასდა 22 200 000 აშშ დოლარად. მოცემულ შემთხვევაშიც, ნავთობის ბაზები შეფასდა დანახარჯების მეთოდით, ასევე, შეფასდა ის აგს-ები, რომლებზეც ექსპერტს არ გააჩნდა ინფორმაცია შემოსავლების შესახებ. ასეთი სადგურებიდან ერთ-ერთია ზემოთ ნახსენები, ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგური. ექსპერტს ის შეფასებული აქვს 221 439 აშშ დოლარად, მაშინ, როდესაც შპს „ე-ი“ მითითებულ ქონებას აფასებს 1 478 887 აშშ დოლარად და ამასთან, ვერ უთითებს ინფორმაციას იმ დაშვებების შესახებ, რომლებიც გამოიყენა. არსებითი განსხვავებაა მოსარჩელების მიერ წარდგენილ შპს „ე-ის“ დასკვნასა და მოსარჩელების მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე პროკურატურის დაკვეთით მომზადებულ დასკვნას შორის, კერძოდ: შპს „ე-ის“ ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, გარდა ქ. ქუთაისში, ნ-ას ქუჩაზე არსებული სადგურისა, ფასთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობა, იაფად გაყიდვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია რამდენიმე ბენზინგასამართ სადგურთან დაკავშირებით. მაგალითად: ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩაზე მდებარე აგს, შპს „ე-მა“ შეაფასა 1 160 279 აშშ დოლარად, ხოლო გაიყიდა 350 000 აშშ დოლარად. როგორც შპს „ე-მა“, ისე, სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ და შპს „ფ-მა“ ეს ნივთი შეაფასა შემოსავლების მეთოდით, გაყიდული სანვავის მოცულობებიდან გამომდინარე. შპს „ე-ი“ აღნიშნავს, რომ გაყიდული სანვავის მოცულობაა 2 880 000 ლიტრი, ხოლო, სასამართლო ექსპერტიზის ბიურო კი მიუთითებს 879 364 ლიტრს, რაც არსებითი სხვაობაა და ბადებს ეჭვს, რომ ექსპერტებს გააჩნდათ სხვადასხვა და შესაძლო არასწორი მონაცემები გაყიდვის მოცულობებთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც ორივე ექსპერტიზას უნდა ეხელმძღვანელა მოსარჩელების მიერ მიწოდებული ინფორმაციით. შპს „ე-ისა“ და ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები გაყიდული სანვავის მოცულობებთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქ თელავში, დ-ის ქუჩაზე მდებარე აგს-თან მიმართებით, ასევე, ლაგოდეხში მდებარე აგს-თან, ქ. ფოთში, ლ-ას ქუჩაზე მდებარე აგს-თან და შესაბამისად, ეს განსხვავებები იძლევა მნიშვნელოვან ცდომილებას ექსპერტიზის დასკვნებს შორის. ქ. თბილისში, ნ-ის შესახვევში მდებარე აგს-ის შეფასებისას, შპს „ე-ის“ მიერ გაყიდული სანვავის მოცულობად მითითებულია 3 600 000 ლიტრი, მაშინ, როდესაც არც სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს და არც შპს „ფ-ს“ ეს მონაცემები არ გააჩნდათ, ან არსებობდა დაბალი მაჩვენებელი.

ნებელი და იქმნება შთაბეჭდილება, რომ შპს „ე-ის“ მიერ გამოყენებული სავარაუდო „დაშვებები“, რაც დასკვნას არადაამაჯერებელს ხდის. მოცემული ქონება შპს „ე-მა“ შეაფასა 1 450 789 აშშ დოლარად, ხოლო გაიყიდა 400 000 აშშ დოლარად, ფასთა შორის სხვაობა კი მნიშვნელოვანია და აჭარბებს 1 000 000 აშშ დოლარს. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ და შპს „ფ-ს“ ასევე არ გააჩნდათ მონაცემები ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებული აგს-ის გაყიდვებთან დაკავშირებით, ხოლო შპს „ე-ი“ გაყიდულ მოცულობად მიუთითებს 2 040 000 ლიტრს. სანჯავის გაყიდვის მოცულობებთან დაკავშირებით შპს „ფ-ის“ მიერ შედგენილი მგრძობელობის ანგარიშიდან (შემოსავლის მეთოდის ფარგლებში) ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიცვლებოდა შესაფასებელი ქონების ღირებულება, მაგალითად, ნავთობროდუქტის გაყიდვის მოცულებების შეცვლის შემთხვევაში, 50 460 747 ლიტრის გაყიდვისას საერთო საბაზრო ღირებულება იქნებოდა 28 992 191 აშშ დოლარი, ხოლო 46 460 747 ლიტრის გაყიდვისას – 26 765 149 აშშ დოლარი, ამდენად, იმ სადგურებზე, რომლებზეც არ არსებობდა ინფორმაცია ნავთობპროდუქტების რეალიზაციის შესახებ, ასევე არასწორია მონაცემები და სავარაუდოდ გაკეთებული დაშვებები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა მათ შეფასებაზე, რაც ასევე დაადასტურეს შპს „ე-ის“ ექსპერტებმაც.

1.3.9. მითითებული მსჯელობის საპირისპიროდ, თუკი საკასაციო სასამართლო გაიზიარებს კიდევაც შპს „ე-ის“ კვლევას და მიიჩნევს, რომ სადავო გარიგებები ფასთა მნიშვნელოვანი დისპროპორციითაა დადებული, სამოქალაქო კოდექსის 55.1 მუხლის კონტექსტში მაინც ვერ მივიდოდა პალატა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა სამართლებრივი ძალის არმქონე გარიგება და მოსარჩელებს ქონებაზე საკუთრება არ დაუკარგავთ, რადგანაც ნორმის მეორე, კუმულაციური ელემენტი – შემძენის მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ან გამსხვიების გულუბრყვილობა და/ან უმწეო მდგომარეობა არ არის ახსნილი სარჩელით, ისევე, როგორც მოსარჩელე ვერ ამტკიცებს იმ კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა კვლევა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიზნებისათვის მიჩნეული იქნება კონტრაჰენტის გასაკიცხ ქმედებად (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.3.4.; 1.3.7. პუნქტები), აქვე უნდა განიმარტოს, რომ მაგალითად საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ჰქონდა თუ არა ადგილი, შეფასების საგანია და სასამართლომ ეს დასკვნა უნდა გააკეთოს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებსაც მიუთითებს და დაამტკიცებს მოსარჩელე.

1.3.10. რაც შეეხება გარიგების იძულებით დადების ფაქტს, სა-

მოქალაქე კოდექსის 85-ე-87-ე მუხლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, საცილო გარიგების ნაირსახეობას არეგულირებენ და ამავე კოდექსის 55.1 მუხლისაგან განსხვავებულ მტკიცების საგანს ადგენენ, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა იძულების მარეგულირებელი მუხლების წინაპირობები. სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით (გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან), საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების აშკარა მოდრეკას. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორებმა განმარტეს, რომ იძულება მომდინარეობდა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნის – დ. კ-ის მხრიდან, მხარეები ცდილობდნენ დაედასტურებინათ მუქარის რეალური სურათი, თუმცა, მსგავსად ზემოხსენებულისა, სასამართლო ამ საკითხს კვლავ სარჩელის ფარგლებში შეამოწმებს. რასაკვირველია, პალატა სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იძულების, მით უფრო ყოფილი ან მოქმედი მაღალჩინოსნების მხრიდან მომდინარე იძულების შემთხვევაში, რთულია პირდაპირი მტკიცებულების წარდგენა და ასეთ შემთხვევაში, გარემოებათა ერთობლიობა უნდა ბადებდეს სასამართლოსათვის გონივრულ ეჭვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა, ამასთანავე, კონტრაჰენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ განხორციელდა იძულება კონკრეტულად უნდა გადმოსცემდეს ფაქტებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი მისი ან მისი ახლობლის მიმართ, რატომ იყო ეს ქმედება რეალური ხასიათის და სხვა. ამ მხრივ ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარეს ნებაზე ზემოქმედების, ასევე, გარიგების შემდგომ განვითარებული ფაქტების თაობაზე კვალიფიციური შედავება არ წარუდგენია სარჩელის წინააღმდეგ და სარჩელში მითითებული ფაქტების არსებობა პრეზუმირებულია, რადგანაც, ვიდრე მოპასუხის სტადიას შეამომებდეს სასამართლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, სარჩელის ფორმალური გამართულობა ექვემდებარება შეფასებას, თუკი სარჩელი ფორმალურად გაუმართავია, ის თავშივე უსაფუძვლოდ მიიჩნევა და სასამართლოს მხრიდან უარყოფას ექვემდებარება, გარ-

და იმ შემთხვევისა, როდესაც მოპასუხე თავად ეხმარება მოსარჩელეს ფაქტების ფორმულირებაში (მითითებაში). სარჩელის გაცნობის, ასევე, სასამართლო სხდომაზე მოსმენილი პოზიციების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს იმას, რომ გარიგების დადების დროისათვის დ. კ-ი აღარ წარმოადგენდა თანამდებობის მოქმედ პირს, შესაბამისად, სარჩელში არ არის ახსნილი, თუ რა ბერკეტები გააჩნდა ყოფილ თანამდებობის პირს, თუნდაც განხორციელებული მუქარის რეალურად აღსასრულებლად, რამდენად შეეძლო მას, როგორც იძულების განმხორციელებელს კომპანიის დირექტორთა დაპატიმრება და ბიზნესის წართმევა, უფრო მეტიც, თუნდაც გავიზიაროთ მოსარჩელეთა განმარტებები, რომ იძულების წყაროს ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირი წარმოადგენდა, ამასთან, უდავოდ მივიჩნით ის გარემოებაც, რომ გარიგების დადების შემდგომ თანხის (ნასყიდობის ფასის) უკან დაბრუნების მიზნით განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები (დირექტორთა დაპატიმრება, გირაოს თანხის გადახდა, აუქციონზე ქონების შეძენა და სხვა), ამ მოვლენათა ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იძულების წყარო ყოფილა არა ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირი, არამედ, სახელმწიფო, რომელიც სწორედ დ. კ-ის ხელით ახორციელებდა ზენოლას და აღასრულებდა კიდევაც მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოვლად შეუძლებელია, ყოფილი თანამდებობის პირმა, რომელსაც თავდაცვის მინისტრის პოზიცია ეკავა, უშუალოდ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და პირის დაპატიმრება. მოსარჩელე მხარემ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოთქმულ საპაექრო სიტყვაში შესთავაზა სასამართლოს დ. კ-ის განუზომელი ძალაუფლების ფაქტის დადგენა და იმის გამორკვევა, რომ „იმდროინდელი სახელმწიფო რეჟიმი“ ართმევდა ხალხს ქონებას.

1.3.11. გარდა ზემოხსენებულისა, ფაქტების ურთიერთკავშირის დადასტურების მიზნით, მნიშვნელოვანია თუნდაც ირიბი მტკიცებულებების არსებობა, რომელთა ლოგიკური ბმა, როგორც უკვე ითქვა, სასამართლოსათვის სავარაუდოს გახდიდა კონტრაპენტის ნებაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტს. ამ მხრივ, ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა მოწმე მ. მ-ის ჩვენება, რომელიც სხვა მტკიცებულებით არ არის გამყარებული, ამასთანავე, კასატორთა მხრიდან არ არის განხორციელებული კვალიფიციური შედაგება გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი იმგვარი გარემოებების მიმართ, რომლებითაც გამოირიცხა სარწმუნოების კუთხით ამ მოწმის ჩვენების უპირობოდ გაზიარების შესაძლებლობა (დაკითხვის დროს მოწმემ გამოხატა საკუთარი პოზიცია: მოწინააღ-

მდეგე მხარეს განუხცხადა, რომ მათ სასარგებლოდ არაფერს იტყოდა; მ. მ-ის მამას ჰქონდა 2%-აინი წილი შპს „ბ-ში“ და თავად მ. მ-ი მოსარჩელე კომპანიების დირექტორებთან ერთად შპს „ს-ის“ დამფუძნებელია). ევროსასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. the Lüdi v. Switzerland, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და the Schuler-Zgraggen v. Switzerland გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ დ. კ-ი მოცემული დავის მხარეს არ წარმოადგენს, მისი განმარტებების მოსმენის გარეშე, რთულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ელემენტების დადგენა, უფრო მეტიც, საქმის მასალებით დგინდება, რომ დ. კ-ის შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების თაობაზე დაწყებულია გამოძიება და ამ დრომდე საკითხი გადაწყვეტილი არ არის, სამოქალაქო საქმის განხილვისას კი, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატი-სათვის მეტად რთული იქნება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა (აღამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით). აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუკი კანონით დადგენილი წესით დადგინდება დ. კ-ის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, არ არის გამორიცხული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, მხარემ მონიშნოს წინამდებარე საქმის წარმოების განახლება. საკასაციო სასამართლო მიუბრუნდება გარიგებათა დადების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნავს, რომ იძულების შემადგენელი ქმედების ელემენტებად ამ გარემოებათა მიჩნევისათვის არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები: იმ ვითარებაში, როდესაც, როგორც უკვე ითქვა, მხარე ვერ ხსნის რა ბერკეტები გააჩნდა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებზე დ. კ-ს, ლოგიკური ბმა არ ხდება, თუნდაც, გარიგება-

თა დადების შედეგად პირის მხრიდან დასახული მართლსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევის შემდგომ, რატომ იყო დაინტერესებული დ. კ-ი სახელმწიფო ბიუჯეტში ნასყიდობის თანხის ამა თუ იმ ფორმით დაბრუნებით და დევნის შეწყვეტის შემდგომ რა ბედი ეწია მოსარჩელეთა მიერ გადახდილ თანხას, გარდა ამისა, საქმეში არ მოიპოვება მასალები, რომლებიც დაადასტურებდა სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი მსჯავრდების გამო პირთათვის ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ამ მხრივ კი, ვერ იქნება გაზიარებული და უტყუარად მიჩნეული საკასაციო საჩივარში მითითებული ინტერნეტგვერდებზე მოცემული მასალები (<http://ick.ge/articles/16628-i.html>; <http://netgazeti.ge/business/38166/>; <https://go.boell.org/ka/2017/05/05/sakartvelo-saxelmwifobazarSi-neoliberaliznidan-martul-kapitaizmamde>; დეტექტორი – ჟურნალისტური გამოძიება (მე-9 არხი, 18/11/2012) – playithub.net). ამ პუბლიკაციათაგან ირკვევა, რომ ინტერნეტსაიტზე განთავსებული მასალის ძირითადი ნაწილი სწორედ კომპანიების დირექტორთა განცხადებებია, ამასთანავე, ქვეყანაში აღიარებული სიტყვის თავისუფლების ფარგლებში ბეჭდვით თუ ელექტრონულ მედიაში გავრცელებული განცხადებები, რომლებიც დაწამაშალებრივ ქმედებას აღწერენ, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პირდაპირი მტკიცებულების არარსებობის პირობებში არ შეიძლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტებად იქნას მიჩნეული (მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს).

1.3.12. სარჩელი დაუსაბუთებელია ასევე შეცილების განხორციელების თვალსაზრისით, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს მხარიდან სავალდებულო შემომნებას დაქვემდებარებული საკითხია და სამართლის თეორიაში ე.წ სასამართლო შესაგებლის სახელითაა ცნობილი. მოსარჩელე მხარე ვერ უთითებს, კონკრეტულად როდის შეწყდა მათი/მათი ოჯახის წევრების მიმართ იძულება და დაცულია თუ არა შეცილების ვადა. უნდა განიმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით გათვალისწინებული შეცილება, როგორც ცალმხრივი ნება, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. სამართლის თეორიაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დადებიდან ერთ წელზე მეტია გასული და შემცილებელი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ იძულება გარიგების დადების შემდე-

გაც გრძელდებოდა, ოღონდ არა თავდაპირველი, არამედ მოდიფიცირებული ფორმით, მაშინ ამ მოდიფიცირებული მუქარის მტკიცების ტვირთი ისევე შემცირებულზე გადადის (www.gccc.ge). მოცემულ შემთხვევაში, რომც გაიზიაროს სასამართლომ ის განმარტება, რომ იძულება მოსარჩელების მიმართ 2012 წლის 1 ოქტომბერს, არჩევნების ჩატარების შემდგომ შეწყდა, იგი არ ხსნის, როდის შეეცილა გარიგების მხარეს, ამ მხრივ სარჩელი ასევე არასაკმარისადაა დასაბუთებული.

1.3.13. საბოლოოდ, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელებმა ვერ დაამტკიცეს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევის ფაქტი, რაც მათ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან (სკ-ის 992-ე, 408.1 მუხლები) ან სანივთო სამართლით (სკ-ის 170-ე, 172.1 მუხლები) განსაზღვრულ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას წარმოუშობდა (პრაქტიკის თვალსაზრისით დამატებით იხ. სუსგ №ას-28-25-2017, 28 თებერვალი, 2018 წელი), ამასთანავე, ვინაიდან არ დგინდება ქონების მართლსაწინააღმდეგო განკარგვა, სასამართლო, ბუნებრივია, აღარ მსჯელობს სარჩელის მეორად მოთხოვნაზე, რომელიც მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებას შეეხება (სკ-ის 411-ე მუხლი).

1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ვინაიდან საქმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დაშვებულ მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევას დავის არასწორად გადანყვეტა არ მოჰყოლია შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო პალატა არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. კასატორთა მონინააღმდეგე მხარეებმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს საკასაციო სასამართლოში განეული იურიდიული მომსახურების ხარჯის წაგებული მხარისათვის დაკისრება და წარმოადგინეს ამ ხარჯების განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად (იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადწვევები, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა), პალატა შუამდგომლობას საფუძვლიანად მიიჩნევს და თვლის, რომ დავის საგნის ღირებულების, ასევე, განეული ხარჯისა და პროცესის სირთულის გათვალისწინებით იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, შპს „ბ-სა“ და შპს „ს-ს“, შპს „ს-ასა“ და შპს „ჯ-ზის“ სასარგებლოდ, დაეკისროთ იურიდიული მომსახურების ხარჯის – 4 214,96 ლარის ანაზღაურება.

2.3. რაც შეეხება კასატორის მიერ გადახდილ ბაჟს, ვინაიდან დავა მის სასარგებლოდ არ დასრულებულა, არ არსებობს ამ თანხის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობა, არამედ, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, ეს თანხა უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ-ისა“ და შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. შპს „ს-ასა“ და შპს „ჯ-ზის“ შუამდგომლობა პროცესის ხარჯების დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

4. შპს „ბ-სა“ (ს/კ №2...) და შპს „ს-ს“ (ს/კ №2...) შპს „ს-ასა“ (ს/კ №4 ...) და შპს „ჯ-ზის“ (ს/კ №4...) სასარგებლოდ დაეკისროთ იურიდიული მომსახურების ხარჯის – 4 214,96 ლარის ანაზღაურება.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სანდაზგაშობა

სახელმწიფო მოთხოვნათა სანდაზგაშობის ვადა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-579-554-2016

28 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, თეთრინყაროს საქალაქო საბჭოს სახალხო დეპუტატთა აღმასკომის სხდომის 1989 წლის 24 ნოემბრის №141 გადაწყვეტილებით, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ა. ს-ის ძე ვ-ს (შემდეგში: მამკვიდრებელი, გამყიდველი ან მარნმუნებელი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, სახელმწიფო ფონდიდან გამოუყო 600 კვმ მიწის ნაკვეთი, თეთრინყაროს რაიონში, ყ-ის ქ. №19, როგორც მეზოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის მძღოლს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახასიათების თანახმად, გამყიდველისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფუნქცია და ფაქტიური ფართობი გაურკვეველია, სააღრიცხვო ბარათში გეგმა არ ინახება, შენობა-ნაგებობა აღრიცხული არ არის, ნაკვეთის ფართობის დოკუმენტებით 600 კვმ (№1 ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, 18.05.1985წ, ნოტარიუსი მ-ი) მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლედ მითითებულია გამყიდველი (იხ. ცნობა-დახასიათება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 02.04.2014წ. №70812 წერილი).

2. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 ნოემბრის №2/58-2013 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. ვ-ის განცხადება და ა. ს-ის ძე ვ-ი, დაბ. 22.03.1958წ., გამოცხადდა გარდაცვლილად. გარდაცვალების მონმობის თანახმად, მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2014 წლის 9 იანვარს.

3. სამკვიდრო მონმობის საფუძველზე 2014 წლის 16 ივლისს ვ.

ვ-ამ (შემდეგში: მოპასუხე, მემკვიდრე, აპელანტი ან კასატორი), როგორც მამკვიდრებლის კანონისმიერმა მემკვიდრემ – მეუღლემ, სსკ-ით დადგენილი წესით, ფაქტობრივი ფლობით მიიღო საკუთრების უფლება სამკვიდრო ქონებაზე. სამკვიდროს წარმოადგენს ქ. თეთრწყაროში, ყ-ის ქ. № 19-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, ფაქტიური ფართობით – 600 კვმ და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, პასივები, აქტივები, მოთხოვნის უფლება და სხვა უფლებები, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა მესამე პირებთან ურთიერთობაში (იხ. სამკვიდრო მონმობა).

4. საჯარო რეესტრის 2014 წლის 22 ივლისის ამონაწერით დასტურდება, რომ თეთრწყაროში, ყ-ის ქ. № 19-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – 540 კვმ და შენობა-ნაგებობა №1 (მშენებარე), საკუთრების უფლებით, რეგისტრირებულია ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში მითითებული მემკვიდრის საკუთრებად (ს.კ. ...). დასახელებული უძრავი ქონება აუდიტორული ფირმის 08.07.2014წ. დასკვნის თანახმად, შეფასებულია 5600 (ხუთი ათას ექვსასი) აშშ დოლარად (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, აუდიტორული დასკვნები).

5. ან გარდაცვლილმა მამკვიდრებელმა, თავის სიცოცხლეში, 1993 წლის 16 იანვარს გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე (რეესტრი №...), თ. ა-ის ასულ მ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, მყიდველი ან რწმუნებული) 2 წლით, მიანიჭა სრული უფლება, მართოს და განაგოს მთელი მისი ქონება, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს და სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი, ამის შესაბამისად, დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება, კერძოდ: შეისყიდოს, გაასხვისოს, გააჩუქოს, მიიღოს საჩუქრად, გაცვალოს, დააგირავოს და მიიღოს გირაოდ შენობა და სხვა ქონება; ყველა ამ შემთხვევაში განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულებით, აწარმოოს ანგარიშები ყველა დადებულ გარიგებაზე, მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი განაცხადოს მასზე, მიიღოს მარწმუნებლისადმი კუთვნილი ქონება, ფული, ფასიანი ქაღალდები და აგრეთვე დოკუმენტები ყველა პირისაგან... აწარმოოს მარწმუნებლის სახელით საქმეები ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, კორპორაციულ და საზოგადო ორგანიზაციაში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ყველა სასამართლო დაწესებულებაში ყველა იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს, დაზარალებულს, მათ შორის უფლებით, დაასრულოს საქმე მორიგებით, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარგებლო მოთხოვნები ქონების და ფულის მიღებაზე შეიტანოს ყოველგვარი განცხადებები და მოაწეროს ხელი მარ-

ნმუნებლის მაგიერ (იხ. მინდობილობა).

6. სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 06.08.2014წ. №16/5133 წერილის თანახმად, ნოტარიუსთა პალატაში ნოტარიუს რ. ნ-ის მიერ 1993 წელს ნაწარმოებ სანოტარო აქტებში არ ინახება ამ ნოტარიუსის მიერ მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის გაფორმებული მინდობილობა (რეესტრი №...), რომელიც მე-5 პუნქტშია მითითებული.

7. საქმის მასალებში განთავსებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდეგში: სტატისტიკის სამსახური) 18.11.2014წ. წერილი, რომლის თანახმად მანეთის, კუპონის და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით, 16.01.1993 წლის 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) რუსული რუბლი, 01.11.2014 წლის მდგომარეობით, შეადგენს 4 355, 35 (ოთხი ათას სამას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს.

8. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში: ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) 12.02.2015წ. დასკვნის თანახმად, საქმეში განთავსებული 16.01.1993 წლით დათარიღებული ხელწერილის კვლევის შედეგად, დადგენილია, რომ ამ გადანყვეტილების მე-5 პუნქტში მითითებულ მინდობილობაზე და აღნიშნულ ხელწერილზე ხელმოწერა შესრულებულია ერთი და იგივე პირის მიერ, ხოლო დასკვნის გაცემა საკითხზე, რუსულენოვანი ხელმოწერები, მამკვიდრებლის სახელით, განლაგებული სსრკ სიმბოლიკიანი პასორტის მიღების მიზნით რუსულენოვან განცხადება-ანკეტაზე (ფორმა №1) 16.04.1992 წ. თარიღით და ქორწინების ჩანაწერის №6 აქტზე, 10.02.1981 წ. თარიღით, რიგით მე-13 გრაფაში „მექორწინეთა ხელის მოწერა (გვარი ქორწინებამდე)“ და დასკვნის პირველ პუნქტში აღწერილი ქართულ ენაზე შესრულებული ხელმოწერები შესრულებულია თუ არა ერთი და იგივე პირის მიერ, შეუძლებელია შეუსაბამობის გამო (დასკვნის პირველ პუნქტში აღწერილი ხელმოწერები შესრულებულია ქართულ ენაზე, ხოლო მეორე პუნქტში – რუსულ ენაზე და არ შეიცავენ შესაძარებლად ერთნაირ წერით ნიშნებს საიდენტიფიკაციოდ).

9. საქმეში განთავსებული 16.01.1993 წლით დათარიღებული ხელწერილის საფუძველზე, დადგენილია, რომ ამ გადანყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებულმა მამკვიდრებელმა რწმუნებულს (იხ. მე-5 პუნქტი) მიჰყიდა თეთრინყაროს რაიონში, ყ-ის ქ. № 19-ში აშენებული პირველი სართულის კედლები, რაშიც რწმუნებულმა მარწმუნებელს გადაუხადა 150 000 რუსული რუბლი; ხელწერილს, მარწმუნებელსა და რწმუნებულთან ერთად, ხელს აწერენ ჯ. შ-ი და ლ. ა-ი.

10. სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები

10.1. მყიდველმა 2014 წლის 22 ივლისს სარჩელი (იხ. სარჩელი თანდართული დოკუმენტაციით) აღძრა გამყიდველის მემკვიდრის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 9 906 (ცხრა ათას ცხრაას ექვსი) ლარის დაკისრება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით:

10.1.1. მარნმუნებელმა თავისი სიძის – ჯ. შ-ის დახმარებით, 16.01.1993 წელს შეიძინა ამ გადანყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებული უძრავი ქონება მამკვიდრებლისაგან, რაც იმავე დღეს ხელწერილით გაფორმდა და გამყიდველს მყიდველმა გადაუხადა ქონების მაშინდელი საბაზრო ღირებულება 150 000 რუსული რუბლი. იმავე დღეს, გამყიდველმა მყიდველს მისცა მინდობილობა (იხ. მე-5 პუნქტი), რომლის საფუძველზე ამ უკანასკნელს შეეძლო მოენესრიგებინა უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, ქონების საბოლოო რეგისტრაცია მყიდველის საკუთრებად;

10.1.2. უძრავი ქონების შეძენისთანავე, მყიდველი ქონებას დაეუფლა თავისი სიძესთან – ჯ. შ-თან ერთად და დღემდე ფლობს და სარგებლობს მისით. მყიდველს არასდროს ჰქონია იმის შიში, რომ შეძენილი უძრავი ქონება სადავო გახდებოდა. 1993 წლის მარტში ქონების გამყიდველი სამუშაოდ წავიდა ბიძასთან და აღარ დაბრუნებულა. ქონების გაფორმებასთან დაკავშირებით, მინდობილობით განსაზღვრულ ორწლიან ვადაში, მყიდველმა ვერ შეძლო ქონების გადაფორმება საკუთრებად, ამიტომ გამყიდველის ჩამოსვლამდე, ვერ გააგრძელებდა საბუთების მომზადებას, თუმცა, მარნმუნებლის ოჯახის წევრებს აღნიშნული არ გაუხდიათ სადავოდ;

10.1.3. ქონების მყიდველს გამყიდველის ოჯახის წევრებთან – მეუღლესთან და შვილებთან – სისტემატური კავშირი ჰქონდა, რომლებიც მისი დაბრუნების მოლოდინში იყვნენ. უშედეგო ლოდინის შემდეგ, გადაწყდა, რომ გამყიდველი სასამართლო გადანყვეტილებით გამოცხადებულიყო გარდაცვლილად, ხოლო მისი მემკვიდრეები თავის სახელზე მიიღებდნენ მემკვიდრეობას და შემდეგ მოხდებოდა ქონების მყიდველზე გადაფორმება;

10.1.4. გამყიდველის ოჯახის წევრები ვერ იღებდნენ მამკვიდრებლის გარდაცვალების მონიშნებას, ამიტომ მყიდველმა და მისმა სიძემ საკუთარი ხარჯით დაიქირავეს ადვოკატი რ. რ-ი, რომელიც დაეხმარებოდა გამყიდველის ოჯახს საჭირო დოკუმენტის აღებაში, რათა შემდეგ სამკვიდრო მონიშნება აეღოთ მემკვიდრეებს და უძრავი ქონება გადაფორმებულიყო მყიდველზე. გარდაცვალების მონიშნების მისაღებად საჭირო ყველა ხარჯი მყიდველმა გასწია და ამ უკანასკნელისავე დახმარებით შეიტანეს განაცხადი სამკვიდ-

როს მისაღებად თეთრინყაროს სანოტარო ბიუროში; მოგვიანებით გამყიდველის მემკვიდრეებმა მოითხოვეს თანხის დამატება, ხოლო შემდეგ მყიდველს უთხრეს, რომ არ აპირებდნენ ქონების მყიდველისათვის გადაფორმებას, რადგან მამკვიდრებელმა ქონების გაყიდვის შემდეგ, თანხის გარკვეული ნაწილი თვითონ აიღო და ოჯახისთვის არ მიუცია. ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის ოჯახის წევრებმა კარგად იციან, რომ წლებია სადავო ქონების მფლობელი და მესაკუთრე არ არიან, ამიტომაც არ გამოჩენილან, რადგან სადავოდ არ ხდიდნენ ამ ფაქტს;

10.1.5. მყიდველის სიძემ სამშენებლო მასალაც მიიტანა სადავო ქონების ადგილზე, თუმცა, დღემდე ვერ ხერხდება მშენებლობა, რადგან საჭიროა ნებართვა, ხოლო საამისოდ კი უნდა მოხდეს ქონების რეგისტრაცია მესაკუთრეზე. დღეის მდგომარეობით, სადავო უძრავი ქონება რეგისტრირებულია მამკვიდრებლის მეუღლის (მოპასუხის) საკუთრებად.

11. მოპასუხის შესაგებელი

11.1. მოპასუხემ როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი, ისე მისი განხორციელების ხელისშემშლელი (ხანდაზმულობის) შესაგებელი წარადგინა და განმარტა:

11.1.1. არავეითარი ხელწერილი არ არსებობს, თუკი ასეთი იარსებებდა, აუცილებლად ეცოდინებოდათ მამკვიდრებლის ოჯახის წევრებს. მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ სანოტარო აქტში თანხის შესახებ არაფერია ნათქვამი, ხოლო ხელწერილის წარმომავლობა საეჭვოა;

11.1.2. მოპასუხეს არავინ დახმარებია მამკვიდრებლის გარდაცვალების მონმობის აღებაში. თუკი არსებობდა მყიდველზე გაცემული მინდობილობა, ის ორწლიანი იყო და ამ ვადაში რა მიზეზით ვერ გადაიფორმა ქონება მოსარჩელემ, გაუგებარია. იგი ცრუობს, სადავო ქონება ეკუთვნის მამკვიდრებლის ოჯახს, მას არასოდეს გაუყიდა ქონება, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელწერილი ყალბია;

11.1.3. აუდიტის დასკვნაში მითითებული ფასი არ შეესაბამება დღევანდელ ფასს.

12. მესამე პირის პოზიცია

12.1. საქმეში მესამე პირად ჩართულმა ჯ. შ-მა (მოსარჩელის სიძემ) მხარი დაუჭირა სარჩელს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

13. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა და,

მის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 5 600 (ხუთი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე, სახელმწიფო ბაჟის – 298 (ორას ოთხმოცდათერთამეტი) ლარის ანაზღაურება.

13.2. რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გადანყვეტილების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგეში სსკ) 59-ე, 316-ე, 317-ე, 129-ე, 130-ე, 976-ე 1484-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგეში სსსკ) მე-4, 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლები.

13.3. საქმეში წარდგენილი მინდობილობისა და ხელწერილის (იხ. მე-5 და მე-8 პუნქტები) საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და ან გარდაცვლილ მამკვიდრებელს შორის დაიდო ფორმადუცველი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მოპასუხეს აღნიშნულის სანინააღმდეგო მტკიცებულება არ წარუდგენია, ასეთად კი ვერ იქნებოდა მიჩნეული მე-6 პუნქტში მითითებული ნოტარიუსთა პალატის წერილი, რადგან იგი შინაარსობრივად იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ პალატაში დაცული არ იყო ზემოხსენებული მინდობილობა და ნოტარიუსის მიერ ნაწარმოები ყურნალები და არა იმ გარემოებას, რომ მე-5 პუნქტში მითითებული მინდობილობა არ გაფორმებულა.

13.4. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ 16.01.1993წ. ხელწერილი ყალბია და მასზე არსებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ქონების გამყიდველს, რადგან ასეთი მტკიცებულება საქმეში არ იყო წარდგენილი, ხოლო ამ გადანყვეტილების მე-8 პუნქტში დასახელებული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, რომ 16.01.1993წ. მინდობილობასა და იმავე თარიღით შედგენილ ხელწერილზე შესრულებული ხელმოწერები ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს. სასამართლოს შეფასებით აღნიშნული დასკვნა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში იძლევა საფუძველს, რომ ხელმოწერა მამკვიდრებლის მიერ შესრულებულად იქნეს მიჩნეული.

13.5. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნით ნაწილში მითითებული გარემოებები ადასტურებენ, რომ ხელმოწერა არ ეკუთვნოდა მამკვიდრებელს. სასამართლომ მოპასუხის არც ის პოზიცია გაიზიარა, რომ აუდიტის დაკვნაში მითითებული ფასი არ შეესაბამებოდა უძრავი ქონების დღევანდელ ღირებულებას, ვინაიდან არც აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება წარუდგენია მხარეს სასამართლოსათვის.

13.6. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამარ-

თლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტზე მიუთითა, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა განაწილებულიყო, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაკისრებოდათ იმ ფაქტების დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურდათ, თავიანთი სასარჩელო მოთხოვნებისა და ამ მოთხოვნათა გასაქარწყლებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება.

13.7. სასამართლომ სსკ-ის 317-ე მუხლზე, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტზე, 59-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა და განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობისას იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც შენაძენი ექვემდებარება კიდევაც უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. ამდენად, სსკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტიურად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

13.8. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, გამყიდველსა და მყიდველს შორის დაიდო ფორმალური ცველი გარიგება, რომლის საფუძველზე, ამ უკანასკნელმა გამყიდველს გადასცა 150 000 რუსული რუბლი უძრავი ქონების ღირებულების სახით. იქიდან გამომდინარე, რომ გარიგება არ წარმოადგენდა მხარეთა მიერ გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგებისათვის სათანადო საფუძველს, მყიდველის მიერ განხორციელებულმა შესრულებამ განაპირობა გამყიდველის უსაფუძვლო გამდიდრება და ამ უკანასკნელს წარმოეშვა უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნების ვალდებულება, რაც 5 600 აშშ დოლარით უნდა განსაზღვრულიყო.

13.9. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 1484-ე მუხლის პირველ ნა-

ნილზე, რომლის თანახმად მემკვიდრეები ვალდებული არიან, სრულად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში, თითოეულის წილის პროპორციულად. სასამართლომ მიუთითა, რომ სამკვიდრო მონაწილეთა, მამკვიდრებლის ქონება გადავიდა მის მეუღლეზე – მოპასუხეზე, რომელმაც მიიღო მამკვიდრებლის ქონება.

13.10. ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ სსკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მიუთითა, რომლის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა 10 წელია, ხოლო 130-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის მტკიცებაზე, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო და დაასკვნა, რომ გამყიდველის გარდაცვლილად გამოცხადებამდე (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი), მოსარჩელეს არ შეეძლო მიემართა მისთვის, მოეთხოვა ვალდებულების შესრულება ან განესაზღვრა ვალდებულებებზე პასუხისმგებელი პირი. ასეთი შესაძლებლობა მას მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების დროიდან მიეცა, ამ დროიდან წარმოეშვა მოთხოვნის უფლება და მიიღო რა შესრულებაზე უარი, კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადაში – 2014 წლის 22 ივლისს მიმართა სასამართლოს, შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადი იყო.

14. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

14.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მემკვიდრემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

14.1.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მამკვიდრებელსა და მოსარჩელეს შორის 1993 წლის 16 იანვარს გაფორმდა მინდობილობა და „სახლის პირობებში შედგენილი“ ხელწერილი, რომლითაც თითქოსდა მამკვიდრებელმა მოპასუხეს მიჰყიდა სადავო უძრავი ქონება;

14.1.2. არც მინდობილობაში და არც ხელწერილში არ არის მითითებული უძრავი ნივთის მისამართი და ნასყიდობის ფასი. ხელწერილში მითითებულია, რომ გაყიდულია კედლები და არა მიწის ნაკვეთი. მინდობილობა არ არის დაცული ნოტარიუსთა პალატაში, ექსპერტიზის დასკვნით არ დგინდება, ვის ეკუთვნის ხელმოწერა, დაცული არ არის ხელშეკრულების დადების სტანდარტული ფორმა.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო პრეტენზია და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

15.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, მათი სამართლებრივი შეფასება (სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი) და დამატებით განმარტა, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, ამასთან, არ იყო გასაზიარებელი აპელანტის პოზიცია, რომ მოსარჩელეს არ გაუუმჯობესებია სადავო ქონება, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ იგი ნივთს არ მიიჩნევდა თავისად. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ნივთის მოვლა-პატრონობა, მით უმეტეს, მისი გაუმჯობესება, არც აპელანტის მხრიდან დასტურდებოდა და იგივე ლოგიკით, შესაძლებელი იყო იმის მიჩნევა, რომ არც აპელანტს (მემკვიდრეს) მიაჩნდა იგი თავის საკუთრებად, რადგან საქმის მასალებში არსებული ფოტოსურათებიდან აშკარად ჩანს, რომ სადავო ქონება მოუვლელია. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელე ელოდებოდა კანონით დადგენილი წესით ქონების მასზე გადაფორმებას, ხოლო გარდაცვლილის მემკვიდრეები კი სადავო ქონებას საკუთრებად არ მიიჩნევდნენ.

15.3. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები და განმარტა, რომ დაუსაბუთებელი იყო მოპასუხის მტკიცება, რომ გაყიდულია მხოლოდ სახლის კედლები, რადგან ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტში მითითებული ხელწერილის მიხედვით, უსაფუძვლოდ მიღებული, უნდა განსაზღვრულიყო ბათილი გარიგების საგნის ღირებულებით. სსკ-ის 1484-ე მუხლის შესაბამისად კი, მამკვიდრებლის მეუღლეს (მოპასუხეს) წარმოეშვა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების ვალდებულება.

15.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ასევე, ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით (იხ. ამ გადაწყვეტილების 13.10 ქვეპუნქტი) და დამატებით განმარტა, რომ მხარეები არ დავობდნენ, რომ უძრავი ქონების გამყიდველი გარიგების დადებიდან მალევე გაემგზავრა საზღვარგარეთ და იგი აღარ დაბრუნებულა. არც ერთი მტკიცებულებიდან არ იკვეთებოდა, რომ მოპასუხე მოსარჩელისაგან ითხოვდა ქონების დაბრუნებას.

15.5. სასამართლოს შეფასებით, სადავო ქონების ფიზიკური მდგომარეობა ადასტურებდა, რომ არც ამ ნივთის მესაკუთრეები ფლობდნენ ქონებას, ხოლო მოსარჩელის მიერ ქონების გაუმჯობესების განუხორციელებლობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ

უკანასკნელს არ ჰქონდა კანონით დადგენილი წესით გადაფორმებული ქონება და ჰქონდა მოლოდინი, რომ გამყიდველის დაბრუნების შემდეგ, გადაიფორმებდა ნაყიდ ქონებას და გამოიყენებდა მას სურვილისამებრ.

15.6. გამყიდველი გარდაცვლილად აღიარებულია 2013 წლის 15 ნოემბრიდან. სასამართლოს მსჯელობით, ის გარემოება, რომ გამყიდველის მემკვიდრეებმა არ გადაუფორმეს მყიდველს ქონება საკუთრებად და არც გადახდილი თანხა დაუბრუნეს, უნდა ჩაითვალოს მისი მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტად და შესაბამისად, შეუძლებელი იყო სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევა.

15.7. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე, მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ აღრიცხვის მიუხედავად, ფორმალურად ბათილი გარიგების საფუძველზე, გამყიდველის მიერ მიღებული თანხის დაბრუნებას არ აპირებდა, ანუ 2014 წლის ივნისში. სარჩელი კი წარდგენილია იმავე წლის 22 ივლისს, რაც ადასტურებს, რომ მოთხოვნა არაა ხანდაზმული და განხორციელებადია, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

15.8. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე, მოსარჩელისათვის დასაბრუნებელი თანხის სტატისტიკის სამსახურის მონაცემების საფუძველზე (იხ. მე-7 პუნქტი) განსაზღვრის თაობაზე, რადგან აღნიშნული მტკიცებულება არ შეიცავდა კვლევას იმის თაობაზე, თუ რამდენად ეკვივალენტური იყო მითითებული თანხა გაყიდვის დროისათვის გაყიდული ქონების ღირებულებისა, ამდენად, სასამართლო ვერ იხელმძღვანელებდა ამ მონაცემებით.

16. საკასაციო საჩივრის საფუძველები

16.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

16.2. საქმეში წარდგენილია 16.01.1993 წლით დათარიღებული ორწლიანი მინდობილობა, რომლის საფუძველზე, მოსარჩელეს მამკვიდრებელმა მიანიჭა უფლებამოსილება, ამ უკანასკნელის სახელით ემოქმედა უძრავი ქონების განკარგვის საკითხებზე. იმავე თარიღით, მოსარჩელის ხელით, ქართულ ენაზე შედგენილი ხელწერილით, სავარაუდოდ გამყიდველმა მყიდველს 150 000 რუსულ რუბლად მიჰყიდა მშენებარე სადავო ქონება. თუკი, მოსარჩელემ

ნამდვილად შეიძინა უძრავი ქონება და გამყიდველს ნამდვილად გადაუხადა საფასური, მაშინ მყიდველს მინდობილობის მოქმედების ვადაში უნდა გადაეფორმებინა უძრავი ქონება. საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მინდობილობის მოქმედების ორწლიან ვადაში მყიდველმა შესაბამის ორგანოებს მიმართა შეძენილი ქონების საკუთრებად გადასაფორმებლად, მაგრამ მან გარკვეული მიზეზების გამო, ვერ გადაიფორმა ქონება (იხ. მოპასუხის იდენტიური პოზიცია მის შესაგებელში სარჩელის მე-5 ფაქტობრივი გარემოების პასუხად);

16.3. მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 12.08.2013წ. გაცემული ცნობა-დახასიათება, რომლის მიხედვით, სადავო უძრავი ქონება აღრიცხულია გამყიდველის სახელზე. საქმის მასალებშია, ასევე, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ქორწინების მოწმობა, რომლის თანახმად გამყიდველი და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1984 წლიდან, სადავო ქონება სწორედ ქორწინების განმავლობაშია შეძენილი და თანასაკუთრებას წარმოადგენს. უდავოა, რომ 16.01.1993წ. მამკვიდრებელმა მოსარჩელეზე გაასხვისა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ისე, რომ მოპასუხეს ამაზე თანხმობა არ განუცხადებია. კასატორი უთითებს სსკ-ის 1158-ე-1160-ე მუხლებზე;

16.4. საქმეზე დაკითხულ მოწმეთაგან არც ერთს დაუდასტურებია მოსარჩელის მიერ გამყიდველისათვის თანხის გადაცემის ფაქტი. მოწმეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელე არასდროს უნახავთ სადავო ქონების ადგილზე;

16.5. საქმეში წარდგენილი სტატისტიკის სამსახურის ცნობით, 2014 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, 150 000 რუბლის ეკვივალენტურია 4 355, 35 ლარი;

16.6. საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნით, სადავო ქონების საბაზრო ღირებულებაა 5 600 აშშ დოლარი. მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელწერილი სადავოა და საეჭვო, რადგან არ არსებობს მტკიცებულება, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის გამყიდველს და უშუალოდ მან დაწერა ხელწერილი;

16.7. მოსარჩელე კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამონურვისა და 22 წლის შემდეგ, მოპასუხისაგან ითხოვს არა 150 000 რუსული რუბლის ეკვივალენტური თანხის ეროვნულ ვალუტაში – 4 355,35 ლარის დაბრუნებას, არამედ მშენებარე საცხოვრებელი სახლისა და 600 კვმ მიწის ნაკვეთის დღევანდელი საბაზრო ღირებულების – 5 600 აშშ დოლარის გადახდას;

16.8. სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში საბჭოთა სამოქალაქო კოდექსის 48-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ბათი-

ლია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება, ბათილი გარიგების თითოეული მხარე მოვალეა, დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო თუ მიღებულის ნატურად დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულად, თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგები. სააპელაციო სასამართლომ, ასევე განმარტა მოქმედი სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი და კასატორი ჩათვალა უსაფუძვლოდ გამდიდრებულად, 22-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, მამკვიდრებლის მიერ ფორმალაუცველი გარიგების საფუძველზე (სავარაუდოდ) აღებული 150 000 რუსული რუბლის მოსარჩელისათვის დაბრუნება დაავალა მოპასუხეს, თუმცა, არ გაითვალისწინა სტატისტიკის სამსახურის მონაცემები და გასაჩივრებული განჩინებით მხარისათვის 5 600 აშშ დოლარის დაკისრებით, მოპასუხემ უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს თანხა, რომელიც ამ უკანასკნელს რეალურად არასდროს გადაუხდია, ამდენად, უსაფუძვლოდ გამდიდრებული სწორედ მოსარჩელე გამოდის. თუკი სტატისტიკის სამსახურის მონაცემები არ არის სასამართლოსთვის უტყუარი მტკიცებულება, მაშინ რატომ არის ასეთი მტკიცებულება აუდიტორული დასკვნა, რომლის საფუძველზე მოპასუხეს 5 600 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა;

16.9. კასატორი უთითებს სსკ-ის 129-ე-130-ე მუხლებზე და 143-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ნივთი რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რამე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, უკან დაბრუნება გამორიცხულია, თუ გავიდა ხანდაზმულობის ვადა. პირველი ინსტანციის სასამართლოს, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა სწორედ სსკ-ის 143-ე მუხლით დადგენილი წესით. მოსარჩელის მოთხოვნაზე მსჯელობისას, სასამართლოს ათწლიანი ვადა უნდა აეთვალა არა მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების დღიდან, არამედ – 1995 წლის 16 იანვრიდან, როდესაც მყიდველისათვის მინიჭებული მინდობილობის ვადა ამოიწურა. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ხანდაზ-

მულია და სწორედ ამ მოტივით უნდა გაეუქმებინა სააპელაციო სასამართლოს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი ეთქვა მოსარჩელის ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

17.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 4 ივლისის განჩინებით წარმოებაში მიიღო მოპასუხის საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასამწებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 28 სექტემბრის განჩინებით დასაშვებად ცნო საკასაციო განაცხადი დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

20. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, ამ შემ-

თხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემო-
ებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვ-
ნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც
ან არასწორად მითითების დროსაც კი, მონინალმდგეის პოზიციი-
სა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა
და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული
შეფასების საგანია (იხ. სუსგ – №ას-493-473-2016, 14.12.2016წ) (იხ.
სუსგ – №ას-493-473-2016, 14.12.2016წ; ასევე შდრ. სუსგ-ებს №ას-
1224-1149-2015, 20.05.2016წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.;
№ას-101-97-2016, 15.07.2016წ.; №ას-195-183-2014, 21.10.2016წ.).

21. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მი-
ერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში სამარ-
თლებრივად უნდა შეფასდეს, თუ რა სახის ურთიერთობა წარმოიშ-
ვა მოსარჩელესა და მოპასუხის ან გარდაცვლილ მეუღლეს (მამ-
კვიდრებელს, სამკვიდროს დამტოვებელს) შორის სადავოდ გამ-
ხდარი ქონების შესახებ ფორმალურად გარეგნული გარეგების დადებით.
იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას აფუძ-
ნებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1997 წლიდან ამოქმე-
დებული რედაქციის მიხედვით მოქმედ ნორმებს, კერძოდ, უსა-
ფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ 991-ე მუხლს, საკასაციო
სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილზე,
რომლის თანახმად „სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძა-
ლადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობი-
ლი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტე-
ბი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს
სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოწესრი-
გონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ
წესებს ითვალისწინებს“.

22. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამყიდველსა და
მყიდველს შორის 1993 წელს ფორმალურად ნასყიდობის ხელ-
შეკრულება დაიდო; გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული მსჯე-
ლობა, რომელიც ეხება 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამარ-
თლოს კოდექსის შესაბამის მოწესრიგებას, გასაზიარებელია, კერ-
ძოდ: სააპელაციო სასამართლო განმარტავს: „განსხვავებით დღეს
მოქმედი ნორმებისა, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრების უფ-
ლების გადაცემის ან შექცენისათვის მარტივ წერილობით ფორმას
ითვალისწინებს (სსკ-ის 323-ე მუხლი), სამოქალაქო სამართლის კო-
დექსის 239-ე მუხლის თანახმად, ქალაქში ან ქალაქის ტიპის დაბა-
ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გა-
ყიდვის ხელშეკრულება დადასტურებული უნდა ყოფილიყო სანო-
ტარო წესით და უნდა დარეგისტრირებულიყო სახალხო დეპუტა-

ტების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების დღიდან. ამ მუხლით დადგენილი წესების დაუცველობა ინვესს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება, ბათილი გარიგების თითოეული მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო როცა მიღებულის ნატურად დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულად. თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგები“. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გარიგების დადების დროისათვის (1993 წელი) „საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ხელშეკრულება დადასტურებული უნდა ყოფილიყო რთული წერილობითი ფორმით – დადასტურებული სანოტარო წესით, ამ წესების დაუცველობა გარიგებას ბათილ გარიგებად აქცევდა“ (იხ. ამ გადაწყვეტილების 15.2. ქვეპუნქტი, ასევე სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-9 პუნქტში მითითებული ხელწერილის შინაარსის სამართლებრივ შეფასებას საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის საფუძველზე მივყავართ დასკვნამდე, რომ მყიდველის მტკიცების გაზიარების შემთხვევაშიც, რომ მან ან გარდაცვლილი მამკვიდრებლისაგან იყიდა სახლი, აღნიშნულიც კი სადავო ხდება, რადგან მოხმობილი ნორმის მიხედვით, მხარეთა შორის გარიგების დადების დროისათვის მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება გაესხვისებინა მშენებარე სახლი სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახლი იყიდება მასალად. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მხარეთა შორის ნამდვილი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობდა ნასყიდობის სამართლებრივ შედეგებს, არ დადებულა, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს ბათილი გარიგების საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძველიანობა. ამ კონტექსტში კი მოპასუხემ მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მიუთითა.

24. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე: მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობა), მოთხოვნის წარმოშობისა და მისი გამომრიცხავი გარემოებების შემომწმების შემდეგ უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, თუ მოთხოვნა არ წარმოშობილა, ან შემდგომში შეწყდა, სწორედ ამ საფუძ-

ვლით, და არა ხანდაზმულობით, უნდა იქნეს უარყოფილი სარჩელი (იხ. სუსგ №ას-197-187-2016, 12.07.2016წ.). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობისა და სამართლებრივი შეფასების საგანია ის გარემოება, რომ ბათილი გარიგების საფუძველზე გადაცემული თანხის (ნასყიდობის საფასურის) დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა თუ არა მამკვიდრებლის მემკვიდრეს, რომელიც მოცემულ დავაში მოპასუხეა, რადგან მისგან მოსარჩელე ითხოვს 1993 წლის ბათილი გარიგების საფუძველზე გადაცემული ქონების ღირებულების დაბრუნებას.

25. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე უარყოფს უძრავი ქონების გაყიდვას მისი მეუღლის მიერ და, შესაბამისად, ნასყიდობის საფასურის მიღებას, მან შესაგებლის წარდგენის ეტაპზე არა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნის გამომრიცხველ გარემოებებზე მიუთითა, რაც ქვემდგომმა სასამართლოებმა არ გაიზიარეს, არამედ – მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც, შესაბამისად, სწორედ ამ ნაწილში მიაჩნია საკასაციო სასამართლოს, რომ მიუხედავად მოსარჩელის მოთხოვნის უფლების არსებობისა (დაიბრუნოს სადავო ქონების /მასალის/ შესაძენად გადაცემული თანხა), იგი განხორციელებადი აღარ არის მისი ხანდაზმულობის გამო.

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი შეფასება და, შესაბამისად, მოპასუხემ, რომელმაც მიუთითა მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორებზე გარემოებაზე, ამით სადავო გახადა სასარჩელო მოთხოვნის განხორციელებადობა. ამ ფაქტზე მითითების შემდეგ, სასამართლო ვალდებულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიოს სასარჩელო მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები, რაც დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, არ გულისხმობს ხანდაზმულობის მითითებისას კონკრეტული თარიღის ზუსტად დასახელებას, რადგან საკმარისია მოვალე შეედავოს კრედიტორს, რომ მისი მოთხოვნა დაგვიანებულია.

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლებრივად უნდა შეფასდეს რა მოთხოვნის უფლება არსებობდა მამკვიდრებლის მიმართ და რა სახით გადავიდა იგი მემკვიდრეზე, რომელიც განსახილველ დავაში მოთხოვნის უფლების მქონე მოსარჩელის პროცესუალური მოწინააღმდეგეა, ანუ მოპასუხეა.

28. როგორც ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად დაადგინეს გამყიდველსა (მამკვიდრებელს) და მყიდველს (მოსარჩელეს) შორის 1993 წელს დადებული გარიგება, მისი ფორმის დაუცველობის გამო ბათილია. სასამართლოებმა ასევე დაადგინეს, რომ მყიდველმა გამყიდველს 16.01.1993 წელს გადაუხადა 150 000 რუ-

სული რუბლი, სწორედ ამ თანხის დაბრუნება მოითხოვა მოსარჩელემ მემკვიდრისაგან, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაფუძნებული გადაანგარიშებით.

29. დადგენილია ისიც, რომ ე.წ. მყიდველს არ გამოუყენებია მისთვის მინიჭებული რწმუნების 2-ნლიან ვადაში შეძენილი ქონების გადაფორმების შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლო ამ გადაწყვეტილების 22-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე განმარტავს, რომ მხარეთა შორის გარიგების დადების დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით აკრძალული იყო დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის მოქალაქის მიერ გასხვისება, ამასთან, მოსარჩელეს არ მიუთითებია, რომ მინიჭებული მინდობილობის ფარგლებში იგი ცდილობდა იმხანად მოქმედი კანონის საფუძველზე შესაბამისი ნებართვის მოპოვებას მშენებარე სახლის შესაძენად, მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რომ ვერ მოახერხა ქონების გადაფორმება (იხ. 10.1.2 ქვეპუნქტი).

30. ზემოხსენებულიდან გამომდინარე არანამდვილი (ბათილი) გარიგების საფუძველზე გამყიდველისათვის (ან გარდაცვლილი მამკვიდრებლისათვის) გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაწყების ათვლის ნერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს მხარეთა შორის გარიგების დადების მეორე დღე – 1993 წლის 17 იანვარი (ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 73-ე მუხლით „ვადის მიმდინარეობა დაიწყება კალენდარული თარიღის მომდევნო დღიდან ან იმ მოვლენის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი“). 1993 წლის 16 იანვრის ხელწერილის თანახმად, სახლის პირველ სართულზე აშენებული კედლები გაყიდა ან გარდაცვლილმა მამკვიდრებელმა, თუმცა, ამ უკანასკნელს დაუმთავრებელი სახლის გასხვისების უფლება არ ჰქონდა (იხ. ხელწერილი). სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმხანად მოქმედი რედაქციით, კერძოდ, 75-ე მუხლი ადგენდა სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადას იმ პირის უფლების დასაცავად, რომლის უფლებაც დაირღვა 3 (სამი) წლით, ხოლო მე-80 მუხლით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად მიიჩნეოდა სარჩელის უფლების წარმოშობის დღე; ხოლო სარჩელის უფლება წარმოიშობოდა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომ მან მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ აღძრა სარჩელი, რადგან შეიტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, რაც არამართებულად არის გაზიარებული გასაჩივრებული განჩინებით (იხ. ამ გადაწყვეტილე-

ბის 15.6 და 15.7 ქვეპუნქტები), რადგან საცხოვრებელი სახლის გას-
ხვისების წინაპირობებს სამოქალაქო სამართლის კოდექსი განსაზ-
ღვრავდა 239-ე და 240-ე მუხლების საფუძველზე, ხოლო 48-ე მუხ-
ლით ბათილად მიიჩნეოდა გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვ-
ნებს არ შეესაბამებოდა, ამასთან, „ბათილი გარიგების თითოეული
მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარი-
გებით მიიღო, ხოლო როცა მიღებულის ნატურით დაბრუნება შუძ-
ლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულად, თუ კანონში
არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგი“.
ამდენად, იმხანად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის სა-
ფუძველზე, მყიდველის უფლება სარჩელზე, მოეთხოვა ბათილი
(უკანონო) გარიგების საფუძველზე გამყიდველისათვის გადახდი-
ლი თანხის დაბრუნება, წარმოიშვა 1993 წლის 17 იანვარს, რაც ხან-
დაზმული გახდა 1996 წლის 18 იანვარს, რადგან საცხოვრებელი
სახლის თაობაზე დადებული გარიგების ბათილობას (არანამდვი-
ლობას) კანონი ადგენდა, საიდან გამომდინარეც გამყიდველისათ-
ვის გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა მყიდველს (მოსარ-
ჩელეს) შეეძლო 1996 წლის 18 იანვრის ჩათვლით, რაც მას არ განუ-
ხორციელებია. იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ადგენს გარი-
გების ბათილობის წინაპირობებს და მისი არცოდნა არც ერთ პირს
არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, ამასთან, მყიდველს
გაყიდველისაგან მინიჭებული 2-წლიანი რწმუნებულებით (1964
წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 67-ე-70-ე მუხლები) ჰქონ-
და ფართო უფლებამოსილება, მათ შორის, ამ უკანასკნელის სა-
ხელზე რიცხული ქონების განკარგვისა და მასთან დაკავშირებით
განსახორციელებელი ქმედებების ჩათვლით, რაც მოსარჩელეს იმის
შესაძლებლობასაც ანიჭებდა, რომ რადგან დაუმთავრებელი სახ-
ლი (პირველი სართულის კედლები) შეიძინა, გარიგების ნამდვილო-
ბის მიზნით მოეპოვებინა იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამარ-
თლის კოდექსის 240-ე მუხლით დადგენილი შესაბამისი ნებართვა.
რწმუნებულების 2-წლიანი ვადის განმავლობაში, მყიდველს (მო-
სარჩელეს) შეეძლო ამ დოკუმენტის საფუძველზე მინიჭებული უფ-
ლებამოსილების ფარგლებში მოენესრიგებინა 1993 წლის 16 იან-
ვრის ხელწერილში მითითებული მშენებარე სახლთან დაკავშირე-
ბული საკითხები, რაც მას არ გაუკეთებია.

32. მყიდველის მიერ ბათილი გარიგების საფუძველზე გამყიდ-
ველისათვის გადახდილი თანხის მოთხოვნა ხანდაზმული გახდა
ჯერ კიდევ 1996 წლის 18 იანვარს, შესაბამისად, მოსარჩელის (კრე-
დიტორის) მოთხოვნა ხანდაზმული იყო როგორც სამკვიდროს დამ-
ტოვებლის (მამკვიდრებლის), ისე მის მემკვიდრეთა მიმართ. კრე-
დიტორის მიერ აღძრული სარჩელის საპასუხოდ მემკვიდრის მიერ

წარდგენილი ხანდაზმულობის შესაგებელმა შეუძლებელი გახადა სარჩელის დაკმაყოფილება, რაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, საქმეზე ახალი გადანყევტილების მიღებისა და მყიდველის სარჩელის უარყოფის საფუძველია.

33. განსახილველ შემთხვევაში 1993 წლიდან (ფორმადაცვლილი გარიგების დადების დროიდან) 2014 წლამდე, 21 წლის მანძილზე მოსარჩელეს არავითარი მოთხოვნა არ წაუყენებია არც გამყიდველისათვის, არც მისი ოჯახის წევრებისათვის. საკასაციო სასამართლო კატეგორიულად არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე გადანყევტილების 15.2. და 15.5 ქვეპუნქტებშია ასახული, რადგან ქონების მოუვლელობა არ უკარგავს პირს მასზე საკუთრების უფლებას, თუკი განხორციელებული არ არის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წინაპირობები (სსკ-ის 184-ე მუხლი) და დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ბათილი გარიგების საფუძველზე უძრავი ქონების შემძენს ჰქონდა მოლოდინი, რომ გამყიდველის დაბრუნების შემდეგ, გადაიფორმებდა ნაყიდ ქონებას და გამოიყენებდა მას სურვილისამებრ.

34. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, „ამ ნორმით დადგენილი წესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების თაობაზე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია და იგი მომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, რომლის ძალითაც მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. კანონის დანაწესი, რომ არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს, გულისხმობს იმას, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება, მიუხედავად დოკუმენტის გამცემი ორგანოს კომპეტენციისა, შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებიდანაც, რომლებიც შეჯიბრებითობისა და მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპებს განამტკიცებენ. სამარ-

თაღწარმოების მხარის უფლება, წარადგინოს თავისი არგუმენტაცია და მტკიცებულებები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, იმავდროულად, წარმოშობს სასამართლოს ვალდებულებას, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპით მიღებაზე და შემდეგ მისი კანონით დადგენილი წესით შემოწმებასა და შეფასებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ, ვინაიდან სამართალწარმოების მხარეები სარგებლობენ სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობის პრინციპით, ხოლო სასამართლოსათვის წინასწარ არც ერთი მტკიცებულების მნიშვნელობა და უპირატესი იურიდიული ძალა არ არის დადგენილი, სადავოობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ფაქტობრივად კი ვალდებული, შეამოწმოს მტკიცებულებით დადგენილი ფაქტების უტყუარობა ამ ფაქტების სანინააღმდეგოდ მოდავე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებთან ურთიერთშეჯერებით და, შესაბამისად, შეფასება მისცეს მათ: გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მტკიცებულებით დადასტურებული ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება. მართალია, განსახილველ შემთხვევაში თ. ბ-ას არ წარმოუდგენია სანინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება, მაგრამ აღნიშნული განსახილველი საკითხის სამართლებრივ შედეგებს არ ცვლის. ზემოდასახელებული ნორმების გამო, სასამართლო ვალდებული იყო, წარმოდგენილი სადავო მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოეკვლია... სამოქალაქო კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის ვადებს იცნობს. მათ შორისაა, სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები, რომელიც სხვა ვადებთან ერთად გულისხმობს უფლების დაცვის – ხანდაზმულობის ვადებს. სასარჩელო ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაა შელახულია, შეუძლია მოითხოვნის იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. თუკი დარღვეული უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული ვადით არ იქნებოდა შეზღუდული, ეს გამოიწვევდა სამოქალაქო საქმეზე გადანყვეტილების გამოტანის გაძნელებას, ვინაიდან დიდია ალბათობა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის გარემოებების არაადეკვატურად აღქმისა და სხვა. ამრიგად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავედროულად ემსახურება სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დანყება დაკავში-

რებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორცილებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. სანინალმდევოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს (იხ. სუსგ №ას-988-1021-2011, 15.1120116.).

35. სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქეებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემებზე საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012).

36. ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის. პირს ყოველთვის შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრა, რაც მოვალის მიერ ხანდაზმულობის ფაქტზე მითითების შემთხვევაში სასამართლოს გამოსაკვლევი და დასადგენია.

37. განსახილველ შემთხვევაში სარჩელს წარმატების პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან ფორმალური გარიგების საფუძველზე, მამკვიდრებლისათვის 16.01.1993 წელს გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმული გახდა იმხანად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ. რედაქციის) 78-ე მუხლის ხანდაზმულობის სპეციალური ვ-წლიანი ვადის გასვლისთანავე, ანუ 1996 წლის 18 იანვარს, ამდენად, იგი დაგვიანებული და

განუხორციელებადია.

38. კასატორი (მოპასუხე) სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლებულია, ხოლო მოსარჩელის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის შესახებ მითითებულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ვ. ვ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
5. თ. მ-ს (პ/ნ 0...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 504 (ხუთას ოთხი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;
6. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ე. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან
ნარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-369-353-2016

31 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ბ-სა“ (შემდეგში ტექსტი მოხსენიებული, როგორც ბანკი, კრედიტორი, მოსარჩელე) და გ. კ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მსესხებელი, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) შორის 2009 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული საბანკო კრედიტის (საკრედიტო ბარათის) ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკმა მსესხებლის ანგარიშზე დაუშვა საკრედიტო ლიმიტი 3 000 ლარი, სარგებლის – წლიური 27%-ის დარიცხვით. მოპასუხეს ყოველი თვის 25 რიცხვამდე უნდა დაეფარა მინიმალური თანხა – ათვისებული საკრედიტო ლიმითის 10%. საკრედიტო ბარათის ინდივიდუალური პირობების შესახებ წერილობით ინფორმაციაზე ხელმოწერით მოპასუხემ დაადასტურა, რომ იცნობდა და ეთანხმებოდა ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ ხელშეკრულებას – „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“. ხელშეკრულების თანახმად, ყოველთვიური თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებული იყო, გადაეხადა ერთჯერადი პირგასამტეხლო 20 ლარი და 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2. მოგვიანებით, საკრედიტო ლიმიტი გაიზარდა და, სააბოლოოდ, მოპასუხემ 3 300.59 ლარი კრედიტი მიიღო.

3. მსესხებელმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მას 2011 წლის 28 დეკემბერს, 370 ლარის გადახდის შემდეგ, ბანკისთვის თანხა აღარ ჩაურიცხავს.

4. 2015 წლის 16 მარტს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და, მოითხოვა დავალიანების (2014 წლის 16 დეკემბრის

მდგომარეობით) – სესხის ძირითადი თანხის – 3 300.59 ლარის, პროცენტის – 2 978.74 ლარისა და პირგასამტეხლოს – 4 756.13 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება. შემდგომში პირგასამტეხლო შეამცირა 475 ლარამდე (მოსარჩელის 26.06.2015 წლის განცხადება).

5. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულება და, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, არ დაფარა დავალიანება.

6. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მას ბანკის მიმართ დავალიანება არ აქვს, რამდენადაც ისეხსა 3 300.59 ლარი და დააბრუნა 9 267.50 ლარი. ამასთან, ბანკის მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რადგან ხანდაზმულობის ვადა ათვლება თანხის გადახდის ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. 2011 წლის 31 დეკემბერს გადასახდელი თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა დაიწყო 2012 წლის 1 იანვარს და დასრულდა 2015 წლის 1 იანვარს. მოსარჩელემ კი, სარჩელი 2015 წლის 16 მარტს აღძრა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 3 300,59 ლარის, პროცენტის – 2 978,74 ლარისა და პირგასამტეხლოს – 475 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 365-ე, 867-ე, 868-ე, 417-ე, 418-ე მუხლები და მიუთითა შემდეგი:

8.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დაიდო განუსაზღვრელი ვადით. მსესხებელმა მოსარჩელისგან განუსაზღვრელი ვადით, დროებითი სარგებლობით მიიღო თანხა, რისთვისაც ვალდებული იყო, გადაეხადა საპროცენტო სარგებელი, კერძოდ, ყოველთვიურად საბანკო ანგარიშზე განეთავსებინა წინა პერიოდში ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10%. შესაბამისად, მსესხებელს უფლება ჰქონდა, კრედიტი განეკარგა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ხოლო მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, დაბრუნება მოეთხოვა ნებისმიერ დროს, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება არ იყო.

8.2. სასამართლოს მითითებით, ხელშეკრულება მოსარჩელეს ანიჭებდა უფლებას, და არ აკისრებდა ვალდებულებას, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, შეეწყვიტა საკრედიტო ურთიერთობა და მოეთხოვა კრედიტის დაფარვა. მსგავსად არის მოწესრიგებული საკითხი სსკ-ის 365-ე მუხლითაც, რომელიც კრედიტორს ანიჭებს

უფლებას, საკუთარი შეხედულების მიხედვით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რომლის შესრულების-თვისაც დრო განსაზღვრული არ არის.

8.3. სასამართლომ მიუთითა, რომ ბანკს სარჩელის აღძვრამდე, 2009 წლის 25 აგვისტოს, ხელშეკრულების შეწყვეტისა და კრედიტის დაბრუნების მოთხოვნით მსესხებლისათვის არ მიუმართავს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი ბანკის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

8.4. სასამართლოს მითითებით უდავო იყო, რომ მსესხებელმა სესხის თანხა და შეთანხმებული პროცენტი არ გადაიხადა. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მსესხებლისათვის სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის დავალიანების გადახდის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

8.5. პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მოპასუხეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში თანხის ვადის გადაცილებისას ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, ხოლო მსესხებელმა ამ ვადებს გადააცილა, მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე საფუძვლიანი იყო და დააკმაყოფილა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

9.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა უდავო ფაქტობრივ გარემოებად, რომ საკრედიტო ლიმიტის მოცულობა გაიზარდა 3 300,59 ლარამდე. საკრედიტო ბარათის პირობების შესახებ ინფორმაცია ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ მსესხებელზე გაიცა მხოლოდ 3 000 ლარი. მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საკრედიტო ლიმიტის გაზრდას, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

9.2. სასამართლოს არ უნდა მიეჩნია უდავო ფაქტობრივ გარემოებად, რომ მსესხებელი 16.8 პუნქტს (ფიქსირებული და ვადაგადაცილებული პირგასამტეხლოს შესახებ) იცნობდა და ეთანხმებოდა. ბანკს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ მსესხებელთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების დროს ასეთი ხელშეკრულება ნამდვილად ჰქონდა განთავსებული ვებგვერდზე.

9.3. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოთხოვნასთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის ათვლის დრო. ამასთან, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 365-ე მუხლი.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10.1. პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილი 25.08.2009 წლის მოპასუხის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე, რომელშიც ასახულია ინფორმაცია საკრედიტო ბარათის ინდივიდუალური პირობების შესახებ. მითითებული პირობების შესაბამისად, ამ განაცხადის ხელმოწერით განმცხადებელი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ბანკის ინტერნეტგვერდზე განთავსებულ საბანკო ოპერაციების შესახებ ხელშეკრულების პირობებს, ეთანხმება და უერთდება მას. ამდენად, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ბანკის ვებგვერდზე მის მიერ მოწონებული ხელშეკრულება არ იყო განთავსებული მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, რასაც ამ უკანასკნელმა თავი ვერ გაართვა.

10.2. პალატის მითითებით, ხელშეკრულებით (18.7.2 პუნქტი) მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით, ბარათის მფლობელისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშზე დაუშვას საკრედიტო ლიმიტი, გაზარდოს უკვე დაშვებული ლიმიტი ან მოქმედების ვადა, რაზეც მფლობელი თანხმობას აცხადებს საკრედიტო ბარათზე ხელმოწერით. ამდენად, მხარეებს საკრედიტო ლიმიტის გასაზრდელად ახალი ხელშეკრულების დადება აღარ ესაჭიროებოდათ, რადგან მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობები საკრედიტო ლიმიტის გაზრდას იმთავითვე ითვალისწინებდა.

10.3. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება უვადაოდ იყო დადებული და, თავისი არსით, განსხვავებოდა ვადიანი საკრედიტო ხელშეკრულებებისაგან, სადაც ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელია და როგორც ძირი თანხის ნაწილის დაფარვას, ისე – პროცენტისა და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდას მოიცავს. სასამართლოს მითითებით, საკრედიტო ბარათის სპეციფიკის გათვალისწინებით, მხარეთა შორის ისეთი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაა დადებული, როდესაც მსესხებელი საბანკო დაწესებულებისაგან, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, თუმცა დროებითი სარგებლობით იღებს თანხას, რისთვისაც იხდის წლიურ საპროცენტო სარგებელს. ყოველთვის უნდა დასაფარო მინიმალური თანხა კი, შეადგენს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10%-ს და წინა პერიოდში დარიცხულ პროცენტს. ამდენად, მსესხებელი საკრედიტო ბარათით მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტამდე თანხას გამსესხებელ საკრედიტო დაწესებულებას

ბას კი არ უბრუნებს და ამით, პერიოდულ ვალდებულებებს კი არ ასრულებს, არამედ ამ თანხას კვლავ საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დებს. საკრედიტო ბარათით მომსახურების ხელშეკრულებით, მსესხებელი ნასესხებ თანხას განკარგავს იქამდე, სანამ ხელშეკრულება არ შეწყდება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ბანკის მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიაზე მითითებით:

11.1. დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, სწორად განისაზღვროს ხანდაზმულობის ვადის დაწყების დრო. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, ყოველი თვის ბოლოს შეეტანა ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10%, რაც 2012 წლის იანვრიდან აღარ შეუტანია. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყოს. სხვა შემთხვევაში გამოვა, რომ ბანკს უფლება აქვს, 20 წლის მერე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვნის უფლება მაინც ექნება. ხელშეკრულების თანახმად, კლიენტის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება. შესაბამისად, თუ ვალდებულების დარღვევა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების წარმოშობას, ეს დარღვევა რატომ არ უნდა განიხილებოდეს ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის მომენტად.

11.2. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სსკ-ის 365-ე მუხლის საფუძველზე, ბანკს უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს შეენწყვიტა ხელშეკრულება და, შესაბამისად, ნებისმიერ დროს გააჩნდა მოთხოვნის უფლება, გამოიწვევს მახინჯი პრაქტიკის დამკვიდრებას.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აგვისტოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელა-

ციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

14. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, სესხად გაცემული საბანკო კრედიტის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 867-ე (საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა, მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით), 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 625.1 (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი), 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლები.

15. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმომშობი ფაქტობრივი წინაპირობები კასატორს საკასაციო საჩივრით სადავოდ არ გაუზღია. მისი პრეტენზია ისაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია სსკ-ის 128.1, 129.1, 130-ე, 145-ე მუხლებიდან გამომდინარე და, შესაბამისად, შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ამდენად, მოპასუხის მტკიცებით, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის გა-

მო, მოთხოვნა განხორციელებადი არ არის.

16. ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია, საკუთარი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1 მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია და განსაზღვრული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (მდრ. სუსგ №ას-934-899-2016, 14.02.17).

17. უდავოა, რომ 25.08.2009 წლის საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხი უნდა დაბრუნებულიყო შემდეგნაირად: მოპასუხეს ყოველი თვის 25 რიცხვამდე უნდა დაეფარა ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 10%. შესაბამისად, მსესხებელს ბანკისათვის კრედიტი არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ უნდა დაებრუნებინა. ამგვარი გარიგება კი, სწორედ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს წარმოშობს. იმ ვალდებულებათა მიმართ, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით სრულდება, კანონი ხანდაზმულობის ვადის ათვისების განსხვავებული წესს ითვალისწინებს, კერძოდ, თითოეული შესრულების დარღვევა ცალცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და თითოეული ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია (სსკ-ის 129.2 მუხლი) (მდრ. სუსგ №ას-1432-1351-2012, 20.05.2013 წელი; №ას-1005-966-2014, 08.06.2015 წელი).

18. დადგენილია, რომ მსესხებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ბოლოს 2011 წლის 28 დეკემბერს შეასრულა. ხელშეკრულების თანახმად, მას თანხის გადახდის მომდევნო ვალდებულება 2012 წლის 25 იანვარს უნდა შეესრულებინა, ამიტომ, 2012 წლის 25 იანვარს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის

3 300.59 ლარის 10%-ის გადაუხდელობის გამო, კრედიტორს წარმოეშვა ამ თანხის მოთხოვნის უფლება 2012 წლის 26 იანვრიდან. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს შემდეგი გადახდა 2012 წლის 25 თებერვალს უნევდა. როგორც აღინიშნა, თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლაც თითოეულისთვის დამოუკიდებლად იწყება. შესაბამისად, 2012 წლის 25 იანვარს შესასრულებელი ვალდებულების 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა 2015 წლის 26 იანვარს, ხოლო ამავე წლის 25 თებერვალს შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა 2015 წლის 26 თებერვალს. ბანკმა სასამართლოში სარჩელი აღძრა 2015 წლის 16 მარტს. შესაბამისად, მოთხოვნა ხანდაზმულია ორი თვის (იანვრისა და თებერვლის) სესხის ძირი თანხისა და სარგებლის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს მოპასუხის შესაგებელს ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნების ნაწილი ხანდაზმული იყო. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ 2012 წლის 25 მარტიდან წარმოშობილი დავალიანება. დადგენილია, რომ მსესხებელმა მიიღო კრედიტი – 3300.59 ლარი, რომლის 10% – 330.05 ლარი უნდა დაეფარა ყოველთვიურად. შესაბამისად, ორი თვის გადასახდელი იყო 660.10 ლარი, რომლის მოპასუხისათვის დაკისრებაზე მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას და მოპასუხეს უნდა დაეკისროს სესხის ძირი თანხა 2640.49 (3300.59-660.10) ლარი.

19. რაც შეეხება სარგებელს, სსკ-ის 145-ე (მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა) მუხლიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, ორი თვის სარგებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც გასულად მიიჩნევა, კერძოდ, თვიური სარგებელი შეადგენდა 82.74 (2978/36) ლარს, შესაბამისად, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას 165.44 (82.74X2) ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სარგებლის – 2812.56 (2978-165.44) ლარის გადახდა.

20. კასატორს არ წარმოუდგენია პრეტენზია მოთხოვნილი პირგასამტეხლოს – 475 ლარის შემცირების თაობაზე. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ კასატორის ამგვარი პრეტენზიის შემთხვევაშიც, ამ ტიპის საკრედიტო ურთიერთობისათვის მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა (წლიური 2.7%) არის

საბანკო მომსახურების ტარიფების შესაბამისი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2015 წლის 16 მარტიდან გასულია ორ წელზე მეტი და, ცხადია, კრედიტის დაუბრუნებლობით ბანკს ადგება ზიანი, თუმცა მოსარჩელეს გადანყვეტილების აღსრულებამდე პროცენტის დაკისრება არ მოუთხოვია.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება ნაწილობრივ დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება. პალატა აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის გადანყვეტილებას და, ახალი გადანყვეტილებით, საკასაციო საჩივარს ნაწილობრივ აკმაყოფილებს.

22. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით დაკმაყოფილდა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. აღნიშნული მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრება სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

23. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო საჩივარზე – 270 ლარი აქვს გადახდილი, საკასაციო საჩივარზე – 338.00 ლარი. მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟი სარჩელზე 331.06 ლარი გადაიხადა.

24. საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, მოპასუხეს (კასატორს), უნდა დაეკისროს 177.86 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად. რამდენადაც მოსარ-

ჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა (იხ. პ.4), მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 331.06 ლარის ნაწილი, 128.41 ლარი. მოსარჩელეს, მოპასუხის (კასატორის) სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 74.30 ლარის გადახდა სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე მოპასუხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 411-ე
მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „თ. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. გ. კ-ს, სს „თ. ბ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 5928.75 ლარის გადახდა;
5. გ. კ-ს, სს „თ. ბ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 177.86 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. სს „თ. ბ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს მის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 331.06 ლარის ნაწილი, 128.41 ლარი (გადახდის თარიღი – 12.03.2015, საგადასახადო დავა-
ლება №...);
7. სს „თ. ბ-ს“, გ. კ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 74.30 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან ნარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-902-2018

6 ნოემბერი, 2018 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. თ-ასა და რ. ლ-ას (შემდგომში – მოპასუხეები) მიმართ და მოითხოვა, 2013 წლის 21 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების – 3315.12 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირი თანხაა – 2275.84 ლარი, სარგებელი – 371.07 აშშ დოლარი და ჯარიმა – 668.21 აშშ დოლარი.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 21 იანვარს სს „ბ-ამ“ ზ. თ-ასთან (შემდგომში – მსესხებელი) გააფორმა 3000 აშშ დოლარის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება.

3. 2013 წლის 21 იანვარს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ბანკსა და მოპასუხეებს შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები.

4. მსესხებელს 2013 წლის შემდეგ თანხის დაბრუნების ვალდებულება არ შეუსრულებია.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხეებმა წარადგინეს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:

6. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ბანკსა და მსესხებელს შორის 2013 წლის 21 იანვარს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 3000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების თანახმად, კრედიტის ვადაა 24 თვე, წლიური საპროცენტო განაკვეთი – 33%. კრედიტი უნდა დაფარულიყო ყოველი თვის 18 რიცხვში. ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულ იქნა ფიქსირებული პირგასამტეხლო პირველი 10 დღის ვადაგადაცილების განმავლობაში გადასახდელი თანხის 3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო 10 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში – გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მსესხებლის სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება გაფორმდა – მოპასუხებთან.

10. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მსესხებელმა ბოლო გადახდა ბანკში განახორციელა 2013 წლის 18 ნოემბერს. მომდევნო თანხა უნდა გადაეხადა 2013 წლის 18 დეკემბერს, რაც მას არ შეუსრულებია. ანუ ბანკს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2013 წლის 18 დეკემბრიდან.

11. წინამდებარე სარჩელი სასამართლოში აღიძრა 2017 წლის 10 იანვარს. 2013 წლის 18 დეკემბრიდან 2017 წლის 10 იანვრამდე გასულია სამი წელი. ამდენად, დადგენილია, რომ მოპასუხემ სესხი მიიღო 2013 წელში. მან სესხი არ დაფარა. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 2017 წლის 10 იანვარს. ვალდებულების დარღვევიდან სარჩელის აღძვრამდე გასულია სამ წელზე მეტი დრო, რის გამოც სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულად ცნობის თაობაზე.

12. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მსესხებელი 2015 წლის 6 ივლისს გარდაიცვალა.

13. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 319-ე მუხლის პირველი ნაწილით, 867-ე მუხლით და განმარტა, რომ ამ ურთიერთობის რეგულირებისას, ასევე, გამოიყენება სესხის ხელშეკრულების წესები იმ ფარგლებში, რაც არ ეწინააღმდეგება საბანკო კრედიტის

ხელშეკრულებას.

14. სსკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მსესხებლის კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არსებობს მოსარჩელის წინაშე სასესხო დავალიანება, თუმცა წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულია, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

15. სსკ-ის 128-ე, 129-ე, 130-ე-131-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

16. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მსესხებელმა ბოლო გადახდა ბანკში აწარმოა 2013 წლის 18 ნოემბერს. მომდევნო გადახდა მას უნდა განეხორციელებინა 2013 წლის 18 დეკემბერს. მოპასუხემ 18 დეკემბერს გადასახადი აღარ გადაიხადა, ანუ ბანკს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2013 წლის 18 დეკემბრიდან. სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2017 წლის 10 იანვარს. 2013 წლის 18 დეკემბრიდან 2017 წლის 10 იანვრამდე სამი წელი გასულია, რის გამოც სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულია.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

18. კასატორმა მიიჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი და არ გაითვალისწინა, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების პერიოდულად შესასრულებელი ხასიათი, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო ხელშეკრულების პირველი დარღვევიდან – 2013 წლის 18 დეკემბრიდან.

19. კასატორის მოსაზრებით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის გადახდის ვალდებულება ითვლება პერიოდულად შესასრულებლად და მის მიმართ მოქმედებს სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აუცილებელია, აღნიშნული მუხლის სწორი განმარტება და კონკრეტული სიტუაციის მიმართ შეფარდება. მსეს-

ხებელი ვალდებულია, ყოველთვიურად გადაიხადოს არა სესხის მთლიანი თანხა, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის კონკრეტული ნაწილი, რომელიც მოიცავს სესხის ძირითადი თანხის ნაწილს და მასზე დარიცხულ პროცენტს, სესხის სრულად დაფარვის ვალდებულება წარმოიშობა უკვე სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

20. ბანკსა და მსესხებელს შორის 2013 წლის 21 იანვარს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველი გამომდინარეობს მხარეებს შორის გაფორმებული საკრედიტო სახელშეკრულებო-ვალდებულებითი ურთიერთობიდან, რომლის შესაბამისად, მოვალეს ყოველთვიური გადახდით უნდა შეესრულებინა კრედიტორის წინაშე ფულადი ვალდებულება. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნაზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება კრედიტორს წარმოეშობა გრაფიკით გათვალისწინებული თითოეული გადახდის ვადის დარღვევიდან სამი წლის ვადაში. შესაბამისად, სარჩელის შეტანიდან უკუსვლით 3 წელზე გაანგარიშებით 2014 წლის 20 იანვრიდან 2015 წლის 15 იანვრის ჩათვლით არსებული გრაფიკით გადასახდელი თანხის მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა ვერ გავრცელდება.

21. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 15 იანვრამდე. მართალია, მსესხებელმა ბოლო გადახდა განახორციელა 2013 წლის 12 ნოემბერს, მაგრამ ბანკს არ გამოუყენებია სსკ-ის 873-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. მითითებული ნორმა ითვალისწინებს კრედიტის გამცემის მიერ საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობას, თუკი კრედიტის მიმღები გადააცილებს ზედიზედ სულ ცოტა ორ ვადას, მაგრამ ეს კრედიტის გამცემის უფლებაა და არა ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ბანკმა ვადაზე ადრე არ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა და სწორედ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ წარმოემვა მსესხებლის მიმართ სესხის სრულად დაფარვის მოთხოვნის უფლება. ხანდაზმულობის ვადის ათვლაც სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყოს. შესაბამისად, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება შეწყდა 2015 წლის 15 იანვარს და სწორედ ამ მომენტიდან წამოიშვა სესხის სრულად დაფარვის მოთხოვნის ვალდებულება.

22. აღნიშნული დასაბუთებაა მოცემული საქართველოს უზენა-

ესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის №ას-1144-1090-2014 გადაწყვეტილებაში, რომელიც განმარტავს, რომ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვისების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება. შესაბამისად, თუ, მაგალითად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით და გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად განსაზღვრული ოდენობებით, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა თორმეტივე შესრულებისთვის ცალ-ცალკე აითვლება და შესაძლებელია ასეთ შემთხვევაში დადგეს მოთხოვნის არა სრულად, არამედ ნაწილობრივ ხანდაზმულობის საკითხი.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით ხანდაზმულად ცნობის ნაწილში და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

25. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბანკსა და მსესხებელს შორის 2013 წლის 21 იანვარს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 3000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების თანახმად, კრედიტის ვადაა 24 თვე, წლიური საპროცენტო განაკვეთი – 33%. კრედიტი უნდა დაფარულიყო ყოველი თვის 18 რიცხვში. ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულ იქნა ფიქსირებული პირგასამტეხლო პირველი 10 დღის ვადაგადაცილების განმავლობაში გადასახდელი თანხის 3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო 10 დღეზე მეტი ვადაგადაცილე-

ბის შემთხვევაში – გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

26. მსესხებლის სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოპასუხებთან გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება.

27. მსესხებელმა მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული 172,41 აშშ დოლარი ბანკში უკანასკნელად გადაიხადა 2013 წლის 18 ნოემბერს. მომდევნო თანხა უნდა გადაეხადა 2013 წლის 18 დეკემბერს, რაც მას არ შეუსრულებია.

28. განსახილველი სარჩელი სასამართლოში აღიძრა 2017 წლის 10 იანვარს.

29. 2015 წლის 6 ივლისს მსესხებელი გარდაიცვალა.

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

31. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურო-

ბისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თავად იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სსკ-ის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

32. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნა საკრედიტო და თავდებობის ხელშეკრულებების საფუძველზე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე მხოლოდ ნაწილობრივად ხანდაზმული.

33. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ამასთან, სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ.63.).

34. სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

35. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ პირის უფლება, სრული მოცულობით მოახდინოს საკუთარი კანონიერი ინტერესების რეალიზება ან სასამართლო წესით დაცვა, შეზღუდულია სამოქალაქო კანონმდებლობით სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებისათვის განსხვავებულად დადგენილი ვადებით. კანონმდებელი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშების წესს და მის ათვლას უკავშირებს დროს, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საკუთარი უფლების დარღვევის ფაქ-

ტი, ან დროს, როდესაც მას ასეთის თაობაზე ობიექტურად უნდა შეეცყო.

36. სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

37. კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს ერთგვარ სპეციფიკას იმ ვალდებულებათა მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით სრულდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებული ვადა აითვლება ყოველი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად (სუსგ 19.03.2015წ. საქმე №ას-868-830-2014).

38. თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება (სუსგ 1.12.2010წ. №ას-599-562-2010).

39. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე {სსკ-ის 144.1-ე მუხლი}.

40. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.

41. განსახილველ შემთხვევაში მსესხებელს ბანკისათვის კრედიტის დაბრუნება არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ევალებოდა {სსკ-ის 873-ე მუხლი}. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა პე-

რიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით უნდა მოხდეს.

42. უდავოა, რომ საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მსეს-ხებელს კრედიტის თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი გარ-კვეული პერიოდულობით უნდა გადაეხადა. შესაბამისად, მითითე-ბული გარიგება წარმოშობს სწორედ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს (ზემოაღნიშნული მსჯელობა შეესაბამება საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვა-როვან სასამართლო პრაქტიკას (სუსგ 20.05.2013წ. №ას-1432-1351-2012; 14.02.2017წ. №ას-934-899-2016; 22.06.2018წ. საქმე №ას-462-462-2018; 12.06.2018წ. საქმე №ას-440-440-2018).

43. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოვა-ლეს ყოველთვიურად შესატანი თანხა უნდა გადაეხადა 2013 წლის 18 დეკემბერს, რაც მას არ შეუსრულებია. ამდენად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა, მხარეთა შეთანხმებით გათვალის-წინებული გრაფიკის შესაბამისად, თანხის ყოველი გადახდის მი-მართ უნდა აითვალოს დამოუკიდებლად. შესაბამისად, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2017 წლის 10 იანვრისათვის ხანდაზ-მული იყო სასარჩელო მოთხოვნა 2014 წლის 10 იანვრამდე გადა-სახდელის თანხის ანაზღაურების ნაწილში, 2014 წლის 10 იანვრის შემდეგ კი მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გრაფიკის საფუძველზე თანხის გადახდის შემდეგი თარიღი იყო 2014 წლის 20 იანვარი, რის შემდეგაც სარჩელი 2014 წლის 20 იანვარს, 18 თე-ბერვალს, 18 მარტს, 18 აპრილს, 19 მაისს, 18 ივნისს, 18 ივლისს, 18 აგვისტოს, 18 სექტემბერს, 20 ოქტომბერს, 18 ნოემბერს, 18 დე-კემბერს ყოველთვიურად გადასახდელი 172,41 აშშ დოლარისა და 2015 წლის 15 იანვარს გადასახდელი 169,36 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება, შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის მოტივით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მხარეს არასწორად უთხრა უარი.

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას სრულად არ გა-მოუკვლევია მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელო-ვანი ფაქტობრივი გარემოებანი და მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითად არ შეუფასებია მოსარჩელის მოთხოვ-ნა ფულადი ვალდებულების შესრულების ნაწილში, როგორც ძირი-თადი საკრედიტო დავალიანების, სარგებლის, მოთხოვნილი პირ-გასამტეხლოს დაკისრებისა და გადასახდელი თანხის ოდენობის ნაწილში.

45. ამდენად, სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სა-სამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გან-

ჩინება უნდა გაუქმდეს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 10 იანვრის შემდეგ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების განხორციელების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. 2014 წლის 10 იანვრამდე გადასახდელი თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში კი, გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის განჩინება 2014 წლის 10 იანვრის შემდეგ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების განხორციელების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. 2014 წლის 10 იანვრამდე გადასახდელი თანხის ანაზღაურებაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალდებულებების უზღვევა ხანდაზმულობის ვადის ბანკისას

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-572-531-2017

15 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ე. გასიჭიაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ელექტროენერჯის გადასახადის ანაზღაურე-
ბისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. ი. ს-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე, მყიდველი ან მოვალე) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, გამყიდველი ან კრედიტორი) მიმართ ელექტროენერჯის გადასახადის დავალიანების – 2 979,99 ლარის გადახდისაგან გათავისუფლების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე არის მოპასუხე კომპანიის აბონენტი. 1999 წლიდან 2001 წლის 27 სექტემბრამდე ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვას მოპასუხე ახორციელებდა ოთახების რაოდენობის მიხედვით და დავალიანება შეადგენდა 746,30 ლარს, ასევე დენის დატაცების გამო მიმდინარე წელს დაერიცხა 648 ლარი, რაზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ შემდგარა. 10 წლის განმავლობაში დარიცხული დავალიანების ოდენობამ შეადგინა 9 424,09 ლარი. ვალის დაგროვებას ხელი შეუწყო მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამაც, 10 წლის განმავლობაში ელექტრომომარაგება არ შეწყვეტია მოსარჩელეს. მოსარჩელის ავად ყოფნისას, 2010 წლის 18 ივნისს 8 482,09 ლარის დაფარვაზე მოპასუხემ ხელშეკრულება გააფორმა არაუფლებამოსილ პირთან – მოსარჩელის მეუღლესთან, რომელიც არც ბინის მესაკუთრეა და არც აბონენტის მინდობილი პირი. ხელშეკრულებაში მოპასუხემ მოტყუებით შეიტანა ხუთი წლის ხანდაზმული დავალიანება 2 979,99 ლარი. სარ-

ჩელის აღძვრის დროისათვის დავალიანების ოდენობა შეადგენს 3 001,89 ლარს, საიდანაც ხანდაზმულია 2 979,99 ლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, შესაგებლის თანახმად, 2010 წლის 18 ივნისს მოპასუხესა და აბონენტი ვ. ს-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება დავალიანების რესტრუქტურისა და გადახდის თაობაზე და გადანაწილდა მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი. ხელშეკრულება წარმოდგენს მხარეთა ნების გამოხატულებას და მასზე ხელმოწერმა პირმა აღიარა დავალიანების არსებობა, რომელიც 2012 წლის 20 აგვისტომდე უნდა დაეფარა. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა და ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, მას დავალიანების გადახდაზე უარის თქმა აღარ შეუძლია. 2012 წლის 29 აგვისტოს მოპასუხესა და ვ. ს-ს შორის მეორედ გაფორმდა დავალიანების რესტრუქტურისა და გადახდის თაობაზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მოსარჩელე თავად აღნიშნავს, რომ ქორწინებაში იმყოფება ვ. ს-თან, ამასთანავე, ეს უკანასკნელი ცხოვრობს და რეგისტრირებულია იმავე მისამართზე, რომელზეც აბონენტი (მოსარჩელე).

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე გათავისუფლდა ელექტროენერჯის ღირებულების ხანდაზმული ნაწილის – 2 978,99 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კრედიტორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

მოცემული საქმის განსახილველად დაშვების წინაპირობას, პალატის 2017 წლის 23 ივნისის განჩინების თანახმად, წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე), შესაბამისად, როგორც საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების საფუძვლის, ისე – საკასაციო პალატის გადაწყვეტილების დოქტრინალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე განჩინების შეფასების საგანი საკასაციო საჩივარში გადმოცემული პრეტენზიების საფუძვლიანობასთან ერთად მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სარჩელის დასაშვებობის პროცესუალური საკითხიც იქნება.

1.1. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.1.1. ქ. თბილისში, ს-ის ქ. №22-ში სს „თ-ის“ აბონენტად №1... რეგისტრირებულია მოსარჩელე, რომელიც ცხოვრობს მითითებულ

მისამართზე და საკუთრებაში ერიცხება უძრავი ქონება. ქონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას ახორციელებს მოპასუხე, მხარეთა შორის არსებული ელექტროენერგის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე (სკ-ის 477-ე მუხლი);

1.1.2. მოსარჩელის (მყიდველის) მოთხოვნა სააბონენტო ბარათზე დარიცხული ხანდაზმული დავალიანების – 2979.99 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება. აღნიშნული დავალიანება ასახულია, როგორც მყიდველის აბონენტის ბრუნვის ისტორიაში, ისე – მოპასუხის მიერ შედგენილ დავალიანების ქვითარში. მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის სახით 2 979.99 ლარის ანაზღაურების ვალდებულება თავდაპირველად შემძენის, როგორც კრედიტორის აბონენტის ბრუნვის ისტორიაში ასახულია 2005 წლის 9 მარტს;

1.1.3. კრედიტორსა და ვ. ს-ს შორის 2010 და 2012 წლებში გაფორმებულ იქნა დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებები. რაიმე მტკიცებულება, რაც დაასაბუთებდა ვ. ს-ის უფლებამოსილებას აბონენტ ი. ს-ის სახელით მოქმედებების შესრულებაზე, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

1.1.4. ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით მყიდველი ასრულებდა მიმდინარე პერიოდის სააბონენტო ვალდებულებებს. უშუალოდ სადავო პერიოდის ვალის თავად მოსარჩელის მიერ სრულად ან ნაწილობრივ აღიარების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

1.2. საკასაციო განაცხადის მოცულობა და კასატორის პრეტენზიები (საკასაციო განხილვის ფარგლები):

1.2.1. მოსარჩელის მეუღლესთან 2012 წლის 29 აგვისტოს დადებული ვალის რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებით დავალიანება გადანაწილდა 120 თვეზე. მოსარჩელე ხელშეკრულების პირობებს იცნობდა და ეთანხმებოდა, ამასთანავე, 2016 წლის მაისამდე იხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პორციებს;

1.2.2. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არ აუხსახავს საკუთარი პოზიცია სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიებზე, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტები), ამ მხრივ, პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა, გარდა ამისა, სასამართლომ ასევე არასწორად არ შეაფასა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები, კერძოდ:

ა) საქმეში არსებული ვ. ს-ის პირადობის მონმობის ასლით დად-

გენილია, რომ 2006 წლიდან იგი რეგისტრირებულია და ფაქტიურად ცხოვრობს სს „თ-ის“ №... სააბონენტო მისამართზე – ქ. თბილისში, ს-ის ქ. №22-ში;

ბ) 2012 წლის 29 აგვისტოს განცხადება-ხელშეკრულებით დადგენილია, რომ 2012 წლის 29 აგვისტოს მოქალაქე ვ. ს-მა განცხადებით მიმართა კასატორს №... აბონენტის ბარათზე არსებული დავალიანების გადანაწილების თხოვნით, იმ მოტივით, რომ არსებული დავალიანება მოხმარებული იყო მის მიერ და წარადგინა პირადობის მოწმობა. პირის სააბონენტო მისამართზე რეგისტრაციის გამო დაიდო მასთან დავალიანების რესტრუქტურის ხელშეკრულება დავალიანების – 4 802.79 ლარის 120 თვეზე გადანაწილების თაობაზე;

გ) №... აბონენტის ბრუნვის ისტორიით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ შესრულებულია გადახდები 2012 წლის აგვისტოდან 2016 წლის მაისამდე და მის მიერ გადახდილ იქნა როგორც მიმდინარე დავალიანება, ასევე რესტრუქტურის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პორცია, რითაც მხარემ დაადასტურა ხელშეკრულების ნამდვილობა (მონონება) და ამით დაკარგა შეცვლების უფლება;

დ) 2012 წლის ვალის რესტრუქტურის ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარების ხელშეკრულებას, რომელიც ამავე კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად, შეიცავს არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებას. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე კი, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დადებისას საჭირო იყო მესამე პირის (აბონენტის ან უძრავი ქონების მესაკუთრის) თანხმობა (მონონება);

1.2.3. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თუმცა, თუკი მოსარჩელე მიწოდებული ელ. ენერჯის მოხმარებლად არ იქნება მიჩნეული, კასატორს უფლება აქვს, მოთხოვნა წარადგინოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველის ნაწილის საფუძველზე, მას ასევე შეუძლია მოსარჩელისაგან მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ვინაიდან ხელშეკრულებით მან იკისრა აბონენტის №... ბარათზე არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულება და მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე.

1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პალატა უპირველესად განსახილველი სარჩელის პროცესუალური დასაშვებობის საკითხზე შეჩერდება. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლება, რასაც მხარე მოთხოვნის ხანდაზმულობას უკავშირებს, შესაბამისად, სარჩელის საგანი დავალიანების ხანდაზმულად აღიარებაა. საკასაციო პალატის განმარტებით, როგორც წესი, მოთხოვნის ხანდაზმულობა არა სარჩელის საგანი, არამედ, სარჩელისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალებაა რამეთუ იგი შესრულების მოთხოვნის იმგვარი შემაფერხებელი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც, ვალდებულების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მას იძულებითი განხორციელების ძალას უსპობს (იხ. სკ-ის 144. 1 მუხლი). ხანდაზმულობის ინსტიტუტთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „... როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე, გაფერმკრთალება მოწმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადანყვევებისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდოდ, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით, შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან... ზემოაღნიშნული რისკები, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, მეტი საფრთხის მატარებელი აღმოჩნდეს მოპასუხე მხარისთვის. ხანგრძლივი დროის შემდეგ დავის განახლება მათ ავტომატურად აყენებს საჭიროების წინაშე, ხელახლა მოიძიონ მტკიცებულებები, რომლებიც მათი პოზიციის მართებულობას დაადასტურებდა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა რთული ან შეუძლებელიც იყოს – მტკიცებულებები შესაძლოა ბუნებრივად აღარ არსებობდეს ან არასათანადო იყოს. შედეგად, მოპასუხემ შესაძლოა საკუთარი ინტერესი ვერ დაიცვას უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ერთ-ერთი მიზანია მხარის ინტერესების დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის მიზეზით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,

II-22). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო კოდექსი მოთხოვნისაგან თავდაცვის საშუალებაზე დამყარებული სარჩელის ინსტიტუტს არ აღიარებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ადგენს რა უწყებრივად სასამართლოსადმი ქვემდებარე საქმეთა ნუსხას, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ. განსახილველი ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უმთავრესი წინაპირობა უფლების დარღვევაა, რომლის დაცვის შემაფერებელ მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს შეიძლება წარმოადგენდეს მოთხოვნის ხანდაზმულობა (და არა პირიქით), ანუ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მას გააჩნია მოთხოვნის უფლება, თუმცა, ვალდებული პირი უარს აცხადებს შესრულებაზე, უფლება აქვს, სასამართლო წესით მოითხოვოს შესრულების დავალდებულება, ხოლო ვალდებულ პირს, იმ მოტივით, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია, შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე და მოითხოვოს სარჩელის უარყოფა.

1.3.2. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ასევე საკონსტიტუციო დანაწესს, რომლის თანახმადაც, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (იხ. 42.1 მუხლი) და განმარტავს, რომ მის პროცესუალურ რეალიზაციას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი (ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით), ამ კონტექსტში კი, განსახილველი საჩელის შეფასებისას პალატა ასკვნის, რომ იურიდიული ბუნებით იგი ყველაზე ახლოს აღიარებით სარჩელთანაა, რომელიც, განსხვავებით სხვა ტიპის სარჩელებისაგან (მაგ: მიკუთვნებითი, გარდაქმნითი), განსახილველად მიღების დამატებითი წინაპირობების არსებობაზეა დამოკიდებული. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარ-

სებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხთან მიმართებით, განსაკუთრებით მდიდარია საკასაციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა: არაერთ დავაზე განიმარტა, რომ ამ კატეგორიის სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დაწესებული დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამოწმებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზე დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურობდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავდროულად, მხედველობაშია მი-

საღები საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, ასევე მაგ: №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი). აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა-განხილვასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ასევე ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალიც: კონვენციის მე-6 მუხლი ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ სასამართლო ხელმისაწვდომობას ან საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. საქმეზე: *Apostol v. Georgia*; §37; ასევე, *Hornsby v. Greece*, §40 ევროსასამართლომ განმარტა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავედროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. იხ. ასევე: *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; *Burdov v. Russia*, §34; *Hornsby v. Greece*, §40.

1.3.3. ამდენად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების ხანდაზმულად აღიარების შესახებ სარჩელი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დავა არ მიმდინარეობს დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, დაუშვებელია, თუმცა, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუბრუნდება განსახილველი დავის საგანს, რომელიც ელექტრონერჯის ღირებულების დავალიანების ხანდაზმულობის საკითხს შეეხება და მოიხმობს ამ სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ საკანონმდებლო დანაწესებს: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნუ-

ლი კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 1.1. მუხლის თანახმად, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები (შემდგომში წესები) არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიატს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და, მეორე მხრივ, მომხმარებელს შორის ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ნორმატიული აქტის ზოგადი დებულებები ადგენენ განაწილების ლიცენზიატის (გამყიდველი) უფლებას, შეუწყვიტყონ ელექტრომომარაგება შემსყიდველს და ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია, უფლების დასაცავად მიმართოს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს, კომისიას ან სასამართლოს (იხ. 1.4 და 1.5 მუხლები). წესების 3.1. მუხლის თანახმად, ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიანოდოს მყიდველს ელექტროენერჯია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს მიღებული ელექტროენერჯის საფასური და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელი (მოსარჩელე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეუწყვიტოს მას ელექტროენერჯის მიწოდება (იხ. 2.4. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). ნორმატიული აქტით რეგულირებულია თუ რა განიხილება ელექტროენერჯის უკანონო მოხმარებად და მათ შორისაა შეწყვეტილი ელექტროენერჯის მიწოდების თვითნებური აღდგენა და ამ შემთხვევაში, ლიცენზიატი კვლავ შეწყვეტს ელ. ენერჯის მიწოდებას შესაბამისი აქტის შედგენითა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესაბამისი ჯარიმის დაკისრებით (იხ. 8.1. 8.2 და 8.7 მუხლები). საკასაციო სასამართლოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წესების მე-9 მუხლი, რომელიც მომსახურების აღრიცხვის წესს ადგენს: განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ანგარიშსწორების ქვითარში განცალკევებულად ასახოს ის დავალიანება, რომლის წარმოშობის მომენტიდან გასულია 3 ნელზე მეტი და რომელიც მომხმარებელს პირდაპირი წერილობითი ფორმით არ უღიარებია ან/და არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება ამ დავალიანების გადანაწილებაზე. დაუშვებელია, მომხმარებლის პირდაპირი მითითების გარეშე, განაწილების ლიცენზიატისთვის გადახდილი თანხა მიმართულ იქნეს იმ დავალიანების დასაფარად, რომლის წარმოშობის მომენტიდან გასულია 3 ნელზე მეტი და რო-

მელიც მომხმარებელს პირდაპირი წერილობითი ფორმით არ უღია-რებია ან/და არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება ამ დავალიანების გადანაწილებაზე. ასეთ შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი თანხა გათვალისწინებული იქნება მომდევნო ანგარიშსწორებისას. ქვეთარში მითითებული გადახდის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ, მასში ასახული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიატი უფლებამოსილია, შეუწყვიტოს შესაბამის მომხმარებელს ელექტროენერჯით მომარაგება (იხ. 9.41, 9.42, 9.5 მუხლები). ამდენად, დავალიანების დროული გადაუხდელობის შემთხვევაში, ნორმატიული აქტით გათვალისწინებულია ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა, რომლის აღდგენაც, დავის შემთხვევაში, საკითხის მომგვარებელი ორგანოს (კომისიის ან სასამართლოს) მიერ საჩივრის მიღებაზე დამოკიდებული (იხ. მე-12 მუხლი). პალატა მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ მხარეთა შორის სადავოს წარმოადგენს, როგორც დავალიანების ხანდაზმულობა, ისე – ვალის არსებობის აღიარების ფაქტის ნამდვილობა, ამასთანავე, ელექტროენერჯის, როგორც საყოფაცხოვრებო მომსახურების უაღრესად დიდი მნიშვნელობისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მხარეს აქვს სრული კანონისმიერი რესურსი ზემოქმედება მოახდინოს მოსარჩელის ელექტრომომარაგებაზე, პალატა მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის აღიარებითი სარჩელი დასაშვებად სწორად იქნა მიჩნეული ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან. სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ფარგლებში საკასაციო სასამართლო მიუთითებს ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაზე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი შესაძლოა იყოს „პოტენციური მსხვერპლი“, მაგალითად, როდესაც მან ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ კანონმდებლობა, რომელზეც იგი დავობდა, რეალურად შეეხო მას მასში მოცემული ზომების საიდუმლო ხასიათის გათვალისწინებით (Klass and Others v. Germany) ან როდესაც უცხოელების გაძევებასთან დაკავშირებით მიღებული ბრძანება, რომელიც მართალია არ იყო აღსრულებული, დაარღვევდა ამ პირთა ფუნდამენტურ უფლებებს, რადგანაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებს (Soering v. the United Kingdom). პრეცედენტული სამართლის თანახმად, ასეთ სიტუაციაში დაზარალებულის პრეტენზიის მისაღებად, მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს გონივრული და დამაჯერებელი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დარღვევა შეეხო პირადად მას; უსაფუძვლო ეჭვი ან ვარაუდი შეუსაბამოა (Lines GmbH v. fifteen member States of the European Union (განჩინება) {დიდი პალატა}).

1.3.4. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პრეტენზიას იმის

თაობაზე, რომ სადავო დავალიანება არ არის ხანდაზმული. ამ თვალსაზრისით სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, იგი წარმოშობილია 2005 წლის 9 აპრილიდან და ამ დროიდან ამონურულია მოთხოვნის 3-წლიანი ვადა (სკ-ის 129-ე მუხლი). დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება. მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და ბუნებრივია, უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარტივი, ისე – კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყება თავიდან. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. საინტერესოა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ ვალის მარტივ ან კაუზალურ აღიარებას გააჩნია თუ არა იურიდიული ძალა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის რეგულირებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში განიმარტება, კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ შეასრულებს ვალდებულებას, იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლებას კარგავს, ასეთ შემთხვევაში მისი შესაგებელი არ შეიძლება იყოს მათ შორის იმაზე მითითება, რომ შესრულების მომენტში არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტი, ანალოგიური ძალის მატარებელია მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადის გასვლის შემდეგ,

თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ იგი ვალდებულებას შეასრულებს. ეს რეგულაცია ვრცელდება ვალის როგორც მარტივ, ისე – კაუზალურ აღიარებაზე (იხ. სუსგ №ას-383-364-2015, 27 მაისი, 2016 წელი). სხვაგვარი შესრულების არსებობასთან დაკავშირებით (სკ-ის 137-ე მუხლი) პალატა განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული აბონენტის ბრუნვის ისტორიის, ასევე, განხორციელებული გადახდების გათვალისწინებით, არ დგინდება მყიდველის მხრიდან ხანდაზმული დავალიანების გადახდის ფაქტი (რაც შედავების უფლებას დაუკარგავდა მას), შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მიმდინარე გადასახადის გადახდა ელექტროენერჯის უწყვეტად მიღების მიზნით არ წარმოადგენს ხანდაზმული დავალიანების აღიარებას, დასაბუთებულია და მას ვერ აქარწყლებს კასატორის მითითება არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალის აღიარების მოსარჩელის მხრიდან მოწონებაზე (სკ-ის 101-ე მუხლი). რაც შეეხება კასატორის მეორე ძირითად არგუმენტს, რომ ვ. ს-ი ამავე მისამართზე მცხოვრები მოსარჩელის მეუღლეა და მისი მხრიდან ვალის აღიარება შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მოთხოვნებს, ასევე არ იზიარებს საკასაციო პალატა და განმარტავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნება იმ კუთხითაც განსხვავდება ვალდებული პირის სხვაგვარი აღიარებისაგან, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია, რადგანაც იგი ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ დამოუკიდებლად აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა, თუმცა, ამგვარი დამოუკიდებელი ხელშეკრულების ძალმოსილება დამოკიდებულია ნების გამომვლენის ნების ნამდვილობაზე. პალატა მიუთითებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ აბონენტად რეგისტრირებულია მოსარჩელე, შესაბამისად, კასატორთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ მხარედ სწორედ ის და არა ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი განიხილება ზემოხსენებული წესის 4.1. მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე (განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია აბონენტად დაარეგისტრიროს ის პირი, რომელიც ამ წესების შესაბამისად, ელექტროენერჯით მომარაგებისას, სარგებლობს (ან ისარგებლებს) მისი მომსახურებით). რაც შეეხება ვალის აღიარებას, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლიდან გამომდინარე, იგი არაუფლებამოსილი პირის მიერ არის ხელმოწერილი, შესაბამისად, ამ მტკიცებულებას საკასაციო პალატა მოთხოვნის იძულებით განხორციელების წინაპირო-

ბად არ განიხილავს (რამდენადაც გარდა ზემოხსენებულისა, უდავოა, რომ მოპასუხეს ვ.ს-ის უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოში თანახმად, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებსა)). რაც შეეხება კასატორის მითითებას სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლზე, სასამართლო უარყოფს ამ პრეტენზიას, რადგანაც განსახილველი დავის ფარგლებს ცდება ვალის გადაკისრების საკითხის საფუძვლიანობის შესწავლა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ვ. ს-ი არ წარმოადგენს მოცემული დავის სუბიექტს.

1.3.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სააბონენტო ბარათზე რიცხული დავალიანება 2 979,99 ლარის ოდენობით ხანდაზმულია და ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესრულებაზე, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილისა. ამდენად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე, რომლის წინააღმდეგაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედაგება არ ყოფილა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს საკასაციო სამართალწარმოების სპეციალურ ნორმას, რაც გამორიცხავს ამ ნორმით მოწესრიგებული საკითხის სხვაგვარ რეგულაციას (სსსკ-ის 399-ე მუხლი), თავად მოხმობილი ნორმის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამდენად, საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითებას და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენას კანონი კრძალავს, ხოლო საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების განმეორებით წარდგენა არ ემსახურება მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების მიზანს. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქ-

მიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მტკიცებულებათა საქმისათვის დართვის საფუძველი, შესაბამისად, ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს.

3. სასამართლო ხარჯები:

რადგანაც წინამდებარე განჩინებით კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, ხოლო, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სს „თ-ს“ დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №2/305-17) ასლი 1 (ერთი) ფურცლად, ხოლო ი. ს-ს – საკასაციო პასუხზე დართული ამავე სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განჩინების (საქმე №2/37689-16) ასლი 3 (სამი) ფურცლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98-21-03
www.supremecourt.ge